პალიტრა მედია

ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

13 ოქტომბერი **ხუთშაბათი** 2011

№ 241 (13538) ფასი 80 თეთრი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ ეძებთ სარკეს, ის აქვეა:

ჩვენი ნაკრების ძველ-ახალი

ტრიბუნა!

3

ზაზა ფაჩულია (№13)

ფაჩულიას ოროვერტაიმიანი დებიუტი

გუშინ საღამოს თურქეთში პრეზიდენტის თასისთვის ერთმანეთს „გალათასარაი" და „ფენერბაჰჩე-ულქერი" დაუპირისპირდნენ. „გალას" შემადგენლობაში დებიუტი ჰქონდა საქართველოს ნაკრების კაპიტან **ზაზა ფაჩულიას**, რომელმაც გუნდის ძირითად შემადგენლობასთან პირველი ვარჯიში ორშაბათს ჩაატარა. ალბათ ამიტომაც, პრეზიდენტის თასზე მან მხოლოდ 7 წუთი ითამაშა. დროის ამ მონაკვეთში ფაჩულიამ ბურთი ორჯერ მოხსნა, 4 ორქულიანი ისროლა, თუმცა არაზუსტად.

შეხვედრა მეტად დაძაბული გამოდგა - გამარჯვებულის გამოსავლენად ორი ოვერტაიმი გახდა საჭირო. ძირითადი დრო 78:78 დასრულდა, პირველი ოვერტაიმი - 85:85, მეორე დამატებით ხუთწუთეულში კი „გალათასარაიმ" 103:97 იმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ პრეზიდენტის თასი ზაზას 2002-03 წლების სეზონშიც აქვს მოგებული, ოღონდ „ულქერის" მაისურით.

მორიგ მატჩს „გალა" 15 ოქტომბერს თურქეთის ჩემპიონატში ჩაატარებს - „ოლინ ერდინეს" ესტუმრება.

ვაჟა სიმონიშვილი

იდეა ცოცხლობს

პროფესიული ფეხბურთის ლიგა: არ მომკვდარა, მხოლოდ...

ქართული G5 გამოვა?

ჩვენს გვაათქმევინეთ ორიოდ სიტყვა...

2

განთესილები და გაუთესავები

ევრო 2012

UEFA EURO2012 POLAND-UKRAINE

დღეს პლეი ოფის წილისყრაა

8

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სიტუაცია

გია ფირცხალავა: პროფლიგა უვარგისი რომ იყოს, უეფა მხარს არ დაუჭერდა



ძველი, კეთილი დრო: როცა ყველა ერთად იყო...

10 ოქტომბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და ტოტალიზატორ Europe-bet-ს შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატის გამარჯვებული ახალი სპონსორისგან 100 ათას დოლარს მიიღებს. ითქვა, რომ ფეხბურთის ფედერაცია ამ ტოტალიზატორთან აქტიურ თანამშრომლობას მომავალშიც აპირებს, შემდგომი სეზონებისთვის დაგეგმილია საპრიზო ფონდის გაზრდა და თანხას არა მხოლოდ ჩემპიონი, არამედ პრიზიორებიც მიიღებენ. ფულადი ჯილდო დაწესდება საქართველოს თასის გათამაშებაშიც.

ეს არც ისე დავიწყებული არც ისე ძველი ტექსტია, ეგაა, რამდენიმე წლის წინ ეროვნული ჩემპიონატის, თასისა და სუპერთასის სპონსორებს არა ფედერაცია, არამედ პროფესიული ფეხბურთის ლიგა მოიძიებდა ხოლმე.

თუმცა, ერთი წელია, პროფლიგა აღარ არსებობს, მისი დაშლის ამბავი ნელ-ნელა, თანდათან შემოგვაპარეს, ლიგის ფუნქციები ისევ ფეხბურთის ფედერაციამ გადაიბარა და დღემდე გაუგებარია, ეს ორგანიზაცია ფორმალურად მაინც თუ არსებობს, კიდევ არის მისი გაცოცხლების იმედი და, საერთოდ, რა ხდება?

ამ კითხვით ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ გია ფირცხალავას მივმართეთ.

- პროფლიგის ფუნქციების შეჩერების შემდეგ ისე გამოჩნდა, რომ არსებული ფინანსური რესურსები და სარეკლამო თანხები ორი ორგანიზაციის, ფედერაციისა და პროფლიგის შესანახად საკმარისი არ იყო.

- სამწუხაროა, რომ აღარ მოქმედებს პროფლიგა, რომელსაც გასულ სეზონში ფინანსური პრობლემები შეექმნა. თუმცა, ბოლო ერთი წელია, სახელმწიფომ ეროვნული ჩემპიონატის მოსაფერიანებლად იმხელა ნაბიჯები გადადგა, ეტყობა, მაშინ დროებით ასე იყო საჭირო.

- პროფლიგის აღდგენის იმედი თუ გაქვთ, ან სურს კი ფედერაციას ჩემპიონატის ორგანიზების უფლებების მისთვის დაბრუნება?

- არა მგონია, ულიგოდ დიდხანს გავჩერდეთ, რადგან უეფას ნევრი 53 ქვეყნიდან 42-ში პროფესიული ფეხბურთის ლიგა ფუნქციონირებს, ანუ ეს საჭირო ორგანიზაციაა. უბრალოდ, ჩვენ ამ ეტაპზე დაგვჭირდა ეროვნული ჩემპიონატის მხარდაჭერა, რათა ლიგის ასამუშავებლად აუცილებელი საფუძველი ჩაიყაროს. მაგრამ ლიგის გაუქმება დაუშვებელია. უვარგისი ორგანიზაცია რომ იყოს, უეფასგან მხარდაჭერა არ ექნებოდა.

- პროფლიგის აღსადგენად რეალური ნაბიჯები თუ იდგმება?

- ეს მთლიანად იქნება დამოკიდებული კლუბების, ზოგადად, საკლუბო ინფრასტრუქტურის და ჩვენი ჩემპიონატის გაძლიერებაზე. როდესაც კლუბები ძლიერები არიან და ჩემპიონატი მაყურებელს იზიდავს, ინვესტორებს ინტერესი უჩნდებათ. ჩვენი მიზანი სწორედ პროფლიგის აღსადგენად საჭირო გარემოს შექმნაა.

საერთოდ, ნორმალური ჩემპიონატის ჩასატარებლად აუცილებელია, გუნდები არა მხოლოდ ფინანსურად, თანამედროვე ინფრასტრუქტურითაც იყვნენ უზრუნველყოფილნი, თანაც, სტაბილურად. აუცილებელია ასევე მედიით, განსაკუთრებით კი ტელევიზიებით, ტურნირის გაშუქება. ინვესტორები თანხის ჩადებით ამის შემდეგ დაინტერესდებიან.

- ამ ჩემპიონატამდე, ისევე როგორც ადრე, იყო ლაპარაკი, რომ გუნდებს დაფინანსებდნენ, მაგრამ ფოთის "კოლხეთში" და ბოლნისის "სიონში" მაინც არის ფინანსური პრობლემები. დრომ გამოაჩინა, რომ კლუბის ჩემპიონატში მონაწილეობისთვის ფინანსური გარანტიები აუცილებელია.

- უფულო გუნდები არავის სჭირდება და, ცხადია, გარანტიაც სასურველია, მაგრამ ეს საკითხი მთლიანობაში უნდა განვიხილოთ. მჯერა, ფინანსური პრობლემები მალე გამოსწორდება და გუნდებს უფულობა აღარ შეაწუხებს.

- საქართველო 12-გუნდიანი ჩემპიონატისთვის მზად იყო?

- ვფიქრობ, ამის საფუძველი არსებობდა, რათა რეგიონებში მეტი გუნდი გვყოლოდა და იმედია, სამომავლოდ კარგად დაფინანსებული კლუბების რაოდენობა გაიზრდება. იდეალური 16-გუნდიანი ჩემპიონატია, საამისოდ კი ბევრს ნიშნავს ხარისხიანი ინფრასტრუქტურა, განსაკუთრებით, მოედნები, რაზეც მიმდინარეობს კიდეც მუშაობა. ვფიქრობ, გარკვეული პერიოდი უნდა გავიჭირვოთ, შემდეგომში მიზანს რომ მივაღწიოთ.

ჩემი აზრით, წლეულს ჩემპიონატი საინტერესოდ მიმდინარეობს, მაგრამ ყველაფერი ახალი ფორმატის ამოქმედებისა და სეზონის ბოლოს გამოჩნდება.

● ეროვნული ნაკრები

ჰო თუ არა, ამერიკა?

ოცწლიან მეგობრობას ამხანაგურიც მოუხდება



საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** საბერძნეთთან წაგებული მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე ამხანაგური შეხვედრების თაობაზეც ილაპარაკა. გაირკვა, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკება უკვე დაუწყია.

ლაპარაკია აშშ-ის ნაკრებთან ორი მატჩის გამართვაზე, ერთი თბილისში უნდა ჩატარდეს, მეორე კი ამერიკაში.

ქეცბაიას განსაკუთრებით თბილისური მატჩის პერსპექტივა ახარებს, რადგან მისი ხელმძღვანელობით ჩგამართული 15 მატჩიდან "ჯვაროსნებმა" საქართველოში მხოლოდ 6 ითამაშეს.

როგორც შევიტყვეთ, ფეხბურთის ფედერაციაში ახლა ამერიკელების პასუხს ელიან. მათ თამაშის სურვილი გამოხატეს, ახლა მთავარია, ვადები შეთანხმდეს, მატჩები კი ამერიკა-საქართველოს 20-წლიან მეგობრულ ურთიერთობას უნდა მიეძღვნას. თვის ბოლომდე ყველაფერი გაირკვევა, მოლაპარაკებაში ჩართულია საქართველოს საელჩო ამერიკაში.

თუ ამერიკელები დათანხმდებიან, პირველი შეხვედრა თბილისში გაიმართება წლეულსვე, ნოემბერში, მეორე კი გაისად ამერიკაში.

მოლაპარაკებები მიმდინარეობს სხვა ფედერაციებთანაც, თუმცა ყველაფერი ამერიკელების პასუხზეა დამოკიდებული.

გვერდი მოამზადა
მერაბ მამულაშვილმა

● საკლუბო ცხოვრება

G5 ქართული კლუბების დიდი ხუთეული

როდის გაიმართება შეხვედრა?

როდის ამოქმედდება შარშან დაკონსერვებული პროფესიული ფეხბურთის ლიგა, ეს ჯერ არავინ იცის, ამასობაში კი, „ვიტ ჯორჯია" საყურადღებო ინიციატივით გამოვიდა. ამის თაობაზე ერთი თვის წინ "ვიტ ჯორჯიას" სპორტულ დირექტორს **დავით თავართქილაძეს** ვესაუბრეთ.

"ვინაიდან პროფესიული ფეხბურთის ლიგა აღარ მოქმედებს, ჩვენი კლუბის სურვილია, ეს ვაკუუმი ქართული კლუბების ასოციაციამ შეავსოს, რომელშიც ყველა ჩვენი პროფესიული გუნდი გაერთიანდება. იმედია, ჩვენს მოსაზრებებს



კლუბები გაიზიარებენ. მიგვაჩნია, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის განვითარებისთვის ასეთი გაერთიანება აუცილებელია, რადგან კლუბების ინტერესები უნდა დავიცვათ.

ორგანიზაციის ქმედუნარიანობისთვის აუცილებელია სახსრები, რომელიც პროფლიგამ ვერ მოიზიდა და ამიტომაც დაიშალა. ჩვენ ფულის მოზიდვის იმედიც გვაქვს და კონკრეტული პროექტიც. ჟენევაში, კლუბების ასამბლეაზე საინტერესო იდეა შემოგვთავაზეს - საქართველოშიც და უცხოეთშიც არის ტოტალიზატორები, რომლებიც ჩვენი ჩემპიონატის მატჩებზე ფსონებს იღებენ. იდეა ასეთია: ეროვნული ჩემპიონატი არის ჩვენი პროდუქტი, რომლითაც ტოტალიზატორები სარგებლობენ და თუ იქნება საკანონმდებლო ინიციატივა ან ნორმატიული აქტი, ტოტალიზატორები ვალდებულები იქნებიან, მოგების გარკვეული ნაწილი საქართველოს კლუბების ასოციაციას ჩაურიცხონ. ეს არის მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდი. ამის შესახებ გველაპარაკა ევროპარლამენტის დეპუტატი ივო ბელეტი და უეფას გენერალური მდივანი ჯანი ინფანტინო" – თქვა თავართქილაძემ.

ეს იდეა გააჟღერა კლუბმა, რომელიც პროფესიული ფეხბურთის ლიგის არსებობას პრინციპულ საქმედ მიიჩნევდა, რადგან ეს კომერციალიზაციისკენ გადაგმული ნაბიჯი იყო, თუმცაღა ხშირად არ ეთანხმებოდა ლიგის მიდგომებს. ანუ "ვიტ ჯორჯიაში" მაშინაც ფიქრობდნენ, რა ფორმით აჯობებდა კლუბების გაერთიანება?

იდეის გაჟღერებიდან ერთი თვე გავიდა, რა ნაბიჯი გადაიდგა მის განსახორციელებლად? დავინტერესდით და საინტერესო ფაქტები შევიტყვეთ: "ვიტ ჯორჯიამ" აზრი გაუზიარა ეროვნული ჩემპიონატის ყველა ლიდერს, პირველად მხარდაჭერა თბილისის "დინამომ" გამოუცხადა, მათი პოზიცია გაიზიარა რუსთავის "მეტალურგმაც".

ცხადია, ინიციატივა გააცნეს "ზესტაფონსაც" და ქუთაისის "ტორპედოსაც" და მათგანაც მხარდაჭერას იმედოვნებენ. კლუბები ქართული ფეხბურთის, ეროვნული ჩემპიონატის უკეთ მოწყობისა და სხვა საჭირბოროტო საკითხების თაობაზე ერთი აზრისანი არიან - ფედერაციამ მათ მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს და გაიზიაროს კლუბების გამოცდილება და ინტერესები.

ქართული კლუბების დიდი ხუთეულის, ანუ როგორც მონათლეს, G5-ის შეხვედრა უახლოესი პერიოდისთვის მზადდება. შესაძლოა, ამ გაერთიანებით ფედერაციას გაუჩნდეს გარკვეული ალტერნატიული სათათბირო, სადაც კლუბების ინტერესებს დაიცავენ და მას საჯაროდ გამოიტანენ.

თუმცა ეს არ აშინებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტს, პროფესიული ფეხბურთის ლიგის პრეზიდენტ გია ფირცხალავას: *"იდეა ძალიან საინტერესო და გასაგებია, მისაღები იქნება ნებისმიერი გაერთიანება, რომელიც ქართული ფეხბურთის სამსახურში ჩადგება".*

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

ჰალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:00

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **237 78 07**

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გეზდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

● საქართველოს ნაკრები. ძველ-ახალი

ცარიელი ტრიბუნები ჩვენი ფეხბურთის სარკე

საქართველოს ნაკრებისთვის მორიგი შესარჩევი ციკლიც წარუმატებელი გამოდგა; ისე, განსხვავებული აზრიც არსებობს: გარკვეულ კატეგორიას მიაჩნია, რომ 2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი საქართველოს ნაკრებისათვის... წარმატებული იყო! ოღონდ, აქვე „სასწრაფოდ“ უნდა განვმარტოთ: ქართული სპორტული მედიისა თუ გულშემატკივართა თითქმის 99 პროცენტს აბსოლუტურად საპირისპირო მოსაზრება გააჩნია ამის თაობაზე. ერთადერთი, რითაც შეიძლება მართლაც „ვიამაყოთ“, ნინა ციკლთან შედარებით გაუმჯობესებული შედეგია: 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი ჯგუფში ბოლო ადგილზე და მოუგებლად დავამთავრეთ, ახლა კი ერთი საფეხურითაც დავწინაურდით (ერთ-ქულიან მალტას გავასწარით) და სამი გამარჯვებაც მოვიპოვეთ. თუმცა, არა გვგონია, რომ ექვსგუნდიან და არცთუ ძლიერი ნაკრებებით დაკომპლექტებულ ჯგუფში 10 ქულის მოგროვება წარმატება იყოს — მსგავს შედეგს ხომ ადრეც ვაღწევდით, თანაც, ახლანდელთან შედარებით ბევრად უფრო ძლიერი მეტოქეების კომპანიაში. ყველაზე ცუდი კი ის არის, რომ უკვე ცხრა შესარჩევი ციკლი ჩავატარეთ და საუკეთესოდ კვლავაც სადებიუტოში (1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი) ნაჩვენები შედეგი რჩება: იმის მერე 5 მოგებაც აღარ გვქონია, ბურთების დადებითი სხვაობაც და აღარაფერს ვამბობთ 15 ქულაზე! აი, ასეთი დასაწყისის შემდეგ იყო, ჩვენი ნაკრებისგან... იტალიასთან და ინგლისთან უპირობო გამარჯვებას რომ ვითხოვდით, თუმცა მერე და მერე რეალობის აღქმაც დაგვიბრუნდა; თუმცა „უცნაურობა“ მაინც გრძელდებოდა: შედარებით იოლ ჯუფში ვხვდებოდით და ყველაზე კატასტროფული შედეგი მაშინ გვქონდა ხოლმე! აბა, გაიხსენეთ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი, როცა უფავორიტო ჯგუფში (არც ერთი გრანდი არ იყო) ბოლო ადგილზე გავედით; მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, ისე წესითა და რიგით, იმის მიზეზებზეც უნდა გვემსჯელა, თუ რატომ დაასრულა ასე უსახურად ჩვენმა ნაკრებმა ბოლო შესარჩევი ციკლი. არადა, გულახდილად რომ ვთქვათ, ასეთ დასასრულს ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით: საწყის ხუთ ტურში მოპოვებულ ცხრა ქულას დარჩენილ ხუთ შეხვედრაში მხოლოდ 1 მივუმატეთ! კიდევ ვიმეორებთ, რომ, ალბათ, მართლაც უპრიანი იქნებოდა ჩვენი ნაკრების ასეთი „სახეცვლილების“ მიზეზი გაგვერკვია, თუმცა, ალალად ვიტყვით და... ამის სურვილიც აღარ გვაქვს! არც ის გვინდა, ამ შესარჩევი ციკლის ბოლო მატჩს საკუთარი შეფასება რომ მივცეთ; არადა, სატურნირო თვალსაზრისით ჩვენთვის ეს შეხვედრა, ფაქტობრივად, არაფერს წყვეტდა (ვიღაცებისათვის, შესაძლოა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მეოთხე ადგილს დავიკავებდით თუ მეხუთეს), მაგრამ, რატომღაც მაინც გვეგონა, რომ ამ მატჩს, სულ მცირე, არ ნავაგებდით. „კარის გაჯახუნებაო“, „ღირსების მატჩიო“, „წყენაც დაგვავიწყდებაო“, — აი, ასეთი ოპტიმისტური სათაურებით გამოვხატავდით საკუთარ დამოკიდებულებას შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩის წინ; სამწუხაროდ მორიგი იმედგაცრუება გველოდა და ერთი-ორი გამონაკლისის გარდა, ჩვენი ნაკრების წევრებისათვის, თითქოს, სულ ერთიც იყო, ეს შეხვედრა როგორ დამთავრდებოდა...

... არც კარი გაგვიჯახუნებია და ჩვენი ნაკრების თამაშის შემხედვარე სიტყვა „ღირსების“ ხსენებაც უადგილოდ მიგვაჩნია; აი, წყენის დავიწყების კი რა მოგახსენოთ: ფაქტობრივად, სანახევროდ ცარიელი ტრიბუნები ნათლად ასახავდა ქართველი გულშემატკივარის აბსოლუტურად სამართლიან დამოკიდებულებას ჩვენი უპირველესი გუნდის ბოლოდროინდელი თამაშებისა და შედეგების მიმართ. ჰო, მხოლოდ სასურველი თუ არასასურველი შედეგიც არ არის მთავარი: შესაძლოა, ამა თუ იმ მეტოქესთან მატჩი ნააგო, მაგრამ ისე ითამაშო, რომ გულშემატკივარი შეურაცხყოფილი არ დარჩეს; სამწუხაროდ, უკვე წლებია, არც შედეგი გვაქვს და არც — სანახაობა; ვერც უცხოელმა მწვრთნელებმა „გვიშველეს“ და ვერც ადგილობრივებმა, თუმცა თურმე „პროგრესის გზას ვადგავართ და წარმატებული ციკლი გვქონია!“ ყველას თავისი აზრი აქვს ამ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა დღესდღეობით იმის სურვილიც გვეკარგება, საპირისპირო რომ ვამტკიცოთ. საერთოდაც, აქვს კი აზრი ჩვენი ფეხბურთის ხელმძღვანელებისგან განსხვავებული შეხედულებები ხმამაღლა რომ ვთქვათ? არა უშავს, მომავალ წელს ახალი შესარჩევი ციკლი დაიწყება, რომელიც თურმე იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ კიდევ მომდევნოსთვის გამოგვადგეს; ამასობაში ერთი-ორ თამაშსაც სადმე „გამოვაძრობთ“ და კვლავაც ქართული ფეხბურთის აღმავლობაზე წავა ლაპარაკი. რეალურად კი რაც ხდება ჩვენს ფეხბურთში, ამას ბოლო მატჩის ცარიელი ტრიბუნები ადასტურებს...

გია ტუხაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

თემურ ქეცბაია

რეკლამის მენეჯერის
ვაკანსია „ლელოში“
E-mail:hr@kvirispalitra.com

1996 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. გერმანია	10	8	1	1	27-10	25
2. გულგარეთი	10	7	1	2	24-10	22
3. საქართველო	10	5	0	5	14-13	15
4. მოლდოვა	10	3	0	7	11-27	9
5. უელსი	10	2	2	6	9-19	8
6. ალბანეთი	10	2	2	6	10-16	8

მწვრთნელი: ალექსანდრე ჩივაძე

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ინგლისი	8	6	1	1	15-2	19
2. იტალია	8	5	3	0	11-1	18
3. პოლონეთი	8	3	1	4	10-12	10
4. საქართველო	8	3	1	4	7-9	10
5. მოლდოვა	8	0	0	8	2-21	0

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე (2 მატჩი), დავით ყიფიანი (6 მატჩი)

2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ნორვეგია	10	8	1	1	21-9	25
2. სლოვენია	10	5	2	3	12-14	17
3. საბერძნეთი	10	4	3	3	13-8	15
4. ლატვია	10	3	4	3	13-12	13
5. ალბანეთი	10	1	4	5	8-14	7
6. საქართველო	10	1	2	7	8-18	5

მწვრთნელები: ვლადიმერ გუცაევი (5 მატჩი), იოჰან ბოსკამპი (5 მატჩი)

2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	8	6	2	0	16-3	20
2. რუმინეთი	8	5	1	2	10-7	16
3. საქართველო	8	3	1	4	12-12	10
4. უნგრეთი	8	2	2	4	14-13	8
5. ლიტვა	8	0	2	6	3-20	2

მწვრთნელები: დავით ყიფიანი, რევაზ ძოძუაშვილი (5 მატჩი), ალექსანდრე ჩივაძე (3 მატჩი)

2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. შვეიცარია	8	4	3	1	15-11	15
2. რუსეთი	8	4	2	2	19-12	14
3. ირლანდია	8	3	2	3	10-11	11
4. ალბანეთი	8	2	2	4	11-15	8
5. საქართველო	8	2	1	5	8-14	7

მწვრთნელები: ალექსანდრე ჩივაძე (3 მატჩი), ივო შუშაკი (2 მატჩი), მერაბ ჟორდანია (3 მატჩი)

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. უკრაინა	12	7	4	1	18-7	25
2. თურქეთი	12	6	5	1	23-9	23
3. დანია	12	6	4	2	24-12	22
4. საბერძნეთი	12	6	3	3	15-9	21
5. ალბანეთი	12	4	1	7	11-20	13
6. საქართველო	12	2	4	6	14-25	10
7. ყაზახეთი	12	0	1	11	6-29	1

მწვრთნელები: ალენ ჟირესი (7 მატჩი), გაიოზ დარსაძე (5 მატჩი)

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	12	9	2	1	22-9	29
2. საფრანგეთი	12	8	2	2	25-5	26
3. შოტლანდია	12	8	0	4	21-12	24
4. უკრაინა	12	5	2	5	18-16	17
5. ლიტვა	12	5	1	6	11-13	16
6. საქართველო	12	3	1	8	16-19	10
7. ფარერეები	12	0	0	12	4-43	0

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. იტალია	10	7	3	0	18-7	24
2. ირლანდია	10	4	6	0	12-8	18
3. გულგარეთი	10	3	5	2	17-13	14
4. კვიპროსი	10	2	3	5	14-16	9
5. ჩერნოგორია	10	1	6	3	9-14	9
6. საქართველო	10	0	3	7	7-19	3

მწვრთნელი: ექტორ რაულ კუპერი

2012 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. საბერძნეთი	10	7	3	0	14-5	24
2. ხორვატია	10	7	1	2	18-7	22
3. ისრაელი	10	5	1	4	13-11	16
4. ლატვია	10	3	2	5	9-12	11
5. საქართველო	10	2	4	4	7-9	10
6. მალტა	10	0	1	9	3-21	1

მწვრთნელი: თემურ ქეცბაია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

ახალგაზრდა, მაგრამ რეალისტი

მამუკა კობახიძემ იცის, რომ არ უნდა იჩქაროს

უკვე საკმაო ხანია, მამუკა კობახიძე "ზესტაფონის" ძირითადი შემადგენლობის წევრია, თუმცა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში ოფიციალური დებიუტი რამდენიმე დღის წინ ჰქონდა, როცა სოსო ჭედიას გუნდი თბილისში შვეიცარიასთან დამარცხდა.

ამ მატჩში 19 წლის კობახიძემ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და რესპონდენტადაც იგი შევარჩიეთ. ინტერვიუ სანაკრებო თემით დავიწყეთ, მერე კი "ზესტაფონსაც" შევეხეთ.

- რა იყო შვეიცარიასთან განცდილი მარცხის მიზეზი?

- უპირველესად, უიღბლობა, თორემ, ობიექტურად რომ ვთქვათ, მეტოქემ ვერაფრით გვაჯობა. სამწუხაროდ, ისე მოხდა, რომ ჩვენ საგოლე შანსები ვერ გამოვიყენეთ, სტუმრებმა კი გატანაც შეძლეს და გამარჯვებაც. უდავოა, რომ შვეიცარიის ნაკრები მაღალი კლასის გუნდია, მაგრამ ამ კონკრეტულ შეხვედრაში მას ტოლი არ დავუდეთ. სამწუხაროა, რომ ჩვენმა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პირველ ტურში მოპოვებული გამარჯვების

შემდეგ ზედიზედ რამდენიმე მარცხი იწვნია და ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგა.

- საქართველოს ნაკრების თამაშის ხარისხი თუ იყო დამაკმაყოფილებელი?

- ვფიქრობ, საკმაოდ გამართული ფეხბურთი ვითამაშეთ და ხალხს დავანახეთ, რომ ამ თაობას პერსპექტივა აქვს.

- საკუთარ დებიუტზე რას იტყოდი?

- მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდულ ნაკრებში თავის გამოჩენის შანსი მომეცა. ამჯერად ძირითად შემადგენლობაში ლევან კაკუბავას არყოფნის გამო მოვხვდი, ახლო მომავალში კი, იმედი მაქვს, სხვისი შემცვლელი კი არა, ძირითადის სტაბილური წევრი ვიქნები. ნაკრებში თამაში ჩემთვის დიდი პატივია და მოედანზე თავს არ დავზოგავ, დანარჩენი კი გულშემატკივარმა უნდა შეაფასოს.

- შვეიცარიასთან მატჩში ჩვენი გუნდის კარი აშკარა გოლისგან იხსენი.

- ახლა ამას მნიშვნელობა აღარ აქვს, რადგან ჩემმა მოქმედებამ მარცხს მაინც ვერ გადაგვარჩინა. თუმცა იმ მომენტისთვის 0:0 იყო და შვეიცარიელებს ანგარიშის გახსნის საშუალება არ მივეცი – ხარიხიდან ასხლეტილ ბურთს მეტოქე ჩვენს კარში გზავნიდა და მას კარის ხაზზე დავხვდი.

- როგორ ფიქრობ, როდის იქნები მზად ეროვნულ ნაკრებში სათამაშოდ?

- ჩვენს ეროვნულს ყველაზე ნაკლებად დაცვაში უჭირს, მაღალი დონის უკანახაზელები გვყავს და მათთან კონკურენცია ძალიან ძნელი იქნება. ესეც რომ არ იყოს, არსად მეჩქარება და უახლოეს პერიოდში ახალგაზრდულ ნაკრებს მინდა გამოვადგე, ეროვნულისთვის კი მზად ცოტა მოგვიანებით ვიქნები.

- გიორგი ხიდეშელის დაშავების შემდეგ "ზესტაფონის" სასტარტოში სისტემატურად თამაშობ.

- ჩემთვის ხიდეშელის ტრავმა ძალიან ცუდი ამბავი იყო, რადგან იგი ჩემი მეგობარი და კარგი პარტნიორია. ძირითადში მანამდეც ხშირად ვხვდებოდი, მაგრამ მართლაც ასეა, გიორგის დაშავების შემდეგ მუდმივად მოედანზე ვარ. "ზესტაფონს" მის გარდა კიდევ ორი მაღალი დონის ცენტრალური მცველი ჰყავს – გიორგი ონიანი და ედიკ საჯაია, რომელთა გვერდითაც ბევრს ვსწავლობ. მიხარია, რომ ახალი წლიდან ხიდეშელიც დაგვიბრუნდება და ჩვენი დაცვის ცენტრში ძალიან მძაფრი, მაგრამ ჯანსაღი კონკურენცია იქნება. ფეხბურთელი სწორედ ასეთ გარემოში იზრდება და ჩემთვის ეს სიტუაცია ძალიან საინტერესო და სასარგებლოა. ყველანაირად ვეცდები, ძირითადში ადგილი შევინარჩუნო, რაც იოლი ნამდვილად არ იქნება.

- რა დაგაკლდა "ზესტაფონს" ევროთასების ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად?

- იღბალიც და გამოცდილებაც, ალბათ, უფრო მეორე. ჩვენი ჩემპიონატი უფრო მაღალი დონისა რომ იყოს და ძლიერ მეტოქეებთან ხშირად ვთამაშობდეთ, "შტურმისა" და "ბრიუგეს" კატეგორიის გუნდებთან გამარჯვების გაცილებით დიდი შანსი გვექნებოდა.

- "ზესტაფონის" ამჟამინდელ ძალას როგორ შეაფასებ?

- ჩვენი მთავარი მიზანი კვლავ საქართველოს ჩემპიონობაა და მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი. ზაფხულიდან მოყოლებული, "ზესტაფონში" ბევრი რამ მოხდა და შეიცვალა, მაგრამ, რაც მთავარია, კლუბში ჯანსაღი სიტუაციაა, ფეხბურთელებს აქ ყოფნა გვსიამოვნებს და გვჯერა, ასეთი განწყობით ბევრის მიღწევა შეგვიძლია.

- რა არის შენი უახლოესი მიზანი?

- ეროვნულ ნაკრებში მოხვედრა და კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელება ჩემს ასაკში საჩქარო არ არის, აქაც ბევრი მაქვს სასწავლი და საამისოდ "ზესტაფონი" ზედგამოჭრილი ადგილია. მინდა, რომ მომავალში ამ კლუბის გულშემატკივრებმა კარგად გამიხსენონ, საამისოდ კი საჭიროა, საქართველოში საუკეთესოები ვიყოთ, ევროპულ ასპარეზზე კი უფრო წინ წავიდეთ.

ლევან ჯანეზაშვილი

დაბრუნება?

აკაკი გოგია

ისევ გოგიასა და ქეცბაიაზე

მეორე შეხვედრა მალე შედგება

უკვე გაცნობეთ, რომ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **თემურ ქეცბაიამ** გერმანიაში გაზრდილი ქართველი ფეხბურთელი **აკაკი გოგია** საქართველოს ნაკრებში თამაშზე დაითანხმა. მანამდე "აუგსბურგის" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი თავს იკავებდა და გერმანიის სახელით თამაში სურდა.

თუმცა, ფეხბურთის ფედერაციის ყოფილმა თანამშრომელმა **თამაზ ბოკერიამ** (რომელიც გოგიასთან მოლაპარაკების ინიციატორი გახლდათ) გაიხსენა, რომ გოგია 2009 წელს თანახმა იყო, შვეიცარიაში საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს გაჰყოლოდა (გუნდს მაშინ **გელა შეყილაძე** წვრთნიდა), ბარგიც ჩალაგებული ჰქონდა, მაგრამ... ვინ უწყის, ასე საკლუბო კარიერას აინყობდა თუ არა.

გადაწყვეტილებას, ეთამაშა გერმანიის ნაკრებში, ასე ხსნიდა - კარიერაა-უწყობელი მოთამაშე ვერც თავს გამოადგებოდა და ვერც საქართველოს. სამწუხაროდ, ასეთი მძიმე არჩევანის წინაშე ბოლო წლებში უცხოეთში გაზრდილი არაერთი ქართველი დამდგარა, მაგრამ უმრავლესობა საბოლოო არჩევანს მაინც საქართველოს სასარგებლოდ აკეთებდა.

ასე მოხდა გოგიას შემთხვევაშიც, თუმცა ქეცბაიასთან შეთანხმების შესახებ გავრცელებული ინფორმაციის შემდეგ აკაკი გერმანიის 20-წლამდელთა ნაკრებში გამოიძახეს, რომელიც 5 ოქტომბერს იტალიას, 9-ში კი შვეიცარიას შეხვდა.

ფედერაციაში იციან, რომ გოგია შეკრებაზე იყო, თუმცა ასაკობრივ ნაკრებში თამაში საქართველოს ეროვნული გუნდის ფორმის მორგებაში ხელს ვერ შეუშლის.

ფედერაციაში გვითხრეს, რომ ქეცბაია გოგიას კიდევ ერთხელ დაელაპარაკება, პრობლემების მოგვარებაში დაეხმარება და შესაძლოა, საქართველოს ნაკრებში გოგიას დებიუტი უახლოეს პერიოდში შედგეს.

მერაბ მამულაშვილი

საკონტროლო მატჩი

მარგვილელებმა ზესტაფონში იმარჯვეს

"ზესტაფონმა" სანაკრებო პაუზისას მეორე საკონტროლო მატჩი ჩაატარა. **გიორგი ჭიაბრიშვილის** გუნდმა საკუთარ ბაზაზე მარტვილის "მერანს" უმასპინძლა და 2:3 დამარცხდა.

ზესტაფონელები მატჩის დებიუტშივე მდევრის როლში აღმოჩნდნენ - მე-3 წუთზე მარტვილელთა შეტევა ზუსტი თავურით **მუნინი ტაპემ** დააგვირგვინა. მასპინძლებმა **გოგი ფიფიას** წაქცევისთვის დანიშნული 11-მეტრიანით 25-ე წუთზე კი გაათანაბრეს (გოლი თავად დაზარალებულმა გაიტანა), მაგრამ ტაიმი მაინც სტუმრებმა მოიგეს - 43-ე წუთზე თერთმეტმეტრიანი **გიგა ჟვანიამ** გამოიყენა.

53-ე წუთზე **ელგუჯა გრიგალაშვილის** ულამაზესმა დარტყმამ მიაღწია მიზანს, ორიოდ წუთში კი **კახა ალადაშვილმა** არანაკლებ ეფექტურად გაიტანა. მატჩის დასკვნით ნანილში მასპინძლები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ გამარჯვება მარტვილელებს დარჩათ – 2:3.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ითამაშეს:

"ზესტაფონი": **მამალაძე (46. მეშველიანი), ბენაშვილი (46. ალადაშვილი), რობაქიძე, საჯაია (46. გ. ონიანი), თ. ღონღაძე (46. ელიავა), გაჩეჩილაძე (46. ძარია), ჭანკოტაძე, ფიფია (46. აფციაური), გორგიაშვილი (46. სარდალიშვილი), ს. ლომია (46. წინამძღვრიშვილი), გელაშვილი (46. დვალი).**

"მერანი": **შეროზია (60. შენგელია), კაკუშაძე (46. ჭაფოძე), ჟვანია (70. იატრო), მემარნიშვილი (60. იობაშვილი), ე. გრიგალაშვილი (70. მელიავა), სუხიაშვილი (70. გეგეჭკორი), ჩალაძე (70. შალიკაშვილი), მანწკავა, დიდავა (70. ტორაძე), ტაპე (46. სამადაშვილი), ამბროლაძე (70. ქამუშაძე).**

ლევან ჯანეზაშვილი

ზესტაფონი-მარტვილი

ფოტო: www.fczestafoni.ge

პირველი ლიგა

ა ზონა

გამოტოვებული მატჩი

ლოკომოტივი-მეშახტე 2:2

IX ტური, 13 ოქტომბერი

კოლხეთი (ხ)-ბათუმი
ჭიათურა-ლოკომოტივი
მეშახტე-სამტრედია
მესხეთი-სტუ
მერცხალი-ჩხერიმელა

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ბათუმი	8	6	1	1	13-5	19
2. ჩხერიმელა	8	5	2	1	12-8	17
3. სტუ	7	4	2	1	17-11	14
4. მერცხალი	7	4	2	1	10-8	14
5. ჭიათურა	7	3	2	2	9-6	11
6. კოლხეთი (ხ)	8	2	2	4	8-11	8
7. მეშახტე	8	1	2	5	5-11	5
8. მესხეთი	7	1	1	5	3-9	4
9. ლოკომოტივი	5	0	3	2	4-7	3
10. სამტრედია	7	0	3	4	5-10	3

ბ ზონა

IX ტური

გურია-სამგურალი	3:0
ადელი-იმერეთი	1:2
ნ. დინამოელი-ჩიხურა	0:2
სულორი-აეტი (სოხუმი)	1:1
ზოოვეტი-სძური	1:1

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ჩიხურა	9	8	1	0	21-2	25
2. გურია	9	6	2	1	25-8	20
3. ნ/დინამოელი	9	5	1	3	19-8	16
4. იმერეთი	9	5	1	3	14-11	16
5. ზოოვეტი	9	4	1	4	11-17	13
6. სძური	9	3	2	4	10-14	11
7. სამგურალი	9	2	4	3	10-10	10
8. ადელი	9	2	1	6	10-17	7
9. სულორი	9	1	2	6	3-22	5
10. აეტი	9	1	1	7	5-19	4

დინამო

ლევან ხმალაძე: შეიძლება, თვე-ნახევარში...

ლევან ხმალაძის გამოჯანმრთელების პროცესი კიდევ რამდენიმე კვირას გასტანს. "დინამოს" მცველი რამდენიმე დღის წინ შტუტგარტიდან დაბრუნდა, სადაც სხივური თერაპიის კურსი ჩაუტარეს და სპეციალური სუპინატორები დაუმზადეს.

ცნობილი გერმანელი ქირურგ-ორთოპედის, **თომას ფრიულიხისა** და "დინამოს" ექიმ **მერაბ ვარძუკაშვილის** ერთობლივი გადაწყვეტილებით, ოპერაცია აღარ ჩატარდა. ხმალაძე მკურნალობას თბილისში განაგრძობს და თუ პროცესი სათანადოდ წარიმართა, მოედანს იგი თვე-ნახევარში დაუბრუნდება.

შეგახსენებთ, მიმდინარე სეზონში ხმალაძეს ერთი ოფიციალური მატჩიც კი არ ჩაუტარებია.

ლევან ჯანეზაშვილი

ლევან ხმალაძე (შუაში) რეაბილიტაციის კურსს აგრძელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

● სერბეთის ნაკრები

ვიდიჩი და სტანკოვიჩი ნავიდნენ

2012 წლის ევროპის შესარჩევ ციკლში წარუმატებელი ასპარეზობის შემდეგ სერბეთის ნაკრების ლიდერებმა **ნემანია ვიდიჩმა** და **დეიან სტანკოვიჩმა** სანაკრებო კარიერის დასრულების შესახებ განაცხადეს. სლოვენიასთან შეხვედრაში ვიდიჩმა მატჩის 64-ე წუთზე პენალტი ვერ გაიტანა. სერბეთმა კი ეს შეხვედრა წააგო. ჯგუფის გამარჯვებული იტალია გახდა, მეორე ადგილი კი, ყველასათვის მოულოდნელად, ესტონეთმა დაიკავა და ახლა ევროპის ჩემპიონატზე მოსახვედრად პლეი ოფში იბრძოლებს.

"მანჩესტერ იუნაიტედის" 29 წლის ცენტრალურმა მცველმა გადაწყვიტა, რომ ამიერიდან მთელი ყურადღება საკლუბო კარიერას დაუთმოს. *"მოვიდა გლობალური ცვლილებების დრო. უმჯობესი იქნება, თუკი რამდენიმე ხანდაზმული მოთამაშე გამოეთხოვება სერბეთის ნაკრებს და გზას პერსპექტიულ ახალგაზრდებს დაუთმობს. ამიერიდან ოფიციალურ შეხვედრებში აღარ ვითამაშებ, ამ-ნანაგურებში მონაწილეობაზე კიდევ შეიძლება დავფიქრდე,"* – განუცხადა ფეხბურთელმა Sportal.rs-ს. ნემანიას ანგარიშზე სულ 53 სანაკრებო შეხვედრაში გატანილი 2 გოლია. რაც შეეხება სტანკოვიჩს, მან ეროვნულ გუნდში 102 მატჩი ჩაატარა და 15 ბურთი გაიტანა. როცა ლაპარაკია ამ ფეხბურთელების სანაკრებო კარიერაზე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მათგანს, თუ შეიძლება ასე ითქვას, 3-3 ნაკრებში აქვს ნათამაშები: იუგოსლავიის, სერბეთისა და ჩერნოგორიის, ბოლოს კი სერბეთის. სტანკოვიჩს შესაბამისად 40, 21 და 41, ვიდიჩს კი 3, 17 და 34.

დეიან სტანკოვიჩი ეროვნულ გუნდს გამოეთხოვა

● ვერსპექტივა

ბექჭის კიდევ ერთი როლი

დევიდ ბექჰემი შეიძლება მანჩესტერ იუნაიტედში დაბრუნდეს

"მანჩესტერ იუნაიტედმა" დამაინტრიგებელი წინადადება მიიღო. **დევიდ ბექჰემმა** განაცხადა, რომ სიამოვნებით მიბაძავდა თავის მეგობარ **ზინედინ ზიდანს** და ყოფილ კლუბში სპორტულ დირექტორად იმუშავებდა. ეს წინადადება დამაინტრიგებელი იმიტომ არის, რომ დევიდის სახელი ბოლო 15 წელია, მარკეტინგული წარმატების სიმბოლოდ გადაიქცა. შეიძლება ითქვას, რასაც ის ეკარება, ყველაფრის გაყიდვა მატულობს. თუკი ბექზი "ოლდ ტრეფორდს" დაუბრუნდა, კლუბს ეს ერთიორად გაუადვილებს წარმატების მოპოვებას მსოფლიო ბაზრებზე.

დევიდმა "ოცნებათა თეატრში" 10 წელიწადი გაატარა, 6-ჯერ მოიგო პრემიერლიგა, 2-ჯერ გაიმარჯვა ინგლისის თასზე, დაიმსახურა ჩემპიონთა ლიგის ოქროს მედალი, სულ 300-ზე მეტჯერ მოირგო ალისფერი მაისური. ის დღემდე რჩება "წითელი ეშმაკების" გულშემატკივართა ნამდვილ კერპად მიუხედავად იმისა, რომ 2003 წელს ის ჯერ "რეალში" "გაიქცა", 2007-დან კი "ლოს ანჯელეს გალაქსის" ღირსებას იცავს. 2009 და 2010 წლებში კი იჯარით "მილანში" თამაშობდა. ინგლისელი ვარსკვლავი "როსონერისთან" სრულფასოვან კონტრაქტს ვერ ეღირსა.

36 წლის სუპერვარსკვლავს "გალაქსისთან" ხელშეკრულება ნოემბრის ბოლოს უმთავრდება. ამერიკული პრესა წერს, აშკარაა, დევიდს ამერიკაში დარჩენის სურვილი აღარ აქვსო. ჯერ გაურკვეველია, მოისურვებს თუ არა დევიდი აქტიური კარიერის გაგრძელებას, რის მშვენიერ შანსსაც მას "პარი სენ-ჟერმენი" აძლევს. ერთი რამ ყველამ იცის, "მანიუს" გარდა ბექზი პრემიერლიგის სხვა კლუბში თამაშს გამორიცხავს, ამიტომ პარიზელთა წინადადება მისთვის მისაღები უნდა იყოს. შეკითხვაზე, რას გეგმავს უახლოეს თვეებში, ინგლისელი არაორაზროვნად პასუხობს: *"რა თქმა უნდა, მინდა ოდესმე "მანჩესტერ იუნაიტედში" დაბრუნება, რადგან საუკეთესო მოგონება, რაც კი მაქვს, ეს 1999 წელია, როცა ჩემს გუნდთან ერთად ერთბაშად სამი ტიტული მოვიგე".*

ახლა ყველაფერი მხოლოდ ერთ პიროვნებაზე ხდება დამოკიდებული და ეს სერ **ალექს ფერგიუსონია**. მოისურვებს კი შოტლანდიელი დევიდთან თანამშრომლობას?

● ფეხბურთი და ბიზნესი

ლივერპულელთა სეპარატიზმი

"ლივერპულის" ხელმძღვანელობამ სურვილი გამოთქვა, რომ კლუბებსა და ინგლისის პრემიერლიგას შორის დადებული კოლექტიური ხელშეკრულებიდან გამოვიდეს და საკუთარი სატელევიზიო ტრანსლაციების უფლება თავად განკარგოს. მერსისაიდელთა "სეპარატისტული" იდეების უმთავრესი მოტივაცია ის არის, რომ მათი თქმით, ღრმად არიან დარწმუნებულნი, რომ მოქმედი ხელშეკრულება წამყვანი კლუბებისთვის წამგებიანია და თუკი ისინი საკუთარ უფლებებს თავად გაყიდიან, ბევრად მეტი შემოსავლის მიღებას უნდა ელოდონ.

პრემიერლიგასთან მოქმედი ხელშეკრულებით "ლივერპული" 3,2 მილიარდი ფუნტის (3,5 მილიარდი ევრო) შემოსავლიდან კუთვნილ წილს, წელიწადში 1/20-თანხას იღებს და ეს წილი ყველა კლუბისთვის თანაბარია. "ლივერპულის" მმართველი დირექტორი **იან ეირი** მიიჩნევს, რომ დამოუკიდებლად მოქმედების შემთხვევაში ენფილდელები უფრო სარფიან გარიგებას გამოჰკრავენ ხელს. "თუკი "რეალი", "ბარსელონა" და სხვა წამყვანი ევროპული კლუბები ახერხებენ თავიანთი მედიაუფლებების გაყიდვას, რატომ არიან ამას მოკლებულნი "ლივერპული" და "მანჩესტერ იუნაიტედი" და სხვა პრემიერლიგელები? – ჰკითხა ეირიმ "გარდიანს". – *„ჩვენ მხოლოდ იმ წილის მიღება გვინდა, რაც გვეკუთვნის. რას გადავწყვეტთ ამ სიტუაციაში? ჯერ აღნიშნულ თემაზე ხელშეკრულების სხვა მონაწილეებმა გამოხატონ თავიანთი პოზიცია. შეიძლება ერთადერთი სწორი გამოსავალი საკუთარი ტელევზიის ჩამოყალიბება იყოს, როგორც ეს ესპანეთში ხდება. ჩვენს პრემიერლიგელ კოლეგებს დიდ პატივს ვცემთ, მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, თუკი ბრიტანეთში ცხოვრობს და "ბოლტონის" გულშემატკივარი ხარ, შესაძლოა SKY-ს ან ESPN-ს იმიტომ უყურებდე, რომ შენი კლუბის მატჩების ყურება გსურდეს, მაგრამ თუკი კუალა ლუმპურში ცხოვრობ, ამ ტელევზიებს არ „გამოინერ" ამ კლუბის მატჩების საყურებლად. შეიძლება ასეთებიც არიან, მაგრამ უმრავლესობას "ლივერპულის", "მანჩესტერ იუნაიტედის", "ჩელსის" ან "არსენალის" ყურება სურს. როცა სიტუაციას ვაანალიზებთ, ვხედებით, რომ ჩვენივე ნებით საკუთარ თავებს წამგებიან სიტუაციაში ვაყენებთ".*

ბატონმა იან ეირიმ "ლივერპულის" შესახებ კიდევ ერთი საინტერესო ინფორმაცია მიანოდა საზოგადოებას. როგორც აღმოჩნდა, **ტომ ჰიკსთან** და **ჯორჯ ჯილეტთან** განშორების დროს კლუბი სერიოზული საფრთხის წინაშე იდგა: "ბანკს ჰქონდა უფლება, ჩვენთვის ვალის გადახდა მოეთხოვა. გარწმუნებთ, ნამდვილად არავინ იყო ისეთი, ვინც ამ ფულის გადახდას საკუთარ თავზე აიღებდა. თავისუფლად წარმოსადგენი იყო, რომ "ლივერპული" დროებითი მმართველების ხელში აღმოჩენილიყო. კლუბი მხოლოდ ბოლო საათებში გადარჩა, რომ ამ გზას არ გაუყვა," – განაცხადა ეირიმ.

იან ეირი

● არსენალი

არც ერთი სიტყვა მომავალზე

"არსენალის" მიერ უფერულად სეზონის დაწყებაზე იმდენი დაიწერა, რომ გულშემატკივარს შეიძლება მობეზრდა კიდევ ათასჯერ დაღეჭილი თემის ათასმეერთედ ნაკითხვა, მაგრამ დღევანდელობის გარდა "მეთოფეებს" სამომავლო პერსპექტივაც ხომ აქვთ? **რობინ ვან პერსიმ** ჟურნალისტებთან სწორედ ამაზე ილაპარაკა. *"მტკიცე რწმენა მაქვს იმ საქმისა, რასაც კლუბში ვაკეთებთ. გამარჯვებასა და წაგებას შორის ძალიან მცირე ზღვარია, გაიხსენეთ ჩვენი ბოლო მატჩი "ტოტენჰემის" წინააღმდეგ. ამ თამაშის მოგება ნამდვილად შეიძლებოდა ჩვენი შესაძლებლობების ზღვარზე რომ გვეთამაშა. სწორედ ამიტომ პანიკის არავითარი საფუძველი არ არსებობს. დიახ, ცუდი სტარტი გამოგვივიდა, დერბიში რომ გაგვემარჯვა სულ სხვაგვარ განწყობაზე ვიქნებოდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ და ამწუთას ცუდი შეგრძნებები გვაქვს. გარწმუნებთ, ყველაფერი არც ისე ცუდად არის, როგორც სხვებს ჰგონიათ,"* – განაცხადა ჰოლანდიელმა.

რაც შეეხება მის მომავალს "არსენალში" - ჰოლანდიელმა განაცხადა: *"არ ვაპირებ ჩემს მომავალზე განცხადებების კეთებას, მაგრამ ეს მხოლოდ უახლოეს კვირებს ეხება. "არსენალში" რვა წელიწადი გავატარე, რაც ჩვენს დროში რაღაც ექსტრაორდინარულს ჰგავს, რითიც ძალიან ვამაყობ. რას მომიტანს მომავალი? არავინ იცის. მესმის, რატომაც აინტერესებს ხალხს ეს, მაგრამ შემიძლია გულწრფელად ვთქვა, რომ ჩემი ფიქრები ახლა მხოლოდ "არსენალს" დასტრიალებს თავს".*

"მეთოფეთა" ხელმძღვანელები სწორედ მომავალზე ფიქრობენ, როცა წამყვან ფეხბურთელებს **რობინ ვან პერსის, თეო უოლკოტსა** და **ტომას ვერმაელენს** კონტრაქტების გახანგრძლივებას სთავაზობენ. აღნიშნულ ინფორმაციას The Express ავრცელებს. სამივე ვარსკვლავთან ხელშეკრულებები 2013 წელს იწურება. ხელმძღვანელობა კი შიშობს, რომ შექმნილი კრიზისიდან გამომდინარე ისინი "ემირეიტსზე" დარჩენაზე უარს იტყვიან. ცნობილი გახდა მხოლოდ ის, რომ პან პერსის ყველაზე მსუყე წინადადება შესთავაზეს: 4-წლიანი ხელშეკრულება, კვირაში 90 ათასი ფუნტის ანაზღაურებით.

აქვე გაგაცნობთ "არსენალთან" დაკავშირებულ კიდევ ერთ ინფორმაციას: მეთოფეთა რუსი მენილე, მილიარდერი **ალიშერ უსმანოვი** კლუბში თავისი წილის 29-დან 30%-მდე გაზრდას გეგმავს. „დეილი მეილის" ცნობით, ოლიგარქმა კლუბის აქციათა მცირე წილის მფლობელებს თითო აქციაში 14,5 ათასი ფუნტი შესთავაზა. შეგახსენებთ, რომ "მეთოფეთა" ყველაზე მსხვილი აქციონერი ამერიკელი **სტენ კრონკეა**, ვინც კლუბის 66,64%-ს აკონტროლებს. ეს უკანასკნელი სპორტულ სამყაროში აღიარებული პერსონაა, რადგან პრემიერლიგური გრანდის გარდა ფლობს MLS -ის "კოლორადო რეპიდსს", ამერიკული ფეხბურთის კლუბ "სენტ ლუის რამს", NHL–ის "კოლორადო ეველანშსა" და NBA-ის "დენვერ ნაგეტსს".

რობინ ვან პერსის ახალ კონტრაქტს სთავაზობენ

● ამბები

ტრავმა და კონტრაქტი

"ლიონის" სათადარიგო ფორვარდმა **ჟერემი პიემ** ვარჯიშზე მარცხენა კოჭის ტრავმა მიიღო და მკურნალობას მინიმუმ 3 კვირას მოანდომებს, გვამცნობს ლიგა 1-ის ოფიციალური ვებგვერდი. 22 წლის ფეხბურთელმა მიმდინარე სეზონში სულ 5 თამაში ჩაატარა (აქედან 4 შეცვლაზე) და 1 გოლი გაიტანა ("მონპელიესთან" მე-4 ტურში).

ამ უსიამოვნო ინფორმაციის პარალელურად შეგვიძლია გითხრათ, რომ "ლიონის" საფეხბურთო სკოლის აღზრდილმა **მაქსიმ გონალონმა** მმობლიურ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებაზე თანხმობა განაცხადა. 22 წლის საყრდენი ნახევარმცველი "სტად დე ჟერლანზე" 2007/08 სეზონიდან ირიცხება, დებიუტი მას 2009 წელს "ლორიანთან" შეხვედრაში ჰქონდა, მას მერე კი ლიგა 1-ში 57 თამაშში 2 გოლი აქვს გატანილი. ახალი კონტრაქტის თანახმად ფეხბურთელი კლუბში მინიმუმ 2016 წლამდე დარჩება.

უარი პადოვანის

"დიჟონის" მეკარემ, 31 წლის **ჟან-დანიელ პადოვანიმ** ლიგა 1-ში თავისი მეორე სეზონი (პირველი შორეულ 2002-03 წლების სეზონში "ნიცაში" ჩაატარა) კოშმარულად დაიწყო: "რენთან" 1-ელ ტურში 5 გოლი გაუშვა. მას მერე ლიგის დებიუტანტთა კარს რეგულარულად ანდობენ 20 წლის **ბაპტისტ რეინეს**, ვინც დამაჯერებლად გამოიყურება. ვეტერანს მოვლენათა ამგვარი განვითარება ხელს არ აძლევს, მაგრამ ვერც გამოსავალს ხედავს, რადგან **პატრის კარტერონი** ძირითადში მის დაბრუნებას ნამდვილად აღარ გეგმავს. პადოვანიმ კლუბს ზამთარში მისი გასხვისება შესთავაზა, თუმცა თავაზიანი უარი მიიღო. ჟან-დანიელის კონტრაქტს ვადა სეზონის ბოლოს ისედაც გასდის, შესაბამისად ივნისში ის თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

● გერმანიის ნაკრები. ინტერვიუ იოახიმ ლიოვთან



უახლესი გამოკითხვის თანახმად, ხალხის აზრით, იოახიმ ლიოვი ყველა დროის საუკეთესო ბუნდესმწვრთნელია

ჩემი გუნდი დამშეულია!

მოვიდა დრო, რომ გერმანიამ ტიტული მოიგოს

გერმანიის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი იდეალურად ჩაატარა – 10 მოგება 10 მატჩში და თანაც, შესანიშნავი ფეხბურთით. პრინციპში, ვერ ვიტყვით, რომ ამას არავინ ელოდა, რადგან მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შემდეგ ბუნდესგუნდს ყველა პროგრესს უნინასწარმეტყველებდა, რაც იმის დამსახურება გახლდათ, რომ გერმანელებს ბუნდიალზე ახალგაზრდული გუნდი ჰყავდათ, რომლითაც ყველას თავი მოაწონეს და ლოგიკურად, პროგრესი უნდა გაგრძელებულიყო. გაგრძელდა კიდეც, რაც პირველ რიგში გერმანიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იოახიმ ლიოვის დამსახურებაა, რომელიც უახლესი გამოკითხვის თანახმად, გერმანელებს უკვე ყველა დროის საუკეთესო ბუნდესმწვრთნელად მიაჩნიათ.

მიუხედავად ბრწყინვალე შედეგებისა (51 მოგება 73 მატჩში), ლიოვს მაინც აქვს ერთი ნაკლი: მის ხელში გერმანიას ტიტული ჯერ არ მოუგია. და იოგი ამ ნაკლის აღმოფხვრას სწორედ ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ეცდება. დღეს მთელი საფეხბურთო გერმანია ეიფორიაშია – ხალხს იმედი აქვს, რომ 16-წლიანი პაუზის შემდეგ ბუნდესნაკრები კვლავ მოიგებს ტიტულს.

პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი ისიც იყო, რომ შესარჩევი ციკლის დროს ლიოვმა გერმანიის ნაკრებს ტაქტიკური სქემა შეუცვალა: მან გუნდი 4-2-3-1-დან 4-1-4-1-ზე გადააწყო, რითაც ყველა, პირველ რიგში კი მეტოქეები გააოცა და ბუნდესგუნდის ფეხბურთი უფრო არაპროგნოზირებადი გახადა. ტაქტიკის შეცვლის შემდეგ, გერმანია უფრო კრეატიულ ფეხბურთს თამაშობს და რაც მთავარია, ლიოვს ყოველთვის შეუძლია, დაუბრუნდეს ძველ სქემას, რომელიც მის ბიჭებს იდეალურად აქვთ დაღეჭილი და ამით მეტოქეებს ნებისმიერ დროს შესთავაზოს სიურპრიზი. ორი სრულყოფილად დამუშავებული ტაქტიკა ვარირების საშუალებას იძლევა, რაც გერმანიას ნებისმიერი მეტოქისთვის არაპროგნოზირებადს ხდის.

ბელგიასთან მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ლიოვმა საკმაოდ ვრცლად და საინტერესოდ ისაუბრა. მისი საუბრის შინაარსი კი საინფორმაციო სააგენტო DPA-ს კორესპონდენტმა ინტერვიუს სახით ჩაწერა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

- ჰერ ლიოვ, როგორ შეაფასებთ ბელგიასთან მატჩს და მთლიანად ბუნდესგუნდის გამოსვლას შესარჩევ ციკლში?

- ათი თამაში, ათი მოგება – მეტი რა უნდა გვინდოდეს? საკმაოდ რთული მუნდიალის შემდეგ ძალები მოვიკრიბეთ და ევრო 2012-ის შესარჩევ ციკლშიც დავამტკიცეთ, რომ ბუნდესგუნდი თვიდან თვემდე პროგრესირებს. მიუხედავად იმისა, რომ ევროპის ჩემპიონატზე თამაში ორი ტურით ადრე გავინაღდეთ, მაინც არ მოვეშვით და ბოლო შეხვედრებიც მაქსიმალური კონცენტრაციით ჩავატარეთ – გუნდი თითოეული გამარჯვებით ხომ უფრო მეტ პატივისცემას იხვეჭს და ჩვენთვის ესეც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ყველამ დაინახა, რომ გერმანიის ნაკრები არასდროს მოდუნდება – მაშინაც კი, როცა წარმატება გარანტირებული აქვს. მე მყავს გუნდი, რომელიც ძალიან ძლიერი და მაგრად დამშეულია. ჩემი გუნდი უდიდეს პატივისცემას იმსახურებს.

- თქვენც გაგიკვირდათ, ბელგიამ თამაში ასე კარგად რომ დაიწყო?

- მათ მხოლოდ გამარჯვება აძლევდათ ხელს. შესაბამისად, დასაკარგი არაფერი ჰქონდათ, თავიდანვე ვაჟკაცურად შემოგვიტიეს და სწრაფი გოლის გატანა უნდოდათ. აქედან გამომდინარე, პირველ წუთებში ცოტათი შოკირებული ვჩანდით, მაგრამ მერე ყველაფერი დალაგდა და გოლებიც გავიტანეთ. პირადად მე ერთი წუთითაც არ შემპარვია ეჭვი იმაში, რომ ამ თამაშსაც მოვიგებდით. ბელგიას კარგი გუნდი ჰყავს, მაგრამ არა იმდენად კარგი, რომ ჩვენთან მოეგოთ.

- როგორია თქვენი დასკვნა შესარჩევი ციკლის დასრულების შემდეგ და დარჩა თუ არა რამე, რაც კიდევ უფრო უნდა გააუმჯობესოთ?

- სამუშაოს რა გამოლევს? ჯერ ერთი, ყველაფერს გამეორება უნდა, რათა არაფერი დაგავიწყდეს და თითოეული მოქმედება ავტომატური გახდეს. ესეც რომ არ იყოს, რაც არ უნდა კარგად თამაშობდეს გუნდი, პრობლემები ყოველთვის იჩენს ხოლმე თავს. თუმცა დაგეთანხმებით იმაში, რომ ერთი შეხედვით გასაუმჯობესებელი ბევრი აღარაფერია, რადგან გერმანიამ მთელი ციკლი ძალიან კარგად, სტაბილურად ჩაატარა. მიხარია, რომ ბიჭებმა მეორე ტაქტიკური სქემაც კარგად შეისწავლეს და რომ კიდევ უფრო სწრაფ და კრეატიულ ფეხბურთს ვთამაშობთ. ამასთან, ვისურვებდი, რომ ჩვენი დაცვის ხაზი უფრო სტაბილური გახდეს.

- მას მერე, რაც გერმანიის ნაკრებს წვრთნით, უამრავი ფეხბურთელი გამოცადეთ. საინტერესოა, დაახლოებით რამდენ მოთამაშეს აქვს ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი?

- 25, 30 – კონკრეტული რიცხვის დასახელება გამიჭირდება. თუმცა არსებობს გაფართოებული შემადგენლობა, საიდანაც ნებისმიერ დროს შეიძლება მოთამაშეები ძირითად ბირთვში აღმოჩნდნენ. თუ ყველაფერი სტაბილურად წარიმართება, ევროპის ჩემპიონატის წინ შემადგენლობის შერჩევა გამიადვილდება, მაგრამ როგორც წესი, სხვადასხვა პრობლემები იჩენს ხოლმე თავს და ბოლოს საუკეთესოების შერჩევა მაინც ჭირს. ჩემი მიზანი ის არის, რომ ყველა პოზიციაზე ორი კარგი ფეხბურთელი მყავდეს და ვფიქრობ, ამას შევძლებთ. ბოლო დროს ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელებს კარგი შემცვლელები გამოუჩნდათ. რაც მთავარია, გუნდი ახალგაზრდულია – ბელგიასთან ჩვენი შემადგენლობის საშუალო ასაკი 24 წელი იყო. მეც ის მინდა, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოცდილები მუდმივად წნეხის ქვეშ ჰყავდეთ.

- რას ელით ან ითხოვთ შეგირდებისგან უახლოეს თვეებში?

- პირველ რიგში კონცენტრაციის შენარჩუნებას. მინდა, რომ ბიჭებმა თავიანთ კლუბებში დიდი მონდომებით ივარჯიშონ და ითამაშონ. ჩვენ არ მოვდუნდებით და ფეხბურთელებს მუდმივად გავაკონტროლებთ. თუ გვინდა, რომ ევროპის ჩემპიონატს მაქსიმალურად კარგად მომზადებულები შევხვდეთ, მზადება აპრილში კი არა, დღეიდანვე უნდა დავიწყოთ.

- გერმანიის ნაკრებს ყველა ევროპის ჩემპიონატის ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნევს. გულშემატკივრების აბსოლუტური უმრავლესობა მხოლოდ ტიტულის მოგებას ელის და ითხოვს...

- ეს ლოგიკურია და გუნდის დამსახურებაა, თუმცა ეიფორია და დიდი მოლოდინი უმძიმეს წნეხსაც ნიშნავს, მაგრამ ესეც ნორმალურია. ჩვენი მიზანიც სწორედ ისაა, რომ ამ წნეხს გავუძლოთ. ვიცი, რომ ქომაგებს ახლა მხოლოდ ტიტულით თუ დავაკმაყოფილებთ. ჩვენც ეს გვინდა: ევროპის ჩემპიონობა.

- შესარჩევ ციკლში ესპანეთის ნაკრებმაც ასპროცენტიანი შედეგი აჩვენა...

- ძალიან გთხოვთ, ნუ აძლევთ ფესვების გადგმის საშუალებას იმ მოსაზრებას, თითქოს მსოფლიო ფეხბურთს მხოლოდ ჩვენ და ესპანეთი შემოვრჩით. ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავს მაგალითად ჰოლანდიასაც. დარწმუნებული ვარ, რომ ზაფხულში ინგლისის ნაკრებიც გაცილებით ძლიერი იქნება, ვიდრე სამხრეთ აფრიკაში იყო. იმავეს ვიტყოდი საფრანგეთზეც და ცხადია, არც იტალიის ნაკრები უნდა დაგვავიწყდეს. ასე რომ, ევრო 2012-ზე მთავარ როლებში მხოლოდ ჩვენ და ესპანეთი არ ვიქნებით.

● მოსალოდნელი ტრანსფერი

დორტმუნდის პასუხი რეალს

გიოტცე გინდათ? ჩვენ რონალდო გვინდა!

დღე ისე არ გავა, რომ ევროპულ პრესაში **მარიო გიოტცეს** *ახალი მსურველის შესახებ არ დაიწეროს – დორტმუნდის „ბორუსიას“ და გერმანიის ნაკრების 19 წლის ვუნდერკინდი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია. რამდენიმე დღის წინ ესპანური გამოცემა „მარკა“ წერდა, გიოტცეს მადრიდის „რეალმა“ დაუმიზნა და უნიჭიერეს გერმანელს ზამთარში ან მაქსიმუმ ზაფხულში აუცილებლად იყიდისო. ესპანელებს არც იტალიელები ჩამორჩნენ: ორი დღის შემდეგ პოპულარული „გაძეტა დელო სპორტი“ წერდა, გერმანელი სუპერტალანტის შეძენა „რეალზე“ მეტად მილანის „ინტერს“ უნდა და „ნერაძურის“ ბოსი* **მასიმო მორატი** *გიოტცეში აუცილებლად იმაზე მეტს გადაიხდის, ვიდრე მადრიდელებიო. სპეკულაციები სპეკულაციებად, ფაქტი კი ის არის, რომ თუ ასე გაგრძელდა, „დორტმუნდის“ შეფებს სანერვიულო არ გამოელევათ. შეუძლია თუ არა „ბორუსიას“ მარიოს შენარჩუნება? ან, თუ შეუძლია, მაინც რამდენ ხანს?*

ესპანური მედიის ცნობით, „რეალის“ პრეზიდენტ **ფლორენტინო პერესს** *მეგობრების წრეში უთქვამს, რაც არ უნდა დააფასონ, გიოტცეს მაინც ვიყიდიო. ზოგადად, მარიოს ფასი 20-დან 30 მილიონ ევრომდეა, მაგრამ თუ ასე გააგრძელა, სეზონის ბოლოს შეიძლება 40-50 მილიონი ღირდეს. მოკლედ, „რეალისთვის“ ფული პრობლემას არ წარმოადგენს, რაც „ინტერზე“ ასევე ომახიანად ვერ ვიტყვით, მაგრამ სამაგიეროდ, მორატი პერესზე ახირებული კაცია და თუ აიჩემა, მარტო გიოტცეში გადაიხდის ასტრონომიულ თანხას და გუნდს სხვა ფეხბურთელებით არც გააძლიერებს.*

გუშინ, გაზეთ „ბილდის“ საშუალებით, „დორტმუნდის“ სპორტულმა დირექტორმა **მიხაელ ცორკმა** *„რეალისა“ და „ინტერის“ ბოსებს ასეთი რამ შეუთვალა: „მე არ ვაპირებ იმის თქმას, რომ მარიო გიოტცე არ იყიდება. ასეთ რამეს მენეჯერები ადრე ამბობდნენ ხოლმე და დიდი ხანია, ფეხბურთში ასეთი განცხადების გაკეთება სირცხვილად მიიჩნევა. მე ვამბობ: მარიო გიოტცე კრიშტიანო რონალდოს არაფრით ჩამოუვარდება – არც ფასით და არც შესაძლებლობებით! ახლა ზუსტად ისეთი განცდა მაქვს, რაც „რეალის“ ბოსებს ექნებათ, ვინმემ რონალდოზე რომ ჩამოუგდოს სიტყვა. მოკლედ, თუ „რეალს“ გიოტცე უნდა, მაშინ ჩვენ რონალდო გვინდა!“*

იმედიანადაა „ბორუსიას“ გენერალური მენეჯერი **ჰანს-იოახიმ ვატცკეც,** *რომელიც ამბობს: „მთელ ამ ორომტრიალში ყველა ზე მთავარი ის არის, რომ გიოტცე არა მარტო გენიალური ფეხბურთელია, არამედ შესანიშნავი ადამიანიცაა და „რეალისა“ თუ „ინტერის“ შეფების კომენტარებზე არ წამოეგება, თავში არაფერი აუვარდება. მარიოს დორტმუნდიდან წასვლა არ უნდა.“*

ეს „ბილდის“ ჟურნალისტებმა თავად გიოტცესთან გადაამოწმეს და ნახევარმცველმა, რომელსაც 19 წლის ასაკში გერმანიის ნაკრების ფორმა უკვე 10-ჯერ ეცვა (2 გოლი), ასეთი რამ თქვა: „მე ყოველთვის ვამბობდი და ახლაც სიამოვნებით გავიმეორებ, რომ დორტმუნდში თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. ასე რომ, აზრი არ შემიცვლია. ახლა მთლიანად „ბორუსიაზე“ ვარ კონცენტრირებული და ესეც რომ არ იყოს, BVB-სთან კონტრაქტი 2014 წლამდე მაქვს გაფორმებული. რა იქნება 2014 წლის შემდეგ, ამაზე ახლა ვერაფერს ვიტყვი. ყველაფერს დრო გვიჩვენებს.“

გოტფრიდ ლენცი

ბორუსიამ მარიო გიოტცე კრიშტიანო რონალდოს ფასად შეაფასა

● მოსაზრება

გულიტი: მილანი ნელა უბევს

„მილანმა“ სეზონი მძიმედ დაიწყო, რაზეც სერია A-ს განვლილ ხუთ ტურში მოგროვებული ამდენივე ქულა მეტყველებს. შედეგად, **მასიმილიანო ალეგრის** *გუნდი მხოლოდ და მხოლოდ მე-15 ადგილზეა სატურნირო ცხრილში და ისეთ გუნდებს ემეზობლება, როგორებიც „სიენა“ და „ატალანტა“ არიან. თუმცა, რომ არა დაკლებული ექვსი ქულა, ბერგამოული გუნდი დღეს გაცილებით მაღლა იქნებოდა. მოკლედ, „მილანს“ გარკვეული პრობლემები აქვს და ამის შესახებ „გაძეტა დელო სპორტთან“ გუნდის ყოფილმა ვარსკვლავმა და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, ცოცხალმა ლეგენდამ* **რუუდ გულიტმა** *ისაუბრა:*

„ალეგრის ძლიერი გუნდი ჰყავს, მაგრამ არა იმდენად, რომ ვთქვათ „ბარსელონას“ ტოლსწორად ეპაექროს. მართალია, ჩემპიონთა ლიგაზე ამ გუნდების შეხვედრა ფრედ დასრულდა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ იმ თამაშში მილანელებს გაუმართლათ. რა აკლია „როსონერის“? - რა და სისწრაფე, ბურთი უფრო სწრაფად უნდა გადადიოდეს დაცვიდან შეტევაში, რაც იერიშებს გაცილებით მწვავეს გახდის. ამასთან, ვერაფრით გავიგე რატომ გაუშვეს ლომბარდიელებმა ანდრეა პირლო, მასზე უკეთეს ნახევარმცველს ვერც კი ვიხსენებ. ჩემი აზრით, „მილანის“ წარმატების საიდუმლო პირლოს პასებსა და იბრაჰიმოვიჩის გოლებში იყო, რაც დღეს უკვე წარმოუდგენელია. ვნახოთ, რას მოიფიქრებს ალეგრი, პირადად მე პრობლემებს ნათლად ვხედავ“.

ლაშა ნიკლაური

გულიტი „მილანში“ ასპარეზობის დროს

● იტალიის ნაკრები

მენჯალური რევოლუცია აძურაში

პრანდელის წარმატების საიდუმლოებანი

როგორც მოსალოდნელი იყო, იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა შესარჩევი ეტაპის უკანასკნელი შეხვედრა მოიგო და ტურნირი სრული ტრიუმფით დაასრულა. რთული გასახსენებელია, თუ როდის განვლო ასე დამაჯერებლად „სკუადრა აძურამ" შესარჩევი ეტაპი და როდის ითამაშა ასე პროდუქტიულად როგორც შეტევით, ისე დაცვით ფაზებში. იტალიამ მხოლოდ ორი (!!!) გოლი გაუშვა მთელ შესარჩევ ეტაპზე, რაც საუკეთესო მაჩვენებელია და რაც კიდევ ერთი დასტურია იმის, რომ აპენინებზე დაცვაში თამაში განსაკუთრებულად კარგად გამოსდით. ვერ ვიტყვით, რომ „აძურა" სიკვდილის ჯგუფში გახლდათ, მაგრამ ვერც იმას დავიჩემებთ, რომ ძალიან სუსტ კონკურენტებთან უწევდა ურთიერთობის გარკვევა. მართალია, C ჯგუფის მეორე ადგილი ყველასათვის მოულოდნელად ესტონეთს ხვდა წილად, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ აპენინელებმა ბალკანელებთან ერთად ტრადიციულად ძლიერი სერბეთი და ყოველთვის ანგარიშგასაწევი სლოვენია ჩამოიტოვეს. მოკლედ, იტალიამ შესარჩევი წარმატებულად განვლო, რაც არაერთი ფაქტორით გახლდათ განპირობებული - ამ ყველაფერზე კი ქვემოთ ვისაუბროთ.

ჩეზარე პრანდელი - სწორი არჩევანი

მარჩელო ლიპის შესაძლო მემკვიდრეებიდან **ჩეზარე პრანდელის** კანდიდატურა თავიდანვე გამოიკვეთა და ფედერკალჩოს მესვეურებსაც დიდხანს არ უფიქრიათ, ისე მიიღეს გადაწყვეტილება. ვერ გეტყვით რა იქნება მომავალში, მაგრამ ჯერჯერობით სენიორ ჩეზარე სრულად ამართლებს მასზე გაკეთებულ ავანსებს. ის რადიკალურად განსხვავდება მისი წინამორბედისგან, რომელმაც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატი თავის პრინციპებს გადააყოლა და ნაკრები სირცხვილნაჭამმა დატოვა.

პრანდელიმ ბევრი რამ შეცვალა და ისეთი ფეხბურთელებს გაუხსნა სანაკრებო გზა, რომლებიც ლიპის საშვილიშვილოდ ჰყავდა ათვალწუნებული. უშუალო ურთიერთობა დაამყარა თითოეულ შეგირდთან, რამაც გუნდში ატმოსფერო საგრძნობლად გაუმჯობესა. სენიორ ჩეზარე არ არის თავისივე პრინციპების მძევალი და ნაკრებში იწვევს იმათ, ვინც ამას იმსახურებს, განურჩევლად რასისა, ეროვნებისა და რელიგიური მრწამსისა. დიახ, ის რაც იტალიაში მილიონებისთვის პრობლემაა და ვგულისხმობთ ნატურალიზებული ფეხბურთელების „აძურაში" მიწვევას, პრანდელისთვის სრულიად ბუნებრივი მოვლენაა. რაც მთავარია, შედეგი არის და ამ ყველაფერს მარტივ დასკვნამდე მივყავართ: ფედერკალჩომ პრანდელის დანიშვნით აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მიიღო.

სტრატეგია - ბურთის კონტროლი

მივიდა თუ არა ჩეზარე პრანდელი ნაკრების სათავეში, პირველი ის განაცხადა, რომ „აძურამ" ბურთი გაცილებით უკეთ უნდა აკონტროლოს, ვიდრე ეს ადრე ხდებოდა. ყველამ კარგად ვიცით, სად დაიბადა „კატენაჩო" და ის, რომ აპენინელებს მაშინაც კი შეუძლიათ კარის მშრალად შენახვა, როდესაც თამაში მთელი 90 წუთის განმავლობაში მათ ნახევარზე მიმდინარეობს. და მაშინ, როდესაც ბურთს ძირითადად აპენინელები ფლობენ, მეტოქეს კიდევ უფრო მცირე, ფაქტობრივად მიზერული შანსი რჩება. ერთია სურვილი, მაგრამ მეორე რეალობა - საინტერესო იყო, რამდენად კარგად აითვისებდნენ ახალ სტილს იტალიელები...

როგორც განვლილმა ბატალიებმა გვიჩვენეს, სტილი ათვისებულია და თანაც, იმაზე უფრო კარგად, ვიდრე ეს ბევრს წარმოედგინა. პრანდელიმ ნაკრებში ისეთი ფეხბურთელები მიიწვია, რომლებიც ბურთთან შენობით არიან და შესაბამისად, კონტროლის დაწესება მათთვის განსაკუთრებულ პრობლემას არ წარმოადგენს - ლაპარაკია თუნდაც **ანტონიო კასანოზე, ჯუზეპე როსიზე, სებასტიან ჯოვინკოზე**...

შედეგად, იტალიამ ყველა შეხვედრა პირველ ნომრად ჩაატარა, რაზეც ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებლები ნათლად მეტყველებს. სტატისტიკის მოყვანით ნამდვილად არ გადაგღლით, მხოლოდ ერთს დავძენთ, რომ „აძურამ" თვით ესპანეთს არ დაუთმო ამ მხრივ არაფერი, შედეგი კი სულაც სათავისო მიიღო. დიახ, წარმატებულად განვლილი შესარჩევი ეტაპის გარდა, პრანდელის აქტივში რამდენიმე ძალიან კარგად ჩატარებული ამხანაგური შეხვედრა უნდა შევიტანოთ: მათ შორის ესპანეთის შინ დამარცხება და თუნდაც გერმანიასთან საგარეო ფრე.

სტერეოტიპების მსხვრევა

გამომდინარე იქიდან, რომ ტრადიციულად იტალიის ნაკრები დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობდა, აპენინელთაგან ხშირი იყო თამაშის წესების ზღვარზე ასპარეზობა, სიხისტე და თუნდაც უხეშობა - დავუმატოთ ამას სპორტული აფერისტობა, ანუ სიმულაცია, რაც მთლიანობაში იტალიელთა შესახებ არცთუ კარგ აზრს აყალიბებდა. მართალია, „სკუადრა აძურას" მსოფლიოში უამრავი გულშემატკივარი ჰყავს, მაგრამ გაცილებით მეტნი არიან ისინი, ვინც უბრალოდ არ ცნობენ „კალჩოს" და მას ანტიფეხბურთს უწოდებს.

ჩეზარე პრანდელის გუნდი ამ მხრივაც გამორჩეულია და იმ სტერეოტიპებს ამსხვრევს, რომლებიც წლების განმავლობაში იქმნებოდა. თავად განსაჯეთ, ევროპის 2012 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ჯარიმების რაოდენობის თვალსაზრისით, იტალია ბოლოდან მესამეა ყველა გუნდს შორის. რაც შეეხება ყვითელი ბარათების რაოდენობას, ამ მხრივ „აძურა" სულაც პირველია კარგი გაგებით - ანუ, იტალიელებმა სხვებზე ნაკლებად დაიმსახურეს გაფრთხილება. არ დაფიქსირებულა არც ერთი მკაფიო სიმულაცია იტალიელ ფეხბურთელთა შესრულებით, რაც ასევე ერთობ მოულოდნელი და რაც მთავარია, პოზიტიური ამბავი გახლავთ. მოკლედ, პრანდელიმ „სკუადრა აძურაში" მენტალური რევოლუცია მოახდინა, რაც ასევე მის აქტივში უნდა შევიტანოთ.

იუვენტუსი ბრუნდება

როდესაც იტალიის ეროვნულმა ნაკრებმა 1934 წელს მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, გუნდში „იუვენტუსის" ცხრა ფეხბურთელი ირიცხებოდა, 1982 წელს კი მათი რაოდენობა ექვსს შეადგენდა. რაც შეეხება 2006 წელს, „იუვენტინოთა" რიცხვი ხუთი იყო, რაც თანამედროვე ფეხბურთში საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ერთი სიტყვით, იტალიის ნაკრებს საბაზო გუნდი დაუბრუნდა, ეს კი შედეგებზეც შესაბამისად აისახა. მაგალითად, სერბეთის ნინაღმდეგ ჩეზარე პრანდელიმ „იუვენტუსის" ერთბაშად ექვს ფეხბურთელს ანდო ადგილი ძირითად შემადგენლობაში: **ჯანლუიჯი ბუფონს, ჯორჯო კიელინის, ანდრეა ბარცალის, ლეონარდო ბონუჩის, ანდრეა პირლოს** და **კლაუდიო მარკიზიოს**.

გარდა ჩამოთვლილი ფეხბურთელებისა, აქ თავისუფლად შეიძლებოდა ყოფილიყო **ალესანდრო მატრი** და **სიმონე პეპე**, რომლებიც „სკუადრა აძურას" კანდიდატები და მეტიც, წევრები არიან. „იუვენტუსის" პროგრესი იტალიის ეროვნულ ნაკრებს ნამდვილად წაადგება - ეს ასე იყო ადრე და ასე იქნება მომავალშიც.

ლაშა წიკლაური

● ბაიერნი

თომას მიულერი მიუნხენში ბედნიერია

მიულერი: ბაიერნისთვის ვცხოვრობ!

თომასს მიუნხენიდან წასვლა ალბათ არასდროს მოუნდება

თომას მიულერი ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია, მიუნხენურ პუბლიკას სიგიჟემდე უყვარს და გერმანიის ნაკრებშიც შეუცვლელი ფიგურაა – 22 წლის შემტევმა უკვე ბევრს მიაღწია და დღევანდელი გადასახედიდან ყველა დარწმუნებულია, რომ გაცილებით მეტსაც მიაღწევს. აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი ის, რომ მიულერს უკვე საკმაოდ ბევრი მსურველი ჰყავს. ორი წელია, რაც თომასი ყურადღების ცენტრში მოექცა და ამ ხნის მანძილზე მისი გადაბირების სურვილი არაერთმა სუპერგრანდმა გამოთქვა.

„დასამალი არაფერია: მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ჩემს მრჩეველს ტელეფონი აუფეთქეს. მუნდიალზე კარგად თამაშის შემდეგ არაერთი გუნდის ხელმძღვანელი ურეკავდა და ჩემი ყიდვის სურვილს უფიქსირებდა. მთავაზობდნენ ზღაპრულ პირობებს და ძალიან მაღალ ხელფასს, მაგრამ მე ყველას უარი ვუთხარი - „ბაიერნიდან" წასვლაზე ერთი ნამითაც არ მიფიქრია, - აცხადებს თომასი „შპორტ-ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში და იქვე დასძენს, - 2010 წლის ზაფხულში განსაკუთრებით ლონდონის „ჩელსის" ბოსები აქტიურობდნენ. სხვა ქვეყანაში გადასვლა ოდესმე, შეიძლება, მართლაც მომინდეს, მაგრამ ამ ასაკში ტრანსფერს მაშინაც გამოვრიცხავდი და ახლაც გამოვრიცხავ, რადგან ჩემს ასაკში ფეხბურთელმა ასეთი ნაბიჯი არ უნდა გადადგას."

უფრო მეტიც: მიულერი ფიქრობს, რომ „ბაიერნიდან" წასვლა არც არასდროს მოუნდება: *„ცხადია, გადაჭრით რამის თქმა არ შეიძლება და ამიტომაც ვამბობ, ოდესმე შეიძლება მომინდეს-მეთქი, მაგრამ დღეს თამამად ვიტყოდი, რომ მიუნხენიდან წასვლა სავარაუდოდ არც არასდროს მომინდება, რადგან აქ თავს ძალიან კარგად ვგრძნობ. დღეს მე ბაიერნით ვცხოვრობ!"*

რეკორდმაისტერის პრეზიდენტი **ული ჰაინესი**, რა თქმა უნდა, კმაყოფილია და ამბობს, ასეთი ფეხბურთელები „ბაიერნის" იმიჯს უხდებიანო...

გოტფრიდ ლენცი

● ტრანსფერები

დიეგო ფორლანი

ფორლანი ორი კვირა დაისვენებს

„ინტერის" ფორვარდმა **დიეგო ფორლანმა** სანაკრებო პაექრობისას ტრავმა მიიღო და თუ ექიმთა პირველადი გამოკვლევის შედეგს დავუჯერებთ, მინიმუმ ორი კვირით მოუწევს უქმობა. ურუგვაის ნაკრებმა პარაგვაის უმთავრეს გუნდთან ფრედ, 1:1 ითამაშა, „სელესტედან" ერთადერთი გოლის ავტორი კი სწორედ 32 წლის ფორლანი გახლავთ, რითიც დიეგო ურუგვაის ნაკრების ისტორიაში საუკეთესო ბომბარდირი შეიქნა. ასეთი კარგი ამბავი კი მისმა ტრავმამ გააუფერულა, რომლის გამოც ფორვარდი სერია A-ს მინიმუმ ორ პაექრობას გამოტოვებს: „კიევოსთან" და „კატანიასთან".

სანაკრებო მატჩში „ინტერს" კიდევ ერთი სამხრეთამერიკელი, **ჟულიო სეზარი** დაუშავდა, რომელიც ბრაზილიის უმთავრესი გუნდის ღირსებას იცავდა კოსტა რიკასთან ამხანაგურ პაექრობაში. სეზარი 76-ე წუთზე შესაცვლელი გახდა, რამაც დაბადა ეჭვი, რომ კიპერმა მძიმე ტრავმა მიიღო. ეს რომ ასე არ არის, თავად ჟულიოს კომენტარიდან შეიტყობთ:

„გამომდინარე იქიდან, რომ თამაში ამხანაგური იყო, მწვრთნელებმა არ გარისკეს და შემცვალეს - არადა, ტრავმა მსუბუქი გახლდათ და შეხვედრის ჩამთავრება შემეძლო. თავს შესანიშნავად ვგრძნობ და „ინტერს" სრულიად ჯანმრთელი ვუბრუნდები, ასე რომ, საგანგაშო არაფერია. დიდი იმედი მაქვს, რომ სერია A-ს უახლოეს პაექრობაში „ინტერის" კარს სწორედ მე დავიცავ".

ფრანჩესკო ტოტი

ტოტი დერბის გამოტოვებს

იტალიურ პრესაში „რომას" გულშემატკივრებისთვის მეტად უსიამოვნო ინფორმაცია გავრცელდა, რომლის მიხედვითაც მოახლოვებულ რომაულ დერბის ტრავმირებული **ფრანჩესკო ტოტი** გამოტოვებს. „ჯალოროსის" 35 წლის კაპიტანი ერთ-ერთი ვარჯიშისას მსუბუქად დაშავდა, თუმცა თამაშამდე იმდენად ცოტა დროა დარჩენილი, რომ სრულად მომჯობინებას ვერ მოასწრებს. შეგახსენებთ, რომ დერბი კვირას გაიმართება და ტურის ცენტრალური მატჩის სტატუსიდან გამომდინარე, თბილისის დროით 22.45 საათზე დაიწყება. ტოტი განბილებულია მომხდარით და სევდას ჟურნალისტებთან საუბრით იქარვებს:

„ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთი მნიშვნელოვანი თამაშის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ ეს ფეხბურთია და ვერაფერს შევცვლით. მთავარია, გუნდმა შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოავლინოს და დარწმუნებული ვარ, რომ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება. რატომ? - მარტივი მიზეზის გამო, „რომა" უფრო ძლიერია, ვიდრე „ლაციო". ვნახოთ, დანარჩენი მოედანზე გამოჩნდება".

ლაშა წიკლაური

● ევრო 2012

სამშაბათის ასიანთა კლუბი

კოზი და ევროპული ელიტა: მათეუსი, ზიდანი, ფიგუ და სხვა


ლოთარ მათეუსი დააფასებს

გუშინ, ვაკეში **ლევან კობიაშვილმა**, რომელიც წინა დღით 34 წლის გახდა, უეფასგან სპეციალური პრიზი მიიღო სანაკრებო კარიერაში 100 მატჩში მონაწილეობისთვის. თუმცა ჩვენი ვეტერანი ერთადერთი არ ყოფილა, რომელიც ამ დღეს ევროპული ფეხბურთის მამებმა დააჯილდოეს.

მანამ, სანამ იტალიის ნაკრებს ჩრდილრლანდიელთა 3:0 ძლევაში დაეხმარებოდა, **ჯანლუიჯი ბუფონმა** წარსულის ვარსკვლავებთან, **დინო ძოფთან, პაოლო მალდინისთან** და **ფაბიო კანავაროსთან** ერთად უეფასგან სპეციალური პრიზი მიიღო ნაკრებში ასი და მეტი მატჩის თამაშისთვის. *„ისეთი შეგრძნება მაქვს თითქოს გოთას ალმანახში მოვხვდი. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამ ზღვარს მივაღწიე და ჯერ კიდევ ნაკრების წევრი ვარ“*. მალდინიმ კი დაამატა: *„ამ ოთხეულში ერთადერთი ვარ, ვისაც მსოფლიოს თასი არ მოუგია, მაგრამ მიხარია, რომ ამ ადამიანებთან ერთად ვშრომობდი იტალიის ნაკრებისთვის“*.

კანავარომ კი აღნიშნა, რომ მოხარული იქნება, რომ მალე ამ საპატიო ზღვარს **ჯანლუკა ძამბროტაც** გადალახავს: *„ის ჯერ ახალგაზრდაა, სულ რაღაც 33 წლის მე მაგ ასაკში „ოქროს ბურთი“ მოვიგე, ძამბროტას სულ 2 მატჩი აშორებს მიზანს“*.

დინო ძოფი ერთადერთი იტალიელია, რომელსაც ევროპის ჩემპიონატიც აქვს მოგებული და მსოფლიოც. ასეთი კი გერმანიის ნაკრების 6 დაჯილდოებული ყოფილი წევრიდან სამი იყო. უეფამ ისინი ბელგიასთან 3:1 მოგების წინ დააფასა. ესენია: **ლოთარ მათეუსი, იურგენ კოლერი** და **თომას ჰესლერი**.

მათეუსმა თქვა: *„ძალიან კარგია, რომ ახლა ყურადღების ცენტრში მოექცნენ ის ფეხბურთელები, რომელთაც ბევრი გაუკეთებიათ ნაკრებისთვის, მაგრამ ახლა ჩრდილში არიან“*. დაჯილდოებულთა შორის იყო **იოახიმ შტრაიხიც**, ადამიანი, რომელმაც ყველაზე მეტი თამაში ითამაშა და ყველაზე მეტი გოლიც გაიტანა... გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით: *„დიდი ფანტასტიკაა, როცა ისეთი ფეხბურთელების სიაში მოხვდები, როგორიც ზიდანი, რაული, ლაუდრუპი, ფიგუ და შევჩენკო არიან. რომ აღარაფერი ვთქვა ჩვენ ლეგენდარულ ფეხბურთელებზე“*, - განაცხადა მან.

იგივე პრიზი მიიღო ოთხმა მალტელმა: **ჯილბერტ აგიუსმა, დავიდ კარაბოტმა, კარმელ ბუზუტილმა** და **ჯო ბრინკატმა**. დაჯილდოეს რუსი **ვიქტორ ონოპკო**, შვეიცარიელი **შტეფან შაპუიზა**, ნორვეგიელები **ჰენინგ ბერგი** და **იონ არნე რიისე**. ამ უკანასკნელს ჯერ 100 თამაში არც უთამაშია (კვიპროსთან დაპირისპირება მის სანაკრებო კარიერაში 99-ე იყო): *„ბედნიერი ვარ ასეთი დაფასებისთვის, მე ევრო 2016-მდე ვაპირებ თამაშს. ასე რომ, 100-იან ზღვარს აუცილებლად მივაღწევ და, ვიმედოვნებ, ნორვეგიულ რეკორდსაც დავამყარებ“*.

რიისე რომ რეკორდზე ლაპარაკობდა, ის **ტორბიორნ სვენსენს** ეკუთვნის, რომელმაც ნორვეგიის ნაკრებში 104 მატჩი ითამაშა (აქედან 93 კაპიტნის რანგში). ყოფილი ცენტრალური მცველი წლის დასაწყისში გარდაიცვალა, უეფას პრიზი კი მისმა ოჯახმა ჩაიბარა.

უეფა ახლა ამას ტრადიციად აქცევს და ყოველი ფეხბურთელი, რომელიც მე-100 მატჩს ითამაშებს ნაკრებში, სპეციალური პრიზით დაჯილდოდებდა.

უეფას 100-იანთა კლუბში 109 ფეხბურთელია. მათმა ნაწილმა სამშაბათს მიიღო პრიზი, სხვები ნოემბრის ამხანაგური მატჩებისას დაჯილდოდებიან.

სრული სია

სომხეთი: სარგის ჰოვსეპიანი.
ავსტრია: ანდრეას ჰერცოგი.
ბულგარეთი: ბორისლავ მიხაილოვი, სტილიან პეტროვი.
ხორვატია: დარიო შიმიჩი.
კვიპროსი: იანის ოკასი.
ჩეხეთი: კარელ პობორსკი.
დანია: პეტერ შმეიხელი, იონ დალ ტომასონი, დენის რომედალი, ტომას ჰელვეგი, მიქაელ ლაუდრუპი, მორტენ ოლსენი, მარტინ იორგენსენი.
ინგლისი: პიტერ შილტონი, დევიდ ბექჰემი, ბობი მური, სერ ბობი ჩარლტონი, ბილი რაითი.
ესტონეთი: მარტინ რეიმი, მარკო კრისტალი, მარტ პოომი, ანდრეს ოპერი, კრისტენ ვიიკმაე, რაიო პიროია, ინდრეკ ზელინსკი.
ფინეთი: იარი ლიტმანენი, სამი ჰიიპია, იონათან იოჰანსონი, არი ჰიელმი.
საფრანგეთი: ლილიან ტურამი, ტიერი ანრი, მარსელ დესაი, ზინედინ ზიდანი, პატრიკ ვიეირა, დიდიე დეშამი.
მაკედონია: გოცე სედლოსკი.
საქართველო: ლევან კობიაშვილი.
გერმანია: ლოთარ მათეუსი, მიროსლავ კლოზე, იურგენ კლინსმანი, იურგენ კოლერი, ფრანც ბეკენბაუერი, იოახიმ შტრაიხი, თომას ჰესლერი, ულფ კირსტენი, ჰანს-იურგენ დიორნერი.
საბერძნეთი: თეოდოროს ზაგორაკისი, გიორგიოს კარაგუნისი, ანგელოს ბასინასი.
უნგრეთი: იოჟეფ ბოჟიკი.
ისლანდია: რუნარ კრისტინსონი.
იტალია: ფაბიო კანავარო, პაოლო მალდინი, დინო ძოფი, ჯანლუიჯი ბუფონი.
ლატვია: ვიტალის ასტაფიევსი, ანდრეის რუბინსი, იურის ლაიზანსი, იმანტს ბლეიდელისი, მიჰაილ ზემლინსკისი, იგორს სპეპანოვსი.
ლიხტენშტაინი: მარკო ფრიკი.
მალტა: ჯილბერტ აგიუსი, დავიდ კარაბოტი, კარმელ ბუზუტილი, ჯო ბრინკატი.
ჰოლანდია: ედვინ ვან დერ სარი, ფრანკ დე ბური, ჯოვანი ვან ბრონკჰორსტი, ფილიპ კოკუ.
ჩრდილო ირლანდია: პეტ ჯენინგსი.
ნორვეგია: ტორბიორნ სვენსენი, ჰენინგ ბერგი.
პოლონეთი: მიხალ ჟევლაკოვი, გრეგორუ ლატო.
პორტუგალია: ლუიშ ფიგუ, ფერნანდო კოუტუ.
ირლანდია: შეი გივენი, კევინ კილბეინი, რობი კინი, სტივ სტაუნტონი.
რუმინეთი: დორინელ მუნტეანუ, გეორგე ჰაჯი, გეორგე პოპესკუ, ლასლო ბოლონი.
რუსეთი: ვიქტორ ონოპკო.
შოტლანდია: კენი დალგლიში.
სერბეთი: სავო მილოშევიჩი, დეიან სტანკოვიჩი.
სლოვაკეთი: მიროსლავ კაჰრანი.
ესპანეთი: ანდონი სუბისარეტა, იკერ კასილიასი, რაულ გონსალესი, ჩავი ერნანდესი.
შვედეთი: თომას რაველი, როლანდ ნილსონი, ბიორნ ნორდკვისტი, ანდერს სვენსონი, ნიკლას ალექსანდერსონი, ჰენრიკ ლარსონი, ოლოფ მელბერგი.
შვეიცარია: ჰაინც ჰერმანი, ალან გაიგერი, შტეფან შაპუიზა.
თურქეთი: რუშთუ რეჯბერი, ჰაქან შუქური, ბიულენთ კორკმაზი.
უკრაინა: ოლეგ ბლოხინი, ანატოლი ტიმოშჩუკი, ანდრი შევჩენკო.

ესტონეთის ნაკრები განუთესავია

პლეი ოფი: განთესილთა ვინაობა ცნობილია

მოგეხსენებათ, ევრო 2012-ის შესარჩევი ციკლის ბოლო ტურმა პოლონეთ-უკრაინის ყველა საგზურის მფლობელი გაარკვია, გარდა ოთხისა. 9-დან 8 ჯგუფში მეორე ადგილზე გასული ნაკრებები (შვედეთის ნაკრების გარდა) ნოემბრის პლეი ოფებში იბრძოლებენ დარჩენილი საგზურებისთვის.

პლეი ოფის მონაწილე 8 ნაკრები უკვე ცნობილია, ესენია: თურქეთი, ირლანდია, ესტონეთი, ბოსნია, ხორვატია, ჩერნოგორია, პორტუგალია და ჩეხეთი. კენჭისყრა დღეს პოლონეთის ქალაქ კრაკოვში (ჩვენი დროით) 15 საათზე გაიმართება. კენჭისყრა ბრმა არ იქნება - უეფამ ნაკრებები ორ კალათში კოეფიციენტების მიხედვით გაანაწილა.

სანაკრებო კოეფიციენტების მიხედვით, ხორვატია (32,7), პორტუგალია (31,2), ირლანდია (28,2) და ჩეხეთი (27,9) განთესილები არიან, ხოლო თურქეთი (27,6), ბოსნია (27,2) და პლეი ოფის ორი დებიუტანტი, ჩერნოგორია (21,9) და ესტონეთი (20,3) - განუთესავი.

როგორც ხედავთ, უეფას სანაკრებო კოეფიციენტები არ ემთხვევა ფიფას რეიტინგს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბოსნიაც და ჩერნოგორიაც განთესილი იქნებოდა. უეფას კოეფიციენტით, პირველ ადგილზე ესპანეთის ნაკრებია 43,1 ქულით, შემდეგ მოდიან ჰოლანდია (40,9) და გერმანია (40,4). ალბათ საინტერესოა, თუ რა ადგილი უჭირავს **თემურ ქეცბაიას** ნაკრებს - საქართველოს 16,6 ქულით ბებერი კონტინენტის 53 ნაკრებში 42-ე ადგილი უჭირავს და მხოლოდ კვიპროსს, მოლდოვას, ისლანდიას, აზერბაიჯანს, ყაზახეთსა და 6 ჯუჯასახელმწიფოს უსწრებს.

წილისყრის ცერემონიალს კრაკოვის „შერატონში“ უეფას გენერალური მდივანი **ჯანი ინფანტინო** გაუძღვება, რომელსაც ევრო 2012-ის ერთ-ერთი ელჩი, **ზბიგნევ ბონეკი** დაეხმარება. თამაშები 11/12 და 15 ნოემბერს გაიმართება. ფინალური ეტაპის წილისყრა კიევში 2 დეკემბერს გაიმართება, ევროპის ჩემპიონატი კი პოლონეთსა და უკრაინაში 8 ივნისიდან 1-ელ ივლისამდე ჩატარდება.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ფურია როხა

ევროპის ჩემპიონობა? ძნელი იქნება

ვილიას იუგილე და სილვას მასტერკლასი

8 თამაშში და ქულათა მაქსიმუმი, **დავიდ სილვას** დუბლი, **დავიდ ვილიას** 50-ე გოლი „როხას“ მაისურით და ისევ და ისევ იმედგაცრუებული შოტლანდიელები - ასეთია ალიკანტეში გამართული მატჩის მთავარი აქცენტები, თავად თამაში კი **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდის მორიგი გამარჯვებით, 3:1 დასრულდა.

ფურია როხა იგებს და იგებს

კარგად გვესმის შოტლანდიის ნაკრების გულშემატკივრების, ძალიან ძნელი გადასატანია მუდამ ასე ახლოს იყო მიზანთან და ყოველთვის მცირე გაკლდებოდის იქამდე. დელ ბოსკემ რამდენიმე სიახლე შეიტანა შემადგენლობაში: კარი ამჯერად „ბარსას“ გოლკიპერ **ვიქტორ ვალდესს** ანდო. დაცვის მარცხენა ფლანგზე დებიუტი ჰქონდა ვალენსიელ **ხორდი ალბას, სანტი კასორლა** სასტარტოში მოხვდა, ხოლო შეტევაში **ფერნანდო ტორესის** ადგილი აღარ დარჩა.

ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონმა ჩვეულ სტილში დაიწყო - ბურთის ტოტალური კონტროლით, რომელმაც უკვე მე-5 წუთზე მოიტანა შედეგი: დავიდ ვილიამ ხორდი ალბა მოძებნა, დებიუტანტმა დავიდ სილვას დაუგორა და „სიტის“ ლეგიონერმაც ახლო კუთხეში გაუტანა **ალან მაკგრეგორს**. მე-40 წუთზე მაკგრეგორის სასწაული რეაქცია რომ არა სანტი კასორლაც გაიტანდა, მაგრამ სამ წუთში სკოტთა კარი მაინც აიღეს - სილვამ ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, მარცხნივ შეიწია, **პედროსთან** კედელი გაითამაშა და მცველ **ბერას** ფეხებს შორის გაუძვრინა - მაკგრეგორი უშანსოდ იყო.

54-ე წუთზე „ელ გუახემ“ საერთაშორისო კატეგორიაში 50-ე გოლი გაიტანა. კომბინაციაში მონაწილეობა კასორლამ, პედრომ და სილვამ მიიღეს. სტუმართა ერთადერთი გოლი ასე გავიდა - ვალდესმა საჯარიმოში შეჭრილი **კრეიგ მეკეილ-სმითი** მოცელა და **დევიდ გუდვილმაც** პენალტი გამოიყენა - 3:1.

თქმა არ უნდა, ამ შეხვედრაშიც (როგორც პრაღაში) ესპანელთა საუკეთესო ფეხბურთელი დავიდ სილვა იყო. „მანჩესტერ სიტის“ ვარსკვლავი უბრალოდ ტოპ-ფორმაშია. კარგად ითამაშეს ვილიამ, **ჩავიმ**, კასორლამ და დებიუტანტმა ალბამაც.

„ძალიან ბედნიერი ვარ ჩემი თამაშით და ვფიქრობ, მომავალშიც ასე გავაგრძელო. ფეხბურთელი ვარ და ჩემი მოვალეობა სწორედ ესაა. ჩვენ შესარჩევი კამპანია ბრწყინვალე შედეგით დავასრულეთ“, - განაცხადა 25 წლის დავიდ სილვამ.

ვისენტე დელ ბოსკეს კი უკვე ფინალურ ეტაპზე ეკითხებიან - *„ევრო 2012-ის მოგება? ძნელი იქნება. ჩვენ ძალიან ძლიერი კონკურენტები გვეყოლება ინგლისი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი... მოკლედ, იმავეს გამეორება გაგვიჭირდება“*, - თქვა 60 წლის სპეციალისტმა, რომელსაც ჩამონათვალში, რატომღაც, ჰოლანდიის ნაკრები გამორჩა.

მუნდიალი 2014

არგენტინა ისევ გაშზერდა

რონალდინიო ნაადრევად ხომ არ ჩამოწერეს?

არგენტინის ნაკრებმა შთამბეჭდავი გამარჯვების შემდეგ ისევ უგერგილოდ ითამაშა - მუნდიალის საკვალიფიკაციო მატჩში ისტორიაში პირველად წააგო ვენესუელასთან - 0:1. გოლის ავტორს არ იკითხავთ? 26 წლის ბასკი მცველი **ფერნანდო ამორებიეტაა**. რა ქარმა გადაისროლა ვენესუელაში? საქმე იმაშია, რომ ამორებიეტა ვენესუელაშია დაბადებული და როცა ბილბაოს „ატლეტიკის“ მცველს ესპანეთის ნაკრებში თამაშის იმედი გაუცრუვდა, ვენესუელელთა წინადადებას დათანხმდა. ეს მისი მეორე თამაში იყო ნაკრებში და **არანგოს** კუთხურს თავი ოსტატურად დაუხვედრა. აღსანიშნავია, რომ არგენტინა მხოლოდ პირველ ტაიმში სჯობდა მეტოქეს, როცა **მესიმ** ერთიორჯერ შორი დისტანციიდან მოსინჯა **ვეგას** სიფხიზლე. რაც გოლი გაუშვა, არგენტინამ შეტევაში ვერაფერი შექმნა და დამსახურებულად წააგო.

ჩილეს ნაკრებმა 4:2 მოუგო პერუს, პარაგვაი შინ **ორტისმა** იხსნა ურუგვაისთან მატჩში მარცხისგან. კოლუმბიის ნაკრებს კი მთიან ბოლივიაში **რადამელ ფალკაომ** მოაგებინა, მადრიდის „ატლეტიკოს“ ფორვარდმა მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე გაიტანა გამარჯვების გოლი - 2:1.

ვენესუელა-არგენტინა 1:0

ვენესუელა: ვეგა, ვისკარონდო, ამორებიეტა, როსალესი, სიჩერო, ს. გონსალესი (83. ხ. ალვარესი), ლუსენა, არანგო, რინკონი, მიჩუ (89. მორენო), რონდონი (76. ფელტშერი).

არგენტინა: ანდუხარი, ბურდისო, დემიკელისი, საბალეტა (66. ბანეგა), ოტამენდი, როხო, მასკერანო, სოსა (75. პალასიო), დი მარია (84. პასტორე), მესი, იგუაინი.

გოლი: 1:0 ამორებიეტა (61)

ჩილე-პერუ 4:2

ჩილე: ბრავო, მ. გონსალესი, ხარა, ისლა, პონსე, ვალდივია (91. კარმონა), ვიდალი, მედელი, ბოსეჟური, სუასო (73. პარედესი), ე. ვარგასი (85. ფერნანდესი).

პერუ: ფერნანდესი, აკასიეტე (86. ჩიროკე), ა. როდრიგესი, ბალბინი (46. ლობატონი), რევორედო, ხ. ვარგასი, კრუსადო, იოტუნი (46. გისასოლა), გერერო, პისარო, ფარფანი.

გოლები: 1:0 პონსე (2), 2:0 ე. ვარგასი (18), 3:0 მედელი (48), 3:1 პისარო (49), 3:2 ფარფანი (60), 4:2 სუასო (64-პენ)

პარაგვაი-ურუგვაი 1:1

პარაგვაი: დ. ბარეტო, და სილვა, ვერონი, ბონეტი (80. ე. პერესი), ე. ბარეტო, რივეროსი, ესტიგარიბია, კასერესი (78. სანტა კრუსი), ორტისი, ვალდესი, კარდოსო (69. კაბალიერო).

ურუგვაი: მუსლერა, ლუგანო, მ. პერეირა, კასერესი, გოდინი, ა. პერეირა (66. ა. გონსალესი), დ. პერესი (59. ეგურენი), არევალო, სუარესი, ფორლანი (84. კ. როდრიგესი), კავანი.

გოლები: 0:1 ფორლანი (68), 1:1 ორტისი (93)

ბოლივია-კოლუმბია 1:2

ბოლივია: ვაკა, რალდესი, ლ. ალვარესი (77. ჩავესი), ლ. გუტიერესი (71. კამპოსი), რივერო, ფლორესი, რობლესი, კარდოსო, მარტინსი (72. ანდავერისი), არსე, ესკობარი.

კოლუმბია: ოსპინა, ჰერეა, სუნიგა, მოსკერა, არმერო, აგილარი, სანჩესი, გუარინი (71. ჩარა), ხ. როდრიგესი, ტ. გუტიერესი (79. ფალკაო), პაბონი (62. მორენო).

გოლები: 0:1 პაბონი (48), 1:1 ფლორესი (85), 1:2 ფალკაო (92)

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
1. ურუგვაი	2	1	1	0	5-3	4
2. არგენტინა	2	1	0	1	4-2	3
3. ეკვადორი	1	1	0	0	2-0	3
4. კოლუმბია	1	1	0	0	2-1	3
5. პერუ	2	1	0	1	4-4	3
6. ჩილე	2	1	0	1	5-6	3
7. ვენესუელა	2	1	0	1	1-2	3
8. პარაგვაი	2	0	1	1	1-3	1
9. ბოლივია	2	0	0	2	3-6	0

ბომბარდირები: 3 - იგუაინი (არგენტინა); 2 - გერერო (პერუ), ლუგანო (ურუგვაი).

მომდევნო ტური

11 ნოემბერი: **არგენტინა-ბოლივია, პარაგვაი-ეკვადორი, ურუგვაი-ჩილე, კოლუმბია-ვენესუელა.**

ამხანაგური მატჩი

მექსიკა-ბრაზილია 1:2

გოლები: 1:0 დავიდ ლუიზი (10 ს.კ.), 1:1 რონალდინიო (79), 1:2 მარსელო (83)

მექსიკაში ამხანაგური მატჩი დრამატულად განვითარდა, ჯერ უპირატესობას მასპინძლები ფლობდნენ, **დავიდ ლუიზმა** მარჯვენა ფრთიდან ჩამონოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. შემდეგ ბრაზილიელთა კარში პენალტი დაინიშნა, მაგრამ მეკარე **ჟეფერსონმა** იყოჩაღა. მეორე ტაიმში ჯერ **რონალდინიომ** ბრწყინვალე საჯარიმო დარტყმით გაათანაბრა, შემდეგ კი **მარსელომ** უბრალოდ სუპერგოლი გაიტანა.

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ

ვენესუელელთა ზეიმი

● თავისუფალი ჭიდაობა. საკონტინენტთაშორისო თასი

მეოთხე ადგილი ხასავიურტში

საქართველოს ნაკრებმა მეოთხე ადგილზე დაასრულა გამოსვლა დაღესტნურ ხასავიურტში მიმდინარე საკონტინენტთაშორისო თასზე თავისუფალ ჭიდაობაში.

როგორც გაცნობეთ, ჩვენები ჯგუფში რუსეთის, სპორტკლუბ ცსკ-ს და ბელარუსის გუნდებთან ერთად მოხვდნენ. მოლოდინისამებრ, რუსებმა უძლიერეს შემადგენლობას ვერც ნაკრებში მოუყარეს თავი და ვერც - კლუბში. ამაში დიდი როლი დაღესტნის გუნდმაც ითამაშა, რომელმაც ნაკრების რამდენიმე წევრი თავის გუნდში შეიყვანა - ოლიმპიური ჩემპიონი **შირვანი მურადოვი** (96), ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ბახტიარ ახმედოვი** (120). ცხადია, ეს ყველაფერი ჩვენს შანსებს ზრდიდა, თუმცა რუსეთის პირველ ნაკრებთან მაინც წავაგეთ - 3:4. არადა, მათთან შეხვედრა მოგებით დავიწყეთ - **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** (55) ჩეჩნეთის პრეზიდენტ **რამზან კადიროვის** სახელობის თასის ვიცე-ჩემპიონი **ასადულა ლაჩინოვი** დაამარცხა. სამაგიეროდ, **მალხაზ ზარქუა** (60), **შალვა მუზიაშვილი** (66), **გიორგი მარსაგიშვილი** (74) და **დავით მარსაგიშვილი** (84) ერთმანეთის მიყოლებით დამარცხდნენ შესაბამისად, **ოპან სატთან, მაგომედმურად გაჯიევთან, შამილ ოსმანოვთან** და **ანზორ ურიშევთან**. რუსულ ფორუმებს თუ დავუჯერებთ, ყველაზე დასანანი დავით მარსაგიშვილის მარცხი ყოფილა ურიშევთან. შეგახსენებთ, რომ ჩვენებური მასთან წლეულს ევროპის პირველობის ფინალშიც დამარცხდა, ოღონდ - მსაჯთა უსამართლობის გამო. სამწუხაროდ, ხასავიურტის ტურნირზე ინფორმაციის ერთადერთი წყარო რუსული ფორუმებია, ხოლო მათი მიხედვით, მარსაგიშვილმა ურიშევთან პირველი პერიოდი კენჭისყრით წააგო (თუმცა ჩრდილოელები იმასაც ამატებენ, რომ აქ საკამათო ეპიზოდი იყოო), მეორე 1:0 მოუგო, დამატებითში კი მარცხის ძირითად მიზეზად მეტოქის ქომაგები ჩვენებურის დაღლას ასახელებენ. ამის მიუხედავად, მარსაგიშვილმა მაინც მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ ბოლო წამებზე ისევ გაატარა ერთქულიანი და წააგო. ამით გუნდური შეხვედრის ბედიც გადაწყდა - რუსები 4:1 იგებდნენ. დარჩენილი შეხვედრები პრაქტიკულად არაფერს ცვლიდა, თუმცა რუსი ფალავნებისთვის მაინც ძალიან მნიშვნელოვანი იყო - მათ გუნდში ხომ დიდი კონკურენციაა და იქ ფეხის დაცდენას არავინ გაპატიებს. ამიტომ კადიროვის ტურნირის კიდევ ერთი ვერცხლის მედალოსანი **იური ბელონოვსკიც** (96) და **რამაზან მაგომედოვიც** (120) ხალიჩაზე ფრიად მოტივირებულები გავიდნენ, მაგრამ **ელიზბარ ოდიკაძესთან** და **დავით მოძმანაშვილთან** მაინც ვერაფერს გახდნენ. მოძმანაშვილი უკვე იქცა წონის ერთ-ერთ ლიდერად და შედარებით გამოუცდელ მაგომედოვთან მისი მოგება მოსალოდნელიც იყო (აღსანიშნავია, რომ მოძმანაშვილმა ოთხივე შეხვედრა მოიგო), აი, ოდიკაძეს კი მართლაც ყოჩაღ - ბელონოვსკი მაღალი დონის მოჭიდავეა.

ამის შემდეგ ჩვენებმა ჯგუფში ორივე შეხვედრა მოიგეს - ცსკ 6:1 დაამარცხეს, ბელარუსები - 4:3.

ამდენად, ჩვენები ჯგუფში მეორე ადგილზე გავიდნენ და ბრინჯაოსთვის ბრძოლის უფლება მოიპოვეს, სადაც მათი მეტოქე აზერბაიჯანის გუნდი აღმოჩნდა - ისინი მეორე ჯგუფში მხოლოდ დაღესტნელებთან დამარცხდნენ. სამწუხაროდ, ჩვენებმა ეს ორთაბრძოლაც 3:4 დათმეს. ამ შეხვედრაზე მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ ჩვენი საწყისი ოთხეული - ხინჩეგაშვილი, ზარქუა, მუზიაშვილი და გიორგი მარსაგიშვილი მიყოლებით დამარცხდნენ ევროპის ექსჩემპიონ **მაჰმუდ მაგომედოვთან** (არადა, ხინჩეგაშვილმა წლევანდელ ევროპაზე მოუგო ამას), **აგაჰუსეინ მუსტაფაევთან, ემინ აზიზოვთან** და **ალექსანდრ გოსტიევთან**. ჩვენებმა მხოლოდ ბოლო სამ ორთაბრძოლაში იმარჯვეს, როცა შეხვედრის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. დავით მარსაგიშვილმა **ნოვრუზ ტემრეზოვი** დაამარცხა, ოდიკაძემ - **გაჯი ალიჯანოვი**, მოძმანაშვილმა - ალი ისაევი. მოძმანაშვილი დღესვე ბრუნდება თბილისში და აბსოლუტურ პირველობაში ვერ იჭიდავებს, თორემ ერთ-ერთი ფავორიტი იქნებოდა.

მოკლედ, ჩვენს ნაკრებს მოზრდილი საპრიზო ფონდიდან 10 000 ამერიკული დოლარის შესაბამისი რუსული რუბლი ერგო, მწვრთნელს - 1 000 დოლარისა. მთავარი პრიზი 50 000 დოლარი მასპინძელ დაღესტანს ერგო, რომელმაც ფინალში რუსეთის ნაკრები დაამარცხა.

ირაკლი თავაძე

● ● თავისუფალი ჭიდაობა. ონის ტურნირი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჯევანში ონი-ხაშურის გავლით

გასულ უქმეებზე ონში იქაურთა სახელოვანი მოჭიდავეების - თავისუფალ ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონისა და ოლიმპიური ვერცხლის მფლობელ **გიორგი სხირტლაძისა** და სახელოვანი მწვრთნელის, ვეტერანთა შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **შურა მაისურაძის** სახელობის ტურნირი გაიმართა თავისუფალ სტილში მოჭიდავე ჭაბუკთა შორის ორ ასაკობრივ ჯგუფში (1998-2000; 1995-96). უფროსებში ეს ის ასაკია, რომელმაც გაისად ჭაბუკთა შორის ევროპისა და მსოფლიოს პირველობებზე უნდა იჭიდაოს და მწვრთნელი **თამაზ ბენდიანიშვილი** აქედანვე შეუდგა კანდიდატთა შერჩევას. ასაკობრივი ცენზის გამო ჭაბუკთა ნაკრები მნიშვნელოვნად გადახალისდება და ახალი კადრების ძებნა ახლავეა საჭირო.

ტურნირი შემადგენლობითაც ძლიერი გამოდგა და ორგანიზაციულადაც. მასში ქვეყნის სხვადასხვა რაიონის 140 მოზარდი მონაწილეობდა, მაღალორგანიზებულად ჩასატარებლად კი გულმოდგინედ გაისარჯნენ როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაცია, ისე - ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც ყველანაირად დაეხმარა ორგანიზატორებს. ნაკრებში მოსახვედრად არც მოზარდებმა დაზოგეს თავი, თუმცა მათ შორის ერთს გამოვარჩევთ - ბათუმელმა **რამაზ ზოიძემ** (46) წლეულს... ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებში იასპარეზა და მსოფლიოს ჩემპიონიც გახდა, ხოლო ევროპაზე ბრინჯაო მოიპოვა, ახლა კი ისევ „თავისუფლებს“ დაუბრუნდა. თავიდან ის სწორედ ამ სტილში ჭიდაობდა, მაგრამ წლის დასაწყისში საქართველოს პირველობაზე წააგო და ბერძნულ-რომაულში გადაინაცვლა. ალბათ, ზოიძე შეძლებს ძველი ადგილის დაბრუნებას ნაკრებში, თუმცა ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა, როგორც ნაკრების საბოლოო ფორმირებაზე - საამისოდ მოზარდებს წინ კიდევ არაერთი შესარჩევი ტურნირი ელოდებათ.

უახლოეს დღეებში - 14-16 სექტემბერს ამ მედალოსანთა ნაწილი სომხურ იჯევანში იჭიდავებს ევროპის ჩემპიონ გლენ მეჯლუმიანის მემორიალში. ონის ტურნირამდე ჭაბუკებმა ხაშურშიც იჭიდავეს („ლელო“ ამაზეც წერდა) და მწვრთნელებმა სომხეთში გასაგზავნი გუნდიც ამ შეჯიბრებების მიხედვით შეარჩიეს. იჯევანში მონაწილე ყველა წონაში გვეყოლება, 69-ში კი ბენდიანიშვილი სულაც ორ შეგირდს აგზავნის. ჩვენს ნაკრებში **ირაკლი მხეიძე** (42), **გიორგი პასიკაშვილი** (46), **გიორგი ყაზარაშვილი** (50), **ივანე გაბოძე** (54), **ბექა წიკლაური** (58), **ტარიელ გაფრინდაშვილი** (63), **ლევან მურადხანაშვილი** (69), **გიორგი ბეჟიაშვილი** (69), **ირაკლი მწითური** (76), **ლაშა ბოდაველი** (85) და **ბექა კახეთელიძე** (100) იჭიდავებენ.

კვარცხლბეკი

1998-2000 წლებში დაბადებულები

26 კგ. 1. თორნიკე ქათამაძე; 2. ლუკა ფანჩხიძე; 3. გუბა შეშელიძე (სამივე - აჭარა), ვაკო არუთინიანი (გორი).

29 კგ. 1. ლაშა ფუტკარაძე (აჭარა); 2. მახარე გელაშვილი (ხაშური); 3. რამაზ თურმანიძე (აჭარა), სანდრო ბუხრაშვილი (ონი).

32 კგ. 1. ლაშა ჩახმახიშვილი (საგარეჯო); 2. გიორგი ცხვირავაშვილი (ამბროლაური); 3. ბექა ქორთიაშვილი, თედო ყველაშვილი (ორივე - გორი).

35 კგ. 1. ალეკო ლომიძე; 2. ავთანდილ გოდელაშვილი; 3. გიორგი ხაჩიძე (სამივე - ხაშური), ომარ ასაბაშვილი (საგარეჯო).

38 კგ. 1. ედემი ბერიძე (აჭარა); 2. გიორგი ბურჯანაძე (საგარეჯო); 3. არჩილ ნიკლაური (გარდაბანი), გიორგი ჭელიძე (ამბროლაური).

42 კგ. 1. ჯონი დიასამიძე (აჭარა); 2. მირიან მაისურაძე (ონი); 3. მიხეილ ბოჭორიძე (საგარეჯო), დავით ფურცხვალიძე (ამბროლაური).

46 კგ. 1. ნოდარ ბინაძე (რუსთავი); 2. ლუკა მეტრეველი (ონი); 3. ნიკა სარალაშვილი (რუსთავი).

+46 კგ. 1. გიგა შიოშვილი (საგარეჯო); 2. ვანო გუგეშაშვილი (ონი); 3. გიორგი ბელაშვილი (გარდაბანი).

1995-96 წლებში დაბადებულები

42 კგ. 1. ირაკლი მხეიძე (აჭარა); 2. გაიოზ გონგლაძე (ხაშური); 3. ლაშა აბუთიძე (ამბროლაური), გელა ქოქიაშვილი (დედოფლისწყარო).

46 კგ. 1. რამაზ ზოიძე (აჭარა); 2. გიორგი პასიკაშვილი (საგარეჯო); 3. გიორგი დემეტრაშვილი, ლევან ნიპარიშვილი (ორივე - კასპი).

50 კგ. 1. გიორგი ყაზარაშვილი (კასპი); 2. გიორგი გელაშვილი (ხაშური); 3. ნიკა კენჭაძე, თორნიკე ცხვირავაშვილი (ორივე - ამბროლაური).

54 კგ. 1. ივანე გაბოძე (კასპი); 2. გივი ელიზბარაშვილი (თბილისი); 3. ავთანდილ კენჭაძე (ამბროლაური), ლევან მურცხვალაძე (რუსთავი).

58 კგ. 1. გიორგი ოშხერელი (ამბროლაური); 2. ბექა ნიკურაძე (ხაშური); 3. ანზორ პავლიაშვილი (გორი), ბექა ჭიაურელი (საგარეჯო).

63 კგ. 1. ცოტნე ყურაშვილი (აფხაზეთი); 2. გურამ დავითაძე; 3. კახა ფუტკარაძე (ორივე - აჭარა), ჯანგირ ახმედოვი (ქარელი).

69 კგ. 1. გიორგი ბეჟიაშვილი (საგარეჯო); 2. დიტო ჯანაშია (აფხაზეთი); 3. ლევან ბოჭორიძე (საგარეჯო), გიგა მეშველიანი (რუსთავი).

76 კგ. 1. გიორგი პოპიაშვილი (დედოფლისწყარო); 2. ზურაბ რევაზიშვილი (საგარეჯო); 3. დავით ჯინჭარაძე (ამბროლაური), ჯონი პეტრიაშვილი (გორი).

85 კგ. 1. ლაშა ბოდაველი (დედოფლისწყარო); 2. დავით მეტრეველი (ონი); 3. ნოდარ ხადური (რუსთავი), გიორგი არაბული (თბილისი).

100 კგ. 1. ბექა კახეთელიძე (ონი); 2. ნიკა მელიქიშვილი; 3. დავით ლოლაშვილი (ორივე - რუსთავი), ილია ფოფხაძე (ამბროლაური).

ირაკლი თავაძე

● ბოგბურთი

ცხრიდან სამი

ესპანეთის ქალაქ სანტ კუგატში საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია და პირველ ნომრად ჩვენი თანამემამულე **მაკა ჩახნაშვილია** (183) განთესილი. მაკას პირველ წრეში ერთობ გაუჭირდა, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოვიდა პოლონელ **პაულა კანიასთან** (493) ორთაბრძოლაში - 6:7 (5), 6:2, 6:2. მერვედფინალში ქართველს კვლავ საკვალიფიკაციო ბადიდან გამოსული ჩოგბურთელი ელის, სლოვაკი **რომანა ტაბაკი** (464). წყვილთა ბადეში მაკა სლოვენიელ **მასა ზეკ-პეშკირიჩთან** (239) ერთად ასპარეზობს და უკვე მეოთხედფინალშია.

უკვე მოგახსენეთ, რომ ერევნის 10-ათასიანი ტურნირი 9 ქართველმა დაიწყო. მათგან მეორე წრეში მხოლოდ სამი გავიდა. მე-4 ნომრად განთესილმა **თათია მიქაძემ** თავისივე თანამემამულე **ნათია გეგია** დაამარცხა - 6:4, 6:4, **ანი გოგვაძემ** ნიგერიელ **ადეინკა ტომპსონს** მოუგო - 6:1, 6:1, ხოლო **თეონა ტატიშვილს** რუსი **ანტონინა რაფიკოვა** დანებდა მეორე სეტში - 6:1, 2:0.

დამარცხებულებიც ვახსენოთ - **თამარ ჭალაგანიძემ** „მშრალად“ წააგო სლოვაკ **ანა შმიედლოვასთან** - 0:6, 0:6, **მარიამ ქურასბედიანმა** უნგრელ **ვასილისა ბულგაკოვასთან** დათმო - 1:6, 2:6, **მარიამ სხირტლაძე** რუსმა **ელენა მალცევამ** გამოაგდო - 6:3, 6:0, **ბარბარე ერისთავი** მასპინძელ **ნუნე ხაჩატრიანთან** დამარცხდა - 4:6, 3:6, **ბაბილინა მაჩაიძემ** კი **ელიზავეტა იანჩუკთან** (უკრაინა) წააგო - 2:6, 0:6.

მაკა ჩახნაშვილი

ნიკოლოზ ნეფარიძე

● ● ● ქარატე

ვალიშვილის ესპანური ვერცხლი

ბარსელონაში დამთავრდა ევროპის მე-15 ჩემპიონატი გოჯუ-რიუ კარატე დოში. ქართველთაგან შეჯიბრებაში მხოლოდ **გოჩა ვალიშვილი** მონაწილეობდა. ოსტატთა კლასში (35 წლისა და უფროსები) მან კარგად იასპარეზა - ინდივიდუალურ კატაში მეორე ადგილი დაიკავა.

ვაჟა დანელია

● სუმო

ცერცვაძეს ბრინჯაო

პოლონეთის ქალაქ კროტოსუნში გაიმართა ქვეყნის ღია ჩემპიონატი სამოყვარულო სუმოში, რომელიც ამავდროულად მსოფლიოს თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპსაც წარმოადგენდა. შეჯიბრებაში ჩვენებურთაგან მხოლოდ მძიმენონოსანი (+115) **ავთანდილ ცერცვაძე** მონაწილეობდა. ქართველმა სპორტსმენმა პირველივე შეხვედრა წააგო რუსეთის ნაკრების წევრ სოსლან ბაგაევთან, მერე კი დამამშვიდებელ ჯგუფში ზედიზედ სძლია გერმანელ, პოლონელ და რუს მეტოქეებს, მესამე ადგილისთვის ბრძოლაში უკრაინელ ევდოკიმოვს აჯობა და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

საგულისხმოა, რომ წლეულს სუმოისტთა ევროპის ჩემპიონატზე ცერცვაძემ მძიმე წონაში ვერცხლის მედალი მოიპოვა, გუნდურში კი ბრინჯაო ერგო. კონტინენტის პირველობაზე თავი გამოიჩინეს საქართველოს ნაკრების სხვა წევრებმაც: **ადამ ოქრუაშვილი** აბსოლუტურში მესამე იყო, მსგავს წარმატებას მიაღწია 16-წლამდელებში **ზაზა აქუბარდიამ, ზაზა ბალაშვილი** კი 23-წლამდელებში სულაც კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა.

ვაჟა დანელია

ქართული სპორტი

● 20 წლის წინათ...

პარდუბიცეში...

20 წლის წინათ, 1991 წლის 13 ოქტომბერს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფურცელით შეივსო საქართველოს საცხენოსნო სპორტის ისტორია - პირველად საქართველოს სახელით საერთაშორისო სარბიელზე პრიზიორთა შორის დაიმკვიდრა ადგილი ქართველმა მხედარმა, თბილისელმა **ზაზა გონჯილაშვილმა**. ეს მოხდა ჩეხოსლოვაკიაში (ჩეხეთში) პარდუბიცეს ცნობილ სტიპლ-ჩეისში ასპარეზობისას. ამ პოპულარული ცხენთშეჯიბრების (დოღი დაბრკოლებებით) პრიზიორად მიიჩნევა ხუთი ცხენმხედარი და დიდი ფულადი ჯილდოც შესაბამისად ნაწილდება. ზაზა გონჯილაშვილი, რომელიც ორამჩირის რაიონის სოფ. ბესლახუს მერან პოდოლსკიზე გამოდიოდა, მეხუთე იყო კაპიტან პაპლერის პრიზზე.

ისტორიისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პირველად ჩვენი ცხენმხედრები პარდუბიცეში ნინა წელს ჩავიდნენ. მაშინ საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა. ამიტომ ძნელი იყო დამოუკიდებლად ასპარეზობა, თანაც ეროვნული დროშით. მონდომება იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოს სპორტისა და ტურიზმის სამინისტრომ, ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა და საგარეო საქმეთა სამინისტრომ ყველა პრობლემა ერთობლივი ძალისხმევით მოაგვარა. იმ წელს საპრიზო ადგილი არ მოგვიპოვებია, მხოლოდ მონაწილეობას დავჯერდით.

ასე რომ, 1990 წლის 14 ოქტომბერს საქართველოს სპორტსმენებმა პირველად იასპარეზეს დამოუკიდებლად და ეროვნული სიმბოლიკით საზღვარგარეთ, საერთაშორისო სპორტულ სარბიელზე - პარდუბიცეს სტიპლ-ჩეისში, ამ ასპარეზობის საიუბილეო 100 წლისთავთან დაკავშირებით.

თორნიკე გაჩეჩილაძე

აღლუმზე მარჯვნიდან პირველი საქართველოს დროშა

ოლიმპიური სპორტის ქრონიკები

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან



ვახტანგ გლაგიძე

დაიბადა 23.07.1954, ჩოჩხათი, ლანჩხუთი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (52 კგ). XXII ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი (1980, მოსკოვი), მსოფლიოს ორგზის (1978, 81), ევროპის ორგზის (1978, 80), სსრკ (1981) და მსოფლიო უნივერსიადის ჩემპიონი (1977), მრავალ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებული. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. ღირსების ორდენის კავალერი.

სათავეები

ფარიკაობა



ფარიკაობა სპორტული ორთაბრძოლის ნაირსახეობაა. შეიცავს სამ დისციპლინას - რაპირით, დაშნით და ხმლით ფარიკაობას. ფარიკაობას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ცივი იარაღით ბრძოლის ხელოვნება ეგვიპტელებისთვის ცნობილი იყო ჯერ კიდევ ძვ.წ. მესამე ათასწლეულში. ანტიკურ საბერძნეთსა და ძველ რომში ფარიკაობა სამხედრო მომზადებისა და სხეულის წრთობის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად ითვლებოდა. გაჩნდა ფარიკაობის სპეციალური სკოლები, რომლებიც მოგვიანებით სპორტული ფარიკაობის ცენტრებად იქცნენ.

საქართველოში ფარიკაობის ხელოვნებას უძველესი დროიდან იცნობდნენ და უმთავრესად სამხედრო საქმეში იყენებდნენ. ხევსურეთში დღემდეა შემორჩენილი ფარიკაობის ორიგინალური სტილი, რომელიც გამოირჩევა პირდაპირი საბრძოლო დგომით, შეტევითი და თავდაცვითი ილეთების მრავალფეროვნებით, ფარით და ხმლით მოქმედების სინქრონულობით. ხევსურულისგან არსებითად განსხვავებულია ე.წ. კლასიკური ფარიკაობა. საქართველოში ფარიკაობის სასნავლო ჯგუფი XIX საუკუნის 70-იან წლებში ჩამოაყალიბა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის ავსტრიელმა პედაგოგმა, რუსეთის ქვეშევრდომმა **რუდოლფ ვაისმა.** 1887 წელს ფარიკაობას თბილისის ვაჟთა პირველი გიმნაზიის მოსწავლეებიც გაეცნენ, 1894 წელს კი გადამდგარმა ოფიცერმა **პეტრე სალტიკოვმა** თბილისში დააარსა ფარიკაობის მოყვარულთა პირველი წრე. მანვე კომერციული მიზნით 1900 წელს გახსნა საფარიკაო დარბაზი. მოგვიანებით თბილისს კიდევ ერთი დარბაზი შეემატა. აქ ძირითადად ვარჯიშობდა ოფიცრობა და საზოგადოების შეძლებული ფენა, რომელთა მიზანი იყო გართობა და არა შეჯიბრებებში მონაწილეობა.

საქართველოს მოფარიკავეებმა მსოფლიოში გაითქვეს სახელი.

საქართველოს ფარიკაობის ფედერაცია დაფუძნდა 1991 წლის 27 ივნისს.

1992 წლის 7 ივნისიდან საქართველო ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციისა და ევროპის ფარიკაობის კავშირის წევრია.

პრეზიდენტია **არჩილ გოგელია** (1991 წლიდან).

თარიღი

13-19 ოქტომბერი

13. 1949 წ. დაიბადა **ნანა ალექსანდრია** - ჭადრაკი

14. 1940 წ. დაიბადა **ანზორ მარტყოფლიშვილი** - ძიუდო

14. 1961 წ. დაიბადა **მალხაზ ბერუაშვილი** - სამბო

15. 1979 წ. დაიბადა **ირაკლი ჭოჭუა** - ბ/რ ჭიდაობა

16. 1913 წ. დაიბადა **გიორგი ავალიშვილი** - კალათბურთი. გარდაიცვალა 1986 წელს

16. 1944 წ. დაიბადა **სერგო კუტივაძე** - ფეხბურთი

17. 1948 წ. დაიბადა **დავით გოგია** - ფეხბურთი (მეკარე)

18. 1969 წ. პირველს საქართველოდან საერთაშორისო არბიტრის წოდება მიენიჭა **კარლო ყრუაშვილს.**

18. 1950 წ. დაიბადა **ნოდარ მოდებაძე** - თ/ჭიდაობა

18, 1990 წ. დაიბადა **ლევან ყენია** - ფეხბურთი

ვიქტორინა

1. ქართველმა მორაგბეებმა მსოფლიოს თასის გათამაშების ფინალურ ეტაპზე, რომელ წელს მოიპოვეს პირველი გამარჯვება და ვისთან?

ა — 2003 წელს პორტუგალიასთან
ბ — 2007 წელს ნამიბიასთან
გ — 2011 წელს რუმინეთთან

2. დაასახელეთ პირველი ქართველი ფეხბურთელი ქალი, რომელმაც უეფას ჩემპიონთა ლიგაში იასპარეზა.

ა — ნინო ბალაძურია
ბ — თეონა მესხიძე
გ — თამარ ქველიძე

3. ვინ იქნება საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის მედროშე ლონდონის ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალზე?

ა — მანუჩარ ცხადაია
ბ — ნინო სალუქვაძე
გ — ქრისტინე ესეგუა

4. როდის შედგა ეროვნულ საკალათბურთო ნაკრებში ნიკა ცქიტიშვილის დებიუტი?

ა — 1999 წელს
ბ — 2001 წელს
გ — 2004 წელს

5. რომელი ფეხბურთელის კაპიტნობის პერიოდში მიაღწია ყველაზე თვალსაჩინო წარმატებებს თბილისის „დინამომ"?

ა — ზოთა იამანიძის
ბ — ალექსანდრე ჩივაძის
გ — მანუჩარ მაჩაიძის

ᲒᲐᲜᲐᲬᲘᲠᲘ ᲐᲥ

პირველი, პირველმა, პირველად...

პირველი მატჩი ევროთასზე ბათუმის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ჩაატარა 1995 წლის 10 აგვისტოს. თასების თასის პირველი შეხვედრა ბათუმელებმა სტუმრად ჩაატარეს ბელგრადში და „ობელიჩს" 1:0 მოუგეს.

პირველმა საქართველოს მძლეოსნებიდან ოფიციალური მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესა **ნინო დუმბაძემ** 1939 წელს ბადროს ტყორცნაში, ქ. მოსკოვში. რეკორდი არ აღიარეს, რადგან საბჭოთა კავშირი არ იყო საერთაშორისო ფედერაციის წევრი.

პირველად სათხილამურო სპორტი და სამთო ტურიზმი საქართველოში დაინერგა ბაკურიანში გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში.

სპორტული ფედერაციების, ორგანიზაციების, კლუბების, რეგიონების ქალაქების და რაიონების საყურადღებოდ!

„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შეგაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი საქმიანობის დღევანდელობა და წინსვლა, ქართული სპორტის განვითარებაში შეტანილი წვლილი.

დაწვრილებითი ცნობებისთვის დაგვიკავშირდით ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

სპორტული რადიო
ჯა — კო
Ja — Ko
FM 96.3

ჯვროსვორდი



თარაზულად: 1. ცურვის ყველაზე სწრაფი სტილი; 4. რაგბიში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ქვეყნის სამოსს დედაქალაქი; 8. ზაფხულის IX ოლიმპიური თამაშების მასპინძელი ქალაქი; 9. ესტონელი აკრობატი ქალი, რომელიც საქართველოს სახელით ასპარეზობდა; 15. სპორტის ტანვარჯიშული სახეობა; 17. სპორტული კომენტატორი ... მახარაძე; 18. იაპონური საბრძოლო ხელოვნება; 19. რევაზ ჩელებაძის მეტსახელი; 20. ქართული ჭიდაობის ფანდი; 21. სერბეთის საფეხბურთო კლუბი; 23. მუქარა ჭადრაკში; 25. სპორტულ შეჯიბრებაში დანინაურებული; 27. ტანვარჯიშული იარაღი; 29. წარსულში ცნობილი თბილისელი ველომრბოლელი, პეტრე...; 30. უეფას პრეზიდენტი; 31. წარსულში ტიტულოვანი ქართველი ხელბურთელი, მეკარე.

შვეულად: 2. სავალდებულო სპორტული ცეკვა ყინულზე; 3. ევრობასკეტი 2011-ის მასპინძელი ქვეყანა; 5. ცხენოსნობაში: პასაჟი ადგილზე; 6. ქართველი კალათბურთელი ქალი ... ასიტაშვილი; 7. რაგბის საერთაშორისო კავშირი (შემოკლ.) 9. ქალთათვის .... ტანვარჯიში; 10. იხ. სურათი: თავისუფალი სტილით მოჭიდავე ლუკა...; 11. სპორტული საქონლის მწარმოებელი კომპანია; 12. ჭადრაკის წინამორბედი; 13. ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში, სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტი; 14. ლევან გვაზავას საფეხბურთო კლუბი; 16. პროფესიონალური ჭიდაობის სახეობა; 22. ახალქალაქის საფეხბურთო კლუბი; 24. წნორის ყოფილი საფეხბურთო კლუბი; 25. დავით ბოლოლაშვილის საფრანგეთის სარაგბო კლუბი; 26. მოლდავეთის საფეხბურთო კლუბი, "ზესტაფონის" მეტოქე; 28. ცხენოსნობის სახეობა.

ქართული სპორტი

● ტანვარჯიშული სახეობები. ყრილობა

მარცხნიდან: რამაზ გოგლიძე, მერაბ ჩიქობავა, გია გალდავა

ოლიმპიური: თბილისი 2015

საქართველოს ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაციის თავკაცად სამი წლის განმავლობაში **კობა სვინტრაძე** იყო არჩეული. ამას წინათ იგი საკუთარი ნებით თანამდებობიდან გადადგა. გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საპრესკონფერენციო დარბაზში ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა გაიმართა, რომელსაც სპორტის მინისტრის მოადგილე **გია გალდავა** და სეოკ-ის პირველი ვიცეპრეზიდენტი **რამაზ გოგლიძეც** ესწრებოდნენ. დელეგატებმა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს სპორტის დარგში თბილისის მერიის სოციალური მომსახურებისა და კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე **მერაბ ჩიქობავა**...

ჭაბუკობისას აკადემიური ნიჩბოსნობით იყო გატაცებული. 1980-1989 წლებში საქართველოს ნაკრების წევრმა რამდენჯერმე მოიპოვა ქვეყნის ჩემპიონობა. 1984 წლის საბჭოთა კავშირის მოსწავლეთა სპარტაკიადის მონაწილემ 1985 და 1987 წლებში საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში საპრიზო ადგილები დაიკავა, სსრკ ხალხთა სპარტაკიადის ფინალისტია, 1988-1989 წლების რამდენიმე საერთაშორისო ტურნირში საპრიზო ადგილებზე გავიდა. 2004 წლიდან თბილისის მერიის სპორტის საქალაქო სამსახურის სპორტულ ღონისძიებათა განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

- მართალია, ნიჩბოსანი ვარ, მაგრამ სამსახურებრივად შვიდი წელიწადია, მჭიდრო ურთიერთობა მაქვს სპორტის ყველა იმ სახეობასთან, რომლებიც დედაქალაქში ფუნქციონირებს და ვითარდება, - გვითხრა მერაბ ჩიქობავამ. - განსაკუთრებით ტანვარჯიშულ სახეობებთან, რადგან ამ მიმართულებით თბილისის მერიას ერთ-ერთი წარმატებული სკოლა აქვს. ახლო კონტაქტები მაკავშირებდა ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნულ ფედერაციასთანაც, რომლის ღონისძიებებიც ხშირად დაგვიფინანსებია, აქტიური მონაწილეობა მიგვიღია მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში. ასე რომ, ამ სახეობის ავ-კარგს ახლოს ვიცნობ. ისიც კარგად მაქვს გაცნობიერებული, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა ვიტვირთე, საინიციატივო ჯგუფის წინადადებით ფედერაციის ხელმძღვანელობას რომ დავთანხმდი. მართალია, კერძო ინვესტიციების მოზიდვაზეც ვიზრუნებთ, მაგრამ ამგვარი დაფინანსება ძალიან მწირი იქნება, ამიტომ სახელმწიფოს მაქსიმალური მხარდაჭერა დაგვჭირდება. სპორტის სამინისტროს, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და თბილისის მერიის თანადგომამ დამაიმედა. ფედერაციის სტრუქტურის დახვეწითა და მიზანმიმართული მენეჯმენტის განხორციელებით ვეცდებით, ჩვენი საქმიანობა ეფექტური და ეფექტიანი იყოს, ყველა სახელმწიფო რესურსი მიზნობრივად დაიხარჯოს.

- 2015 წელს თბილისი ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ ფესტივალს უმასპინძლებს. შეჯიბრების პროგრამაში ტანვარჯიშს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ასპარეზობის გამართვას დიდუბის მძლეოსნობის მანეჟში ვარაუდობდნენ...

- დიახ, იყო ასეთი ლაპარაკი, მაგრამ ეს სამომავლოდ იმ სასურველ შედეგს არ მოგვცემდა, რაც ტანვარჯიშული სახეობების განვითარებისთვისაა აუცილებელი. მანეჟში შეჯიბრების გამართვა მხოლოდ ერთჯერადი აქციისთვის ხელშეწყობა იქნებოდა. თბილისის მერია კი უფრო შორს იყურება. რადგანაც დედაქალაქის ხელმძღვანელობამ საკუთარ თავზე აიღო 2015 წლის ფესტივალის, ასე ვთქვათ, შეფობა, სპორტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობაზეც იზრუნებს. ისეთი სპორტული ბაზები უნდა აშენდეს, რომლებიც სამომავლოდაც გამოგვადგება - 2015 წლის ფესტივალისთვის ჩადებულმა ინვესტიციამ მომავალ თაობებსაც უნდა არგოს, მით უმეტეს, რომ დღევანდელი ბაზების დიდი უმრავლესობა ამორტიზებულია. თუნდაც სანაპიროზე არსებული ტანვარჯიშის სასახლე ავიღოთ - სპორტის ხუთი სახეობის მოთხოვნებს ის მცირედითაც ვერ აკმაყოფილებს. ამიტომაც მიიღო მერიამ სათანადო გადაწყვეტილება - 2015 წლის ფესტივალისთვის თბილისში აშენდეს თანამედროვე ტანვარჯიშის სასახლე, როგორც საშეჯიბრო, ისე სავარჯიშო დარბაზებით. საამისოდ ორი ადგილია შერჩეული - საცურაო კომპლექს „ოლიმპიკის“ და ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიები. კერძოდ, სად აშენდება, გაისად გაზაფხულზე გადაწყდება.

სპორტული ბაზების განვითარებას პერიფერიებშიც მიექცევა დიდი ყურადღება. საქართველოს ნაკრები გუნდები ხომ რეგიონებიდანაც იღებდნენ ღირსეულ შევსებას. დღეს ტანვარჯიშული კერები შენარჩუნებულია აჭარაში, ქუთაისსა და შიდა ქართლში. განათლებისა და სპორტის სამინისტროების, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის დახმარებითა და თანადგომით ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ტანვარჯიშის გეოგრაფიის გაზრდაზე, ტალანტების გამოვლენა-დაოსტატებაზეც ვიზრუნებთ. 2015 წლის ფესტივალისთვის მარტო ბაზების მზადყოფნა არ იქნება საკმარისი - მეტოქეებს კონკურენტუნარიანი სპორტსმენებითაც უნდა დავხვდეთ. ნიჭიერი მოზარდების მოსაძიებლად თბილისის მერიის ტანვარჯიშის სახეობათა სკოლამ უკვე გადადგა პირველი ნაბიჯები. 2012 წლიდან ამ მიმართულებით მუშაობას უფრო ნაყოფიერად გავაგრძელებთ.

ქართულ ტანვარჯიშს სასახელო ტრადიციები აქვს. მარტო ის რად ღირს, რომ ამ სახეობაში როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ოლიმპიური ჩემპიონები, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები გვყავს. გენი არ იკარგება, ამიტომ იმედიანად უნდა ვიყოთ. მთავარია, ახალგაზრდების შერჩევა და აღზრდა მოხდეს მიზანმიმართულად. ცხადია, საამისოდ ადგილობრივ კადრებს დავეყრდნობით, მაგრამ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტისა და ოლიმპიური სოლიდარობის პროგრამის დახმარებით უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანასაც ვაპირებთ. ისინი ხელს შეუწყობენ როგორც ჩვენი სპორტსმენების დაოსტატებას, ასევე, მწვრთნელ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას. კადრების პრობლემის მოგვარებაზე მეტი უნდა ვიზრუნოთ.

- და, ალბათ, იმ განხეთქილების მოგვარებაზეც, რომელიც მხატვრულ ტანვარჯიშში რამდენიმე წელიწადია არსებობს.

- გეთანხმებით. თუმცა ეს უფრო პიროვნული დაპირისპირებაა. ერთ მხარეს საუკუნის საუკეთესო მწვრთნელი ნელი სალაძე და მისი თანამოაზრეები დგანან, მეორე მხარეს - ფედერაცია. აუცილებლად მივაღწევთ შეთანხმებას. რესურსების გაერთიანებით მხატვრულ ტანვარჯიშშიც წინ წავინევთ.

ჩვენი ფედერაციის უმთავრესი საზრუნავი იქნება მოზარდი თაობის ტანვარჯიშულ სახეობებში ფართოდ ჩაბმით როგორც ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ასევე დიდი სპორტისთვის ტალანტების მოძიება და მათი წარმატებულ ათლეტებად აღზრდა. მჯერა, რომ საერთო ძალისხმევით სიტყვას საქმედ ვაქცევთ.

ვაჟა დანელია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

● კალათბურთი. ინტერვიუ შსს-ს ახალწვეულთან

სისწრაფე, სამქულიანები და ხინკალი

ამერიკის კოლეჯების ლიგიდან საქართველოში არაერთი კალათბურთელი ჩამოსულა. ზოგმა გაამართლა, ზოგმა - ვერა. თუმცა, როგორც წესი, ლეგიონერთა შესაძლებლობები სრულად დროთა განმავლობაში ვლინდება.

შსს-ს ახალწვეულის, **რობო კრეპსის** (1988 წელსაა დაბადებული) შესაძლებლობებში დასარწმუნებლად კი ერთი მატჩიც საკმარისი აღმოჩნდა: დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში მან 34 ქულა, 11 მოხსნა, 3 პასი და 3 ჩაჭრა მოაგროვა. რობოს ანგარიშზე 12-დან 6 სამქულიანი იყო.

არ გეგონოთ, თითქოს ფინალამდე კრეპსს არაფერი უკეთებია - კარგად მოერგო დავით უსტიაშვილის სქემებს და დიდი წვლილი შეიტანა გუნდის ფინალში გასვლაში. რაც მთავარია, იგი ორ პოზიციაზე თანაბარი წარმატებით ირჯება, გამთამაშებლადაც და მსროლელადაც.

საინტერესოა, თავად რობო კრეპსი რას ფიქრობს საქართველოსა და ჩვენს გუნდებზე. ამას მისი ინტერვიუდან შეიტყობთ. საუბარი დუდუ დადიანის მემორიალის ფინალური მატჩით დავიწყეთ.

- რთული შეხვედრა იყო, ღირსეული მეტოქე გვყავდა. „ქუთაისის“ კალათბურთელებმა მეორე ნახევარში მაღალი შედეგიანობით ისროლეს, ბურთი თითქმის არ აუცილებიათ. რაც შეეხება, ჩემს თამაშს, ვეცადე, გუნდს მაქსიმალურად გამოვდგომოდი. სამწუხაროა, რომ დავმარცხდით.

- შენს ახალ გუნდზე რისი თქმა შეგიძლია?

- თანაგუნდელებმა თბილად მიმიღეს, ყოველმხრივ მეხმარებიან. აქ თავს შესანიშნავად ვგრძნობ. შსს ახალგაზრდული გუნდია, კარგადაა დაბალანსებული და ვფიქრობ, წინ საინტერესო სეზონი გველის.

- ევროჩელენჯის მონაწილე ქართული კლუბები საკმაოდ გაძლიერდნენ. მათ წინააღმდეგ რა შეიძლება იყოს შსს-ს პლუსი?

- გამოცდილ მეტოქეებთან რთული იქნება, მაგრამ ჩვენც გვაქვს დადებითი მხარეები. მაგალითად სისწრაფე. ასევე გვაქვს პოტენციალი, თამაში კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ.

- პირველად რომ გაიგე, საქართველოდან გიწვევდნენ, რა რეაქცია გქონდა?

- ლევან მიქაბერიძე ჩემს აგენტს აგვისტოს შუაში ელაპარაკა. მაშინ გამიკვირდა, საქართველოს შესახებ ცოტა რამ ვიცოდი. თუმცა მას მერე თქვენი ქვეყანაც კარგად გავიცანი და ხალხიც. კმაყოფილი ვარ, რომ საქართველოში მიწევს კარიერის გაგრძელება. თუმცა, აქვე უნდა ვთქვა, რომ სახლი ძალიან მენატრება. საქართველო და ამერიკა ერთმანეთისგან ძალიან შორსაა და ხშირად წასვლა-წამოსვლა ვერ მოხერხდება.

- ქართული სამზარეულო თუ მოგეწონა?

- შესანიშნავი კერძები გაქვთ. დიდი ხანი არ არის, რაც ჩამოვედი, მაგრამ უკვე ძალიან შემიყვარდა ხაჭაპური და ცომში გახვეული ხორცი...

- ხინ...

- ჰო, ხინკალი, ხინკალი.

ვაჟა სიმონიშვილი

● კალათბურთი. სუპერლიგა. დებიუტანტი

გზად ოლიმპისკენ

სუპერლიგას დებიუტანტი გუნდი ჰყავს - „ოლიმპი“, რომელსაც საქართველოს კადეტთა ნაკრების თავკაცი **გია კაზანჯიანი** წვრთნის. მას **თემურ აბულაძე** ეხმარება, ხოლო გუნდის მენეჯერი **გია სანაძეა**.

„ოლიმპი“ ცოტა დაგვიანებით შეიქმნა და ამიტომ დუდუ დადიანის მემორიალში მონაწილეობა არ მიუღია. მეტსაც გეტყვით, შემადგენლობის ფორმირება ჯერაც არ დასრულებულა. როგორც „ოლიმპის“ თავკაცმა გვითხრა, გუნდი კიდევ გაძლიერდება უცხოელი კალათბურთელით, ან კალათბურთელებით.

სადღეისოდ ოლიმპიელთა შემადგენლობაში ერთი ლეგიონერი უკვე ვარჯიშობს - **ნიკიჩა სლიუკა**. იგი ხორვატია და გასულ სეზონში ბოსნიის ჩემპიონატში ასპარეზობდა. სლიუკა 187 სმ სიმაღლისაა და შეუძლია როგორც გამთამაშებლის, ასევე მსროლელის პოზიციაზე თამაში. ჩვენი ვარაუდით, მას საქართველოში უფრო მეორე ნომრის ფუნქციების შესრულება მოუწევს, რადგან „ოლიმპში“ ასევე ჩაირიცხა საქართველოს ნაკრების გამთამაშებელი **ლაშა გამყრელიძე**.

ლაშა ევრობასკეტის დასრულების შემდეგ ელოდა უცხოურ ვარიანტს, მაგრამ საბოლოოდ მაინც „ოლიმპში“ თამაში არჩია. გამყრელიძისა და ლეგიონერთა დამატება ნათელჰყოფს, რომ გუნდის ხელმძღვანელობას ჩემპიონატში სერიოზული მიზნები აქვს. სასიამოვნოა ისიც, რომ მეტად გაძლიერებულ ევროჩელენჯის მონაწილე „არმიას“ საშინაო სარბიელზე კიდევ ერთი ღირსეული მოწინააღმდეგე ეყოლება.

უცხოეთიდან ვინ დაადგება „ოლიმპის“ გზას, უახლოეს მომავალში გავიგებთ, მანამდე კი გეტყვით, რომ გუნდში გამყრელიძისა და სლიუკას გარდა ვარჯიშობენ: **ტატო თავართქილაძე** (შარშან „სამედიცინოში“ იყო), **ნოდარ სიგუა** („აგრარული“), **გიორგი გულისაბედაშვილი** („აგრარული“), **გიორგი ნანიტაშვილი** („აგრარული“), **კახა მუმლაძე** („აგრარული“), **ლევან სულაბერიძე** („სოხუმი“).

როგორც გია კაზანჯიანმა გვითხრა, „ოლიმპის“ დუბლშემადგენლობა 20-წლამდელთა ჩემპიონატში ითამაშებს.

ვაჟა სიმონიშვილი



ლაშა გამყრელიძე

საქართველო

დაიბადა: 04.02.1986
სიმაღლე: 185 სმ.
ამპლუა: გამთამაშებელი

კარიერა

2002 თსუ (საქართველო)
2003 აკადემია (საქართველო)
2003-05 დინამო (საქართველო)
2005-06 პანტერსი (ავსტრია)
2006-09 ენერჯი (საქართველო)
2009-10 მიტელდოიჩერი (გერმანია)
2010-11 გისენი (გერმანია)
2011... ოლიმპი (საქართველო)

ნიკიჩა სლიუკა

ხორვატია

დაიბადა: 28.06.1987
სიმაღლე: 187 სმ.
ამპლუა: გამთამაშებელი/მსროლელი

კარიერა

2007-08 დოლნი კუბინი (სლოვაკეთი)
2008-09 პლეტერი (ხორვატია)
2010-11 პოსუშიე (ბოსნია)
2011-12 ოლიმპი (თბილისი)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРЕСКОНФЕРЕНЦИЯ

საქართველოს ნაკრებმა წარმატებულად იასპარეზა

ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშება ჯერ არ დამთავრებულა. „ბორჯღალოსნები“ კი ერთ კვირაზე მეტია, რაც სამშობლოში დაბრუნდნენ. პირველი შეფასებები ჩვენი გუნდის მსოფლიოს თასზე გამოსვლის თაობაზე უკვე გაკეთდა. თუმცა გასაანალიზებელი და სალაპარაკო ჯერ კიდევ ბევრია. „შევარდენის სანაკრებო ბაზაზე“ რაგბის კავშირის ხელმძღვანელებმა და ნაკრების წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელზეც ახალ ზელანდიურ პერიპეტიებზე ისაუბრეს:

ლაშა ხურციძე, საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:

„დასაწყისშივე მინდა გავაჟღერო საქართველოს რაგბის კავშირის პოზიცია. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების ასპარეზობა იყო ძალიან წარმატებული. იმთავითვე ვაცხადებდით, რომ ჩვენი გუნდის მიზანი ახალ ზელანდიაში მინიმუმ ერთი მატჩის მოგება და დანარჩენ შეხვედრებში ღირსეული, კარგი თამაში იყო.

ამ მიზანს გუნდმა მიაღწია. რუმინეთის ნაკრებთან გამარჯვებით ევროპაში მე-7 სარაგბო ერად საბოლოოდ ჩამოყალიბდით. დანარჩენ მატჩებშიც, ვფიქრობთ, გუნდმა შესანიშნავად ითამაშა და გამარჯვებას იმიტომ ვერ მივაღწიეთ, რომ არ გვეყო მაღალი რანგის გუნდებთან ხშირი თამაშის გამოცდილება.

IRB-ის მაღალჩინოსნებმა პირდაპირ განაცხადეს, რომ ჩვენი ადგილი ერთა თასზე აღარ არის და საჭიროა რანგით უფრო მაღალი დონის გუნდებთან ერთად ვიასპარეზოთ. ასე რომ, თუ ასე გავაგრძელეთ განვითარება, მომდევნო მსოფლიოს თასის გათამაშებაში ყველა მატჩში მოსაგებად გავალთ.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით მინდა გავიმეორო, რომ საქართველოს ნაკრებმა ახალ ზელანდიაში წარმატებულად იასპარეზა, ეს იყო ჩვენი რაგბის მიერ წინ გადადგმული ნაბიჯი და გარწმუნებთ, ქართულ რაგბის ძალიან კარგი მომავალი აქვს.

მოლაპარაკებები წამყვან სარაგბო ქვეყნებთან მუდმივად მიმდინარეობს. ნაკრების ახალ ზელანდიაში ყოფნის დროსაც ხშირად ვხვდებოდით IRB-ს ხელმძღვანელებს, მაგალითად, ბრუს კუკს და მარკ იგანს.

25 ოქტომბერს ოქლენდში IRB-ს კონგრესი გაიმართება, რომელშიც იმ ქვეყნების წარმომადგენლებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც მსოფლიოს თასზე არ ასპარეზობდნენ. სწორედ ამ კონგრესის შემდეგ ცხადი გახდება, რა ცვლილებები შეიძლება განხორციელდეს შეჯიბრებების სტრუქტურებში. როგორი იქნება თამაშების კალენდარი, როგორ განვავითაროთ ეროვნული და A ნაკრებები. ჩვენს გუნდებთან თამაშის თაობაზე საკმაოდ ბევრი წინადადება გვაქვს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის ახალი ზელანდიიდან და არგენტინიდან.

საქართველოს რაგბის კავშირს მიაჩნია, რომ აბსოლუტურად სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელთა შტაბის დაკომპლექტებისას. ამ გუნდმა მოკლე დროში შეძლო საკმაოდ ბევრი ცვლილების განხორციელება. თავად განსაჯეთ, ჯონ მაგლტონმა და დონ კასკიმ „ბორჯღალოსნებთან“ სულ რაღაც შვიდი თვე იმუშავეს, რიჩი დიქსონმა კი ოდნავ მეტი. ცხადია, მეტი დრო რომ ჰქონოდათ, უკეთესი შედეგი გვექნებოდა.

რიჩი დიქსონი საქართველოში რაგბის განვითარების კონსულტანტად ჩამოვიდა. ის საქართველოში დარჩება, მაგრამ იქნება თუ არა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. რაგბის კავშირის პრეზიდენტი ახალ ზელანდიაში იმყოფება და მისი ჩამოსვლის შემდეგ ვიმსჯელებთ და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.“

ილია მაისურაძე, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის ასისტენტი:

„მთელი მოსამზადებელი პერიოდი ისე გვქონდა დაგეგმილი, რომ პირველი მატჩი შოტლანდიის ნაკრებთან უნდა მოგვეგო. ამისთვის ვემზადებოდით. თუმცა, ცხადია, სხვა თამაშებზეც მოსაგებად გავდიოდით.

სამწუხაროდ, შოტლანდიელებთან მატჩში გუნდი რაღაცნაირად შებოჭილი იყო. მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში შესანიშნავად ვითამაშეთ, იყო ბევრი ხარვეზი ხელით თამაშისას.

მეორე შეხვედრაში ინგლისის ნაკრებთან ბიჭები ფსიქოლოგიური ტვირთისგან გათავისუფლდნენ და საკმაოდ კარგი რაგბი ვაჩვენეთ. ერთი ეგ იყო, შეტევიდან დაცვაში სწრაფად გადაწყობას ვერ ვასწრებდით და ამის გამო რამდენიმე ლელო მივიღეთ.

რუმინეთთან შეხვედრას კი ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. 1999 წლიდან მოყოლებული ჩვენ რუმინელებისთვის არც ერთი მნიშვნელოვანი მატჩი არ მოგვიგია. ამჯერად მსოფლიოს თასზე, მთელი მსოფლიოს თვალწინ, მათთან ბრძოლა ევროპაში მე-7 გუნდის სტატუსისთვის გვქონდა. პირველ ტაიმში წაგების შიშის გამო თამაში ცოტა არ გამოგვივიდა, თუმცა მეორე ნახევარში ეს კომპლექსი გუნდმა მოიხსნა და რუმინელებს ყველაფერში ვაჯობეთ. თან ისეთი სხვაობით დავამარცხეთ, რომლითაც აქამდე არასდროს მოგვეგო.

თამაშებს შორის ოთხდღიანმა შუალედებმა სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. ბიჭები ძალების აღდგენას და ტრავმების მოშუშებას ვერ ასწრებდნენ. არგენტინის ნაკრებთან პირველ ტაიმში, მიუხედავად იმისა, რომ დაცვაში რამდენიმე შეცდომა დავუშვით, მაინც კარგად ვითამაშეთ, იქით ლელო გავუტანეთ და ტაიმი 7:5 მოვიგეთ. მეორე ნახევარში კი აშკარად დაგვეტყო დაღლა, რამაც თვალნათლივ დაგვანახა, რომ საკმარისი რესურსი არ გაგვაჩნდა.

ისიც არ დაგავიწყდეთ, რომ ინგლისი, შოტლანდია და არგენტინა ნაკრების მოთამაშეებს 400-500 მორაგბიდან ირჩევს. ჩვენი შესაძლებლობები კი ბევრად შეზღუდულია. ნაკრების წევრებს 45 მორაგდან ვირჩევთ და 30 თანაბარი ძალის მოთამაშის მოძიება არ ხერხდება“

ლაშა ხმალაძე, საქართველოს ნაკრების მგეზავი:

„ეროვნულ ნაკრებში და თანაც მსოფლიოს თასზე პირველად ვითამაშე. ეს ჩემთვის უდიდესი გამოცდილება იყო. ამ მწვრთნელთა ჯგუფთანა პირველად ვიმუშავე. მათგან ბევრი რამ ვისწავლე და შევცვალე ჩემს თამაშში.“

ჯაბა ბრეგვაძე, საქართველოს ნაკრების შერკინების კვაჭი:

„ყველა თამაშის მერე ვიდეოანალიზს ვუყურებდით და ისეთ შეცდომებზე გვითითებდნენ, რომლის გამოსწორების შემდეგაც ხელით თამაში ბევრად უკეთ გამოგვდიოდა. ჩვენი შეტევაც უფრო ორგანიზებული გახდა. მწვრთნელების ფუნქციაც ეს არის და მათ თავიანთი მოვალეობა შესანიშნავად შეასრულეს.“

მარცხნიდან: ლაშა ხურციძე, ილია მაისურაძე და ჯაბა ბრეგვაძე

МИРОВОЙ ТОП

გორგოძე საუკეთესო მოთამაშეების რბოლაში

მსოფლიოს თასის **გათამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ოფიციალურმა მედიაორგანომ „RADIO SPORT RWC 2011“-მა ახალ ზელანდიაში მიმდინარე მსოფლიოს თასის გათამაშებაში, დღემდე გამართული მატჩების მიხედვით, საუკეთესო მოთამაშისთვის გამოსავლენი ქულები დააჯამა.**

პრინციპი, რომლითაც ტურნირის საუკეთესო მოთამაშე ვლინდება, მარტივია. იმას, ვინც კონკრეტული მატჩის საუკეთესო მოთამაშე გახდება, სამი ქულა ერიცხება, ამ მატჩში მის მეორე და მესამე კონკურენტს კი შესაბამისად 2 და 1 ქულა. პრინციპი მარტივი კია, მაგრამ არა სამართლიანი, რადგან მაგალითად **მამუკა გორგოძეს**, რომელსაც ექვსი ქულა დაუგროვდა და ლიდერებშია, ოთხი თამაშის გამართვამ მოუნია. **სხალკ ბურხერმა** (სამხრეთ აფრიკა), **შონ ობრაიანმა** (ირლანდია) და **ჯიმი რობერტსმა** (უელსი) კი, რომლებიც მამუკას ერთი ქულით უსწრებენ, ორი მატჩით ზედმეტი ჩაატარეს.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრების ლიდერი ისეთ მორაგბეებს უსწრებს, როგორებიც არიან **რიჩარდ კაჰუი** (ახალი ზელანდია), **ხუან მანუელ ლეგისამონი** (არგენტინა), **სემ ვერბარტონი** (უელსი), **ბენ იანგსი** (ინგლისი), **მარტინ კასტროჯოვანი** (იტალია), **იზრაელ დაგი** (ახალი ზელანდია), **ბენ ფოდენი** (ინგლისი), **ჯერომ კაიონო** (ახალი ზელანდია) და ასე შემდეგ.

საინტერესოა, რომ ამ საუკეთესო მორაგბეთა მარათონში კიდევ ორი ქართველი მორაგბე მოხვდა, ესენია მგეზავი **მერაბ კვირიკაშვილი**, რომელსაც ორი ქულა აქვს და საქართველოს ნაკრების კაპიტანი **ირაკლი აბუსერიძე** - ერთი ქულა.

RADIO SPORT RWC 2011-ს ვერსია

სხალკ ბურხერი (სამ.აფრიკა) - 7 ქულა, შონ ობრაიენი (ირლანდია) - 7, ჯიმი რობერტსი (უელსი) - 7, მამუკა გორგოძე (საქართველო) - 6, დევიდ პოკოქი - (ავსტრალია) - 6, რიჩარდ კაჰუი (ახ.ზელანდია) - 5, ხუან მანუელ ლეგისამონი - (არგენტინა) - 5, სემ ვერბარტონი (უელსი) - 5, ბენ იანგსი (ინგლისი) - 5, მარტინ კასტროჯოვანი (იტალია) - 4, ვინსენ კლერი (საფრანგეთი) - 4, ტოდ კლეევერი (აშშ) - 4, სერჯო პარისე (იტალია) - 4.

САКТВЕЛМОХМЕДО МАТЧИ

ბარბაროსი უკვე სამი გვყავს

ცნობილ, ერთ-ერთ უძველეს სარაგბო კლუბ „ბარბაროსებში“ პირველად ქართველი მორაგბეებიდან შერკინების ბურჯმა **დავით ქუბრიაშვილმა** ითამაშა. ამ კლუბის თეთრ-შავი კვართით თამაში ნებისმიერი მორაგბისთვის საპატიოა.

„ბარბაროსი“ ქართველების რიცხვი ამჯერად სამამდე გაიზარდა. შოტლანდიის ქალაქ იოკიში „მესფილდ პარკზე“ „ბარბაროსებმა“ სპორტული კომენტატორის **ბილ მაკლარენის** ფონდის მხარდასაჭერ საქველმოქმედო მატჩში, სამხრეთ შოტლანდიის ნაკრებთან ითამაშეს და 15:22 წააგეს.

„ბარბაროსების“ შემადგენლობაში ორმა ქართველმა, „ბორჯღალოსნების“ შუამარბმა **დავით კაჭარავამ** და შერკინების ბურჯმა **გოდერძი შველიძემ** ითამაშა. კაჭარავა მეორე ტაიმში შეცვალეს, შველიძემ კი თავიდან ბოლომდე იასპარეზა.

ბარბაროსები-სამ.შოტლანდია 15:22

ბარბაროსები: 15. ჯიმ თომსონი, 14. ლეიგ ჰილტონი, 13. დავით კაჭარავა, 12. ჯონ ჰიუსტონი, 11. სებ ვიზერი, 10. კერის რისი, 9. ტიმ უსაზი. 1. ჯეკ ოკონელი, 2. ნილ ანეტი, 3. გოდერძი შველიძე, 4. ეუროს ევანსი, 5. კრისტიან პეტრე, 6. კირან რუდოკი, 7. კრის დევისი, 8. მიქაელ მაკკომიში

16. ფინლი გილსი, 17. ბენ ევანსი, 18. გარეთ როულინგსი, 19. რობ ბოლდუინი, 20. გრეგ ვილსონი, 21. ჯიმი დევისი, 22. რონ ჯეიმზი.

ЛЕГЕНДА

ლომუ საავადმყოფოდან გამოწერეს

ლეგენდარული ახალზელანდიელი მორაგბე **ჯონა ლომუ** ორი კვირის წინ თირკმლის შეტევით საავადმყოფოში მოათავსეს. 36 წლის ყოფილ „ოლ ბლექსს“ დიალიზის პროცედურები ჩაუტარეს.

ცნობილია, რომ ლომუმ 2004 წელს თირკმელი გადაინერგა და მას შემდეგ რამდენჯერმე სცადა სარაგბო ასპარეზზე დაბრუნება, თუმცა ყოველ ჯერზე, მისი მცდელობა წარუმატებლად მთავრდებოდა.

ამჯერად ლომუ კრივის რინგზე ასვლას აპირებდა და მისი ცუდად გახდომის მიზეზიც სწორედ ჭარბი ფიზიკური დატვირთვები და არასწორი დიეტა იყო.

მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე აქტიურად მონაწილეობდა ახალ ზელანდიაში მსოფლიოს თასის გათამაშების გახსნის ცერემონიაში, თუმცა ავადმყოფობის გამო დახურვის აღსანიშნავ ღონისძიებას დააკლდება.

ჯონა ლომუს მდგომარეობა ამჟამად გაუმჯობესდა, თუმცა მას მაინც ექიმების მუდმივი ყურადღება ესაჭიროება.

გვერდი მოამზადა
ბესიკ ჯანგავაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

● კალათბურთი

საბერძნეთში გაურკვევლობაა

საბერძნეთში, როგორც NBA-ში

საბერძნეთში ჯერჯერობით ვერ ხერხდება ახალი სეზონის დაწყება. ქვეყნის ჩემპიონატის პირველი ტური იქამდე არ ჩატარდება, სანამ კლუბები ტელევიზიასთან არ გააფორმებენ კონტრაქტს, - წერს Hellenic Hoops. ლოკაუტს მხარს უჭერს შვიდი კლუბი, თუმცა მათ შორის გრანდები არ არიან - „პანათინაიკოსი“ და „ოლიმპიაკოსი“ გაფიცვის წინააღმდეგ წავიდნენ. „პანათინაიკოსის“ გენერალურმა მენეჯერმა ისიც კი განაცხადა, რომ კლუბმა, შესაძლოა, ადრიატიკის ლიგაში გააგრძელოს გამოსვლა.

გარდა ამისა, ლიგის ხუთი უდიდესი კლუბი („ოლიმპიაკოსი“, „პანათინაიკოსი“, „არისი“, პაოკ და „პანიონიოსი“) ითხოვს, რომ მათ სამოყვარულო სტატუსი დაუბრუნდეთ. ამით ისინი განთავისუფლდებიან მოთამაშეთა ხელფასების გადასახადისგან და აგრეთვე, სახელმწიფოსგან დახმარებას მიიღებენ.

■ ■ ■

ევროპული კალათბურთის კიდევ ერთი სიახლე ის არის, რომ ბარსელონაში გაიმართა რანგით მეორე ევროტურნირის - ევროპის თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა, რის შემდეგაც დაკომპლექტდა რვა ქვეჯგუფი.

პირველი ტური 15 ნოემბერს გაიმართება, ბოლო - 20 დეკემბერს. შემდეგ ეტაპზე ორ-ორი საუკეთესო გუნდი გავა.

წილისყრის შედეგები

A ჯგუფი: ციბონა (ხორვატია), ჰაპოელი ი (ისრაელი), დონეცკი (უკრაინა), გრაველენი (საფრანგეთი);

B ჯგუფი: ხიმკი (რუსეთი), პაოკ (საბერძნეთი), შოლე (საფრანგეთი), ვეფ რიგა (ლატვია);

C ჯგუფი: არისი (საბერძნეთი), ნიმბურკი (ჩეხეთი), რუდუპისი (ლიტვა), გრონინგენი (ჰოლანდია);

D ჯგუფი: ვალენსია (ესპანეთი), ოსტენდე (ბელგია), ვილერბანი (საფრანგეთი), აკადემიკი (ბულგარეთი);

E ჯგუფი: გრან კანარია (ესპანეთი), ლოკომოტივი (რუსეთი), ბანვითი (თურქეთი), სკაილაინერსი (გერმანია);

F ჯგუფი: ლეტუვოს რიტასი (ლიტვა), ლემანი (საფრანგეთი), აზოვმაში (უკრაინა), კრკა (სლოვენია);

G ჯგუფი: ბენეტონი (იტალია), სპარტაკი, ს-პ (რუსეთი), ცედევიტა (ხორვატია), ბაიერნი (გერმანია);

H ჯგუფი: ალბა (გერმანია), დექსია (ბელგია), ბუდუჩნოსტი (ჩერნოგორია), ტუროვი (პოლონეთი).

● კრივი



დევიდ ჰეი

კლიჩკო ჰეის არ უშვებს

უკრაინელი ძმების - **ვიტალი** და **ვლადიმერ კლიჩკოების** მენეჯერმა **ბერნდ ბენტემ** განაცხადა, რომ სავარაუდოდ, მომავალ წელს გაიმართება ბრძოლა ვიტალი კლიჩკოსა და ბრიტანელ **დევიდ ჰეის** შორის. ბენტეს თქმით, ასეთი რამ იმ შემთხვევაშიც მოხდება, თუ 13 ოქტომბერს, საკუთარ დაბადების დღეზე ჰეი კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადებს. მენეჯერმა განაცხადა, რომ ბრძოლის ორგანიზებაზე მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

ბენტეს თქმით, თუ უფროსი კლიჩკო და ჰეი მოილაპარაკებენ ფინანსურ საკითხზე, შეხვედრა „100 პროცენტით“ გაიმართება. ძმების მენეჯერი გუშინ ელაპარაკა ჰეის პრომოუტერ **ადამ ბუტს**.

შეგახსენებთ, რომ 11 ოქტომბერს გაზეთმა „სანმა“ შემდეგი ინფორმაცია გავრცელა: დევიდ ჰეიმ ბრიტანეთის საკრივო საბჭოს შეუთვალა, რომ აღარ აპირებს თავისი საკრივო ლიცენზიის გაგრძელებას, რითაც დაადასტურა ძველი განცხადება იმის შესახებ, რომ 2011 წლის 13 ოქტომბერს, თავის 31-ე დაბადების დღეზე დასრულებდა კარიერას.

თუ ბრიტანელი დანაპირებს აასრულებს, გამოდის, რომ ის პროფესიულ რინგზე გამოსვლას წაგებით ამთავრებს. წელს, ივლისში დევიდი ქულებით დაშარცხდა ვლადიმერ კლიჩკოსთან და დაკარგა WBA-ის ვერსიით ჩემპიონის ტიტული.

თუ ჰეი და უფროსი კლიჩკო შეძლებენ მოლაპარაკებას, მათი შეხვედრა მომავალი წლის თებერვალში ან მარტში გერმანიის რომელიმე ქალაქში გაიმართება.

ოპტიმალური ვარიანტი - 50 მატჩი

კალათბურთის თემაზე მომუშავე ამერიკელი ჟურნალისტები აცხადებენ, რომ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში საუკეთესო შემთხვევაში შემოკლებული სეზონი გაიმართება.

ერთ-ერთი კლუბის გენერალურმა მენეჯერმა, რომელმაც ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა, პრესასა განუცხადა, რომ თუ სეზონის გადარჩენა მოხერხდა, გუნდებს რეგულარულ ჩემპიონატში 50-50 მატჩის ჩატარება მოუწევთ.

„ვფიქრობ, შექმნილ სიტუაციაში საუკეთესო გამოსავალი იქნებაᲯ50 მატჩამდე შემცირებული სეზონი. თუმცა არ გამოვრიცხავ ისეთ ვარიანტს, რომ 2011-12 წლების სეზონი საერთოდ არ ჩატარდეს“, - ამბობს ინკოგნიტო წყარო.

ლიგის კომისრის **დევიდ სტერნის** თქმით, პროფკავშირი და კლუბების მფლობელები ჯერ არ შეთანხმებულან მომდევნო შეხვედრის თარიღზე, მაგრამ სავარაუდოდ, მოლაპარაკებათა მორიგი რაუნდი უახლოეს პერიოდში გაიმართება.

მანამდე კი, კერძოდ, 14 ოქტომბერს პროფკავშირების აღმასრულებელი დირექტორი **ბილ ჰანტერი** NBA-ის კალათბურთელებს შეხვდება. ის აპირებს მკაფიოდ აუხსნას მოთამაშეებს პროფკავშირებისა და ლიგის ხელმძღვანელთა პოზიციები ლოკაუტის გარშემო მიმდინარე მოლაპარაკებებზე.

როგორც ESPN წერს, ჯერჯერობით NBA-ის არც ერთი კალათბურთელი არ გამოსულა პროფკავშირების კრიტიკით.



დურანტი და გრიფინი

ამარე ლიგას ქმნის

ლებრონ ჯეიმსი კი ამერიკულ ფეხბურთზე დაფიქრდა

ლოკაუტის პერიოდში ლიგის კალათბურთელები ცდილობენ თავიანთი საყვარელი საქმე არ დაივიწყონ. „ნიუ იორკ ნიქსის“ ფორვარდმა **ამარე სტაუდმაიერმა** განაცხადა, რომ NBA-ის მოთამაშეები მზად არიან საკუთარი ლიგის შექმნით გადაწყვიტონ ლოკაუტის პრობლემა.

„თუ ჩვენ არ ვაპირებთ ევროპაში გადასვლას, მაშინ არსებობს აქ საკუთარი ლიგის შექმნის აზრი. ეს ძალიან სერიოზული პროექტი იქნება. უნდა შევათანხმოთ გეგმა და მატჩების კალენდარი. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები ლოკაუტთან დაკავშირებით. თუ ის ერთი-ორი წელი გაგრძელდა, მაშინ საკუთარ ლიგას შევქმნით.

ჩვენ დღეს გვინდა თამაში. არ ვაპირებთ უბრალოდ ჯდომასა და ლოდინს“, - ამბობს სტაუდმაიერი Hoopsworld-თან კომენტარში.

■ ■ ■

დღეს, ოკეანის გაღმა მოდაშია საჩვენებელი მატჩების ორგანიზება. ამჯერად საგამოფენო შეხვედრის ჩატარებას აპირებს „ოკლაჰომა-სიტის“ ვარსკვლავი **კევინ დურანტი**. მატჩის თარიღია 27 ოქტომბერი. დურანტის გეგმით, თამაშში მონაწილეობა უნდა მიიღონ **ლებრონ ჯეიმსმა, დუეინ უეიდმა, ბლეიკ გრიფინმა** და **კრის პოლმა**.

■ ■ ■

თავად ლებრონ ჯეიმსმა კი თავის „ტვიტერზე“ ერთი საინტერესო ფრაზა დაწერა. „მაიამი ჰიტის“ ლიდერს გაახსენდა, რომ ოდესღაც სკოლის გუნდში ამერიკულ ფეხბურთს თამაშობდა.

„როდის არის NFL-ში (ამერიკული ფეხბურთის პროფესიული ლიგა) თავისუფალი აგენტების გაფორმების ბოლო ვადა?“ - იკითხა ჯეიმსმა სოციალური ქსელის მეშვეობით.

ისევ კობისა და ვირტუსის შესახებ

რამდენიმე საინტერესო ინფორმაცია გავრცელდა ტრანსფერებთან დაკავშირებით. ბოლო დღეებში ეს თემა **კობი ბრაიანტის** გარეშე არ არსებობს.

„ლეიკერსის“ ლიდერმა, შესაძლოა, უახლოეს დღეებში მიიღოს ბოლონიას „ვირტუსის“ მფლობელის **კლაუდიო საბატინის** წინადადება და ერთი მატჩი ჩაატაროს იტალიური კლუბის შემადგენლობაში. იტალიური პრესა წერს, რომ მხარეებმა პრაქტიკულად შეათანხმეს კონტრაქტის დეტალები.

იტყობინებიან, რომ კობი იტალიაში ოთხ დღეს გაატარებს და 2 მილიონ დოლარს გამოიმუშავებს.

■ ■ ■

„ოკლაჰომა-სიტის“ მცველმა **ტაბო სეფოლოშამ** კონტრაქტის დეტალები შეათანხმა თურქეთის „ფენერბაჰჩესთან“ და ამ კლუბში ლოკაუტის პერიოდში ითამაშებს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ყველა ფორმალობა დღეს მოგვარდება.

გასულ სეზონში სეფოლოშამ NBA-ის რეგულარულ ჩემპიონატში 79 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 5.1 ქულა და 4.4 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

მადრიდის „რეალი“ **რუდი ფერნანდესის** ალტერნატივად საფრანგეთის ნაკრების ფორვარდს **მიკაელ ჟელაბალს** განიხილავს.

28 წლის კალათბურთელმა ამ ზაფხულს კონტრაქტი გააფორმა ბელგიის „შარლერუასთან“, მაგრამ იქიდან ტრავმის გამო დაითხოვეს. ესპანური პრესის ინფორმაციით, ჟელაბალმა, შესაძლოა, ამ დღეებში გააფორმოს კონტრაქტი „სამეფო კლუბთან“.



ტაბო სეფოლოშა

ვარაუდობენ, რომ სარეაბილიტაციო კურსის გავლის შემდეგ ჟელაბალი შეცვლის რუდი ფერნანდესს, რომელიც, თავის მხრივ, NBA-ში ლოკაუტის დასრულებისთანავე დატოვებს „რეალს“.

მიკაელი ერთხელ უკვე თამაშობდა „რეალში“ - 2004-06 წლებში და ესპანეთის ჩემპიონატში საშუალოდ 7.4 ქულას აგროვებდა.

დენგი ფულზე დასახტეს

„ჩიკაგო ბულზის“ ბრიტანელი კალათბურთელის **ლუოლ დენგის** მიერ ლონდონის განვითარებაში შეტანილი წვლილის აღნიშვნა მეტად ორიგინალურად გადაწყვიტეს.

დენგის სურათი ამშვენებს სიმბოლურ კუპიურებს, რომლითაც ლონდონის ერთ-ერთი რაიონის მცხოვრებლები და სტუმრები იხდიან. კუპიურების გადახურდავება რაიონის რამდენიმე სავაჭრო ცენტრშია შესაძლებელი.

„ეს დიდი პატივია ჩემთვის. ბრიქსტონში გავიზარდე, აქვე ვიწყებდი საკალათბურთო კარიერას ახალგაზრდულ გუნდში. მოხარული ვარ იმით, რომ დავეხმარე ამ რაიონსა და ხალხს, რომლებმაც ასე გადამიხადეს მადლობა“, - ამბობს „ჩიკაგოს“ ფორვარდი.

ასევე კუპიურებზე მოხვდნენ ამ რაიონის სხვა ცნობილი ადამიანები: მომღერალი **დევიდ ბოუი,** ადგილობრივი უნივერსიტეტის აქტივისტი **კეისი ჰარისონი** და სხვა ლოკალური „გამორჩეულები“.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ᲰᲝᲙᲔᲘ. NHL ᲠᲔᲒᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠ�გᲡ ᲙᲠᲝᲡᲑᲘ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ

პიტსბურგმა კარგად დაიწყო

ᲰᲝᲙᲔᲘᲡ ეროვნულ ლიგაში ორი შეხვედრით გაგრძელდა რეგულარული სეზონი. შესანიშნავად გამოიყურება ჩემპიონატის ფავორიტი „პიტსბურგ პინგვინზი“, რომელიც გუშინ საკუთარ მოედანზე ხვდებოდა „ფლორიდას“ და მეოთხე მატჩში მესამე გამარჯვება გაიფორმა. არადა, ამ გუნდმა სეზონი თავისი ლიდერის **სიდნი კროსბის** გარეშე დაიწყო, გარდა ამისა, ბოლო ორი შეხვედრაა „პინგვინებს“ ვერ ეხმარება მეორე წამყვანი ფორვარდი **ევგენი მალკინი**.

„პიტსბურგისთვის“ ეს იყო პირველი საშინაო შეხვედრა ახალ სეზონში და მასპინძლებმა ის აღმავლობით ჩაატარეს. „პინგვინზი“ მუდმივად წინ იყო და ეჭვი არავის შეჰპარვია მის გამარჯვებაში. ანგარიში მე-15 წუთზე **პასკალ დუპუიმ** გახსნა, მეორე პერიოდის მე-12 წუთზე კი ძასპინძლების უპირატესობა **მეტ კუკმა** განავრცო - ეს ამ ჰოკეისტის მესამე გოლია სეზონში. 40 წამში ფლორიდელებმა გაქვითეს ერთი შაიბა - თავი გამოიჩინა **მარსელ გოკმა**, თუმცა სამ წუთში „პიტსბურგმა“ აღადგინა ორშაიბიანი უპირატესობა - **რიჩარდ პარკმა** გამოიყენა **კრეიგ ადამისის** პასი და მესამე პერიოდის წინ ანგარიში 3:1 გახდა.

მესამე პერიოდში გუნდებმა თითო შაიბა გაცვალეს. მე-4 წუთზე „ფლორიდამ“ დაიტოვა მატჩის გადარჩენის შანსი, როცა **ტომაშ ფლიშმანმა** მინიმუმამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ საბოლოო სიტყვა მაინც მასპინძელთა გუნდმა თქვა. კერძოდ, **კრის კუნიცისა** და **ჯორდან სტაალის** კომბინაციის შემდეგ **ჯეიმს ნილმა** გაიტანა და „პიტსბურგმა“ მორიგი შეხვედრა 4:2 მოიგო.

აღსანიშნავია, რომ სტარტზე ოთხიდან სამი მოგება „პიტსბურგისთვის“ სეზონის საუკეთესო დასაწყისია ბოლო 17 წლის განმავლობაში.

■ ■ ■

ორი დღის განმავლობაში ზედიზედ ორი მატჩი წაგო „მინესოტამ“, რომელიც სტუმრად თამაშობდა „ოტავას“ წინაალმდეგ. კანადელი „სენატორები“ ამ მატჩს ორიდან ორი ნაგებით შეხვდნენ და ამჯერადაც ახლოს იყვნენ დამარცხებასთან. „მინესოტამ“ კარგად დაიწყო და პირველი პერიოდის შემდეგ 2:0-ს იგებდა. ანგარიში მეცხრე წუთზე **კაილ ბროძიაკმა** გახსნა, პერიოდის მინურულს კი „სან ხოსედან“ შეძენილმა **დევინ სეტოგუჩიმ** ორშაიბიანი უპირატესობა მოუტანა „ველურებს“.

მეორე პერიოდში მხოლოდ ერთი შაიბა გავიდა - **კრის ნილისა** და **პიტერ რეგინის** აქტიურობის შემდეგ „ოტავას“ მატჩის გადარჩენის შანსი **ნიკ ფოლინომ** დაუტოვა. მაგრამ დაიწყო მესამე პერიოდი და „მინესოტა“ ისევ ორი შაიბით დაინაურდა - მეორე წუთზე სტუმრების მხრიდან **ნიკ ჯონსონმა** გამოიჩინა თავი და თითქოს გადამწყვეტი უპირატესობა მოუტანა თავის გუნდს - 3:1.

თუმცა „მინესოტამ“ ვერ გაძლო. ამ გუნდისთვის საბედისწერო აღმოჩნდა ორწუთიანი მონაკვეთი, როცა კრის ნილმა სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, შემდეგ კი „ოტავამ“ პირველად ამ მატჩში რიცხობრივი უპირატესობის გამოყენება შეძლო. ეს გააკეთა **კოლინ გრინინგმა**. ამ გოლში მონაწილეობა მიიღო შვედმა **ერიკ კარლსონმა**, რომელიც ხუთი შედეგიანი პასით სეზონის ლიდერი გახლავთ.

დარჩენილ დროში და ოვერტაიმში ანგარიში აღარ შეცვლილა და დაინიშნა ბულიტების სერია, რომელიც „ოტავამ“ ბრწყინვალედ ჩაატარა - „სენატორების“ სამმა ჰოკეისტმა - **მიხალეკმა, სპეცამ** და **ალფრედსონმა** გაიტანეს პენალტები, რასაც „მინესოტამ“ მხოლოდ **კულენის** გოლით უპასუხა და „ოტავამ“ პირველი გამარჯვება იზეიმა სეზონში.

ᲞᲘᲢᲡᲑᲣᲠᲒᲘ-ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ 4:2

1:0, 2:1, 1:1

გოლები: 1:0 დუპუი-1 (ვიტალე-1, ლეტანგი-5), 2:0 მ. კუკი-3 (ვიტალე-2, დუპუი-3), 2:1 გოკი-1 (სკილი-1, ვივერი-1), 3:1 პარკი-1 (ადამსი-1), 3:2 ფლიშმანი-1 (ვეისი-1, ვერსტიგი-2), 4:2 ჯ. ნილი-2 (ჯ. სტაალი-3, კუნიტცი-1).

ᲝᲢᲐᲕᲐ-ᲛᲘᲜᲔᲡᲝᲢᲐ 4:3 (Გ)

0:2, 1:0, 2:1

გოლები: 0:1 ბროძიაკი-1 (სტოუნერი-1), 0:2 სეტოგუჩი-2 (მ. კოივუ-2, ჰიტლი-2), 1:2 ფოლინო-1 (რეგინი-1, კ. ნილი-1), 1:3 ნ. ჯონსონი-1, 2:3 კ. ნილი-1 (რეგინი-2, კ. ფილიპსი-2), 3:3 გრინინგი-2 (მ. მიხალეკი-2, ე. კარლსონი-5).

ბულიტები გაიტანეს: მ. მიხალეკი (ოტავა), კულენი (მინესოტა), სპეცა (ოტავა), ალფრედსონი (ოტავა).

ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ 1

ᲤᲔᲠᲐᲠᲘ ᲰᲔᲛᲘᲚᲢᲝᲜᲖᲔ ᲐᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲓᲐ

ᲔᲠᲗᲙᲘᲠᲘᲐᲜᲘ პაუზის შემდეგ ფორმულა 1-ში მსოფლიოს ჩემპიონატი კვირას სამხრეთ კორეის გრანპრით განახლდება.

სებასტიან ფეტელის მეორედ გაჩემპიონების შემდეგ, წლევანდელ სეზონს მხოლოდ ერთი ინტრიგა შემორჩა - ვინ მოიპოვებს ვიცე-ჩემპიონის ტიტულს. რეალური კანდიდატი ორია - „მაკლარენის“ პილოტი **ჯენსონ ბატონი** და „ფერარის“ ლიდერი **ფერნანდო ალონსო**. მათ შორის სხვაობა რვა ქულაა ბატონის სასარგებლოდ.

„ფერარის“ შეფი **სტეფანო დომენიკალი** აცხადებს, რომ სეზონის ბოლომდე დარჩენილ 4 რბოლაში მისი გუნდის ამოცანა სწორედ მეორე ადგილზე გასვლა იქნება. გარდა ამისა, „სკუდერია“ 2011 წლის სეზონის დასკვნით ეტაპებს 2012 წლის ჩემპიონატისთვის მოსამზადებლადაც გამოიყენებს.

- იაპონიის განვლილ ეტაპზე მეორე ადგილისთვის ვიბრძოდით. ეს კარგი შედეგია და იმას ნიშნავს, რომ რეალურად კონკურენტუნარიანები ვართ. ასე უნდა გავაგრძელოთ მომდევნო ოთხ რბოლაში, რადგან სეზონის დასკვნით ნაწილში ჩვენი მიზანი მინიმუმ ერთი ეტაპის მოგებაა. ასევე ვიზრუნებთ იმაზე, რომ ფერნანდომ ვიცეჩემპიონობა მოიპოვოს - ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი გუნდისთვის. ამიტომაც მოდუნებას არ ვაპირებთ და დარჩენილ რბოლებში მაქსიმალურად მობილიზებულები და აგრესიულები ვიქნებით, - ამბობს სკუდერიას ბოსი.

„ფერარიში“ იმედი აქვთ, რომ მეორე პილოტი **ფელიპე მასა** დაძლევს კრიზისს და სეზონის დარჩენილ რბოლებში შეძლებს მაღალი შედეგის მიღწევას. ბრაზილიელი წელს არც ერთხელ არ ასულა პოდიუმზე - ბოლოს ასეთი რამ შარშანდელ სეზონში სწორედ კორეის გრანპრიზე მოხდა.

ამავე ინტერვიუში დომენიკალიმ ისიც აღიარა, რომ თვალნათლივ წარმოუდგენია „ფერარიში“ ფერნანდო ალონსოსა და ბრიტანელი **ლუის ჰემილტონის** პარტნიორობა.

„ფელიპე მასა ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ დაამტკიცოს თავისი უფლებები „ფერარიში“. თავის მხრივ, ის პილოტები, რომელთა კონტრაქტები მალე ამოიწურება, თავიანთი ძლიერი მხარეების წარმოჩენას ეცდებიან, რათა ჩვენგან მიწვევა მიიღონ. მაგალითად, ეს ეხება ლუის ჰემილტონს. თუმცა ამაზე ჯერ ნაადრევია ლაპარაკი“, - აცხადებს დომენიკალი.



კორეის გრანპრი 14 ოქტომბერს ორი თავისუფალი პრაქტიკით გაიხსნება, რბოლა კი 16 ოქტომბერს გაიმართება. ამის შემდეგ მოდის ინდოეთის, აბუ დაბისა და ბრაზილიის ეტაპები.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

ᲪᲮᲔᲚᲘ ᲮᲐᲖᲘ

ᲤᲣᲢᲑᲝᲠᲘ

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

UNDER 17

საგერძნეთი-ისრაელი	4:1
შვეიცარია-ისლანდია	5:1
ავსტრია-კვიპროსი	2:0
იტალია-დანია	1:4

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ

League Trophy

აკრინგტონი-ტრანმერი	0:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ

სერია C1/A

ვიარეჯო-ვონცა	1:1
აველინო-კაპრი	1:0
ბენევენტო-სორენტო	1:0
ფოლინო-ლუმეცანე	1:2
რივჯანა-პრო ვერჩელი	1:1
ტრიტიუმი-ფოჯა	1:1
ტარანტო-ტერნანა	0:1
სპალ-პავია	4:0
პიზა-კომო	1:0

სერია C1/B

ტრაპანი-კრემონეზე	0:0
კარარეზე-ანდრია	3:1
ბარლეტა-სუდტიროლი	1:1
ლანჩანო-სპეცია	0:0
პორტოგრუარო-გასანო	1:1
პრატო-ლატინა	2:1
ფროსინონე-ტრიესტინა	2:1
პერგოკრემა-სირაკუზა	2:0
ფერალპისალო-პიაჩენცა	0:1

ᲡᲞᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

სელტა-ვალიადოლიდი	4:1
ალკორკონი-ნუმანსია	2:1
ანდორა-სან როკე	1:3
კორდობა-უესკა	1:1 პენ. 2:1
მირანდისი-ლეგრონიესი	3:1
ორიუელა-კადისი	1:3
ალბასეტე-ალავესი	1:0
ლაგოსტერა-ოსპიტალეტი	0:1
ალმერია-ელჩე	1:0
ეიბარი-ჰენფერადინა	0:1
დეპორტივო-ალკორიანო	2:1

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ

ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲘ

ბეზანსონი-კრეტეი	3:2
შერბური-ნიორი	1:2
ფრეჟუსი-გფკო აიაჩო	2:1
ლე პუარი-ლუზენაკი	1:0
მარტიგი-ბეიონი	1:1
ნიმი-ორლეანი	1:1
პარიზი-ეპინალი	6:0
რედ სტარი-კეენელი	0:1
რუანი-ბოვე	1:1
ვანი-კოლმარი	3:1

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

დიორი-ზალაეგერშეგი	3:1
ლომგარდი-ჰალადაში	1:0
კაპოშვარი-ფერენცვაროში	2:2
პეჩი-ჭიოფოკი	1:1
დირმოტი-მტკ	1:1
ჰონვედი-ვიდეოტონი	1:1
ჟოლნოკი-უიპეშტი	1:3
კეჩმეკეტი-პასკი	2:1
ვაშაში-დიოშდიორი	1:1
მეძოკოვესდი-დეგრეცენი	0:1

ᲩᲠ. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲐ

ᲚᲘᲒᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ბანგორი-გალიმენა	0:2
კერიკი-ლიმავადი	3:1
კლიფტონვილი-დუნგანონი	5:0
დონეგალლი-დერგვეუ	0:1
გლენტორანი-პორტდაუნი	2:1
ლინფილდი-გლენავონი	0:0 პენ. 0:1
ლისბურნი-კრუზეიდერსი	2:4
ნიური-კოლრეინი	0:3

ᲐᲛ. ᲛᲘᲜᲘᲝᲠᲝ-ᲡᲐᲠᲐ

ავა-ატ. გოიანეშე	4:1
ბრეშიო-ფიგეირენსე	2:2
სან პაულუ-ინტერნასიონალი	1:3
	0:0

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲚᲠᲘᲐᲢᲘᲙᲘᲡ ᲚᲘᲒᲐ

ციგონა-კრკა	82:72
პარტიზანი-ჟელიოსი	86:59
შიროკი-რადნიჩკი	92:93

ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ

სევილია-ალიკანტე	86:61
გრან კანარია-კახა ლაგორალი	68:77
ხუვენტუდი-მურსია	71:65
ვალენსია-სარაგოსა	82:66
ბარსელონა-ესტუდიანტესი	97:51
ფუენლაბრადა-მანრესა	73:79
ოგრადოირო-უნიკახა	71:78

ᲡᲐᲑᲔᲠᲫᲜᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

კავალა-ილისიაკოსი	77:76
პაოკ-იკაროსი	89:67
არისი-ოლიმპიაკოსი	59:80

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ

სკაილაინერსი-ვიურცბურგი	80:78
ბაიერნი-ტიუბინგენი	86:77
ბაიროიტი-ჰაგენი	80:88
გამბერგი-ულმი	64:59
ბრაუნშვაიგი-ალბა	68:87
ბონი-ბისინი	83:67
არტლანდი-ტრირი	88:62
ლუდვიგსბურგი-ოლდენბურგი	98:77

ᲰᲝᲙᲔᲘ

ᲙᲐᲚ

მეტალურგი (ნ)-ს. იულიაევი	1:0
სიბირი-სპარტაკი	3:4
მეტალურგი (მ)-ტორპედო	3:0
იუგრა-დინამო (მ)	0:4
აკ ბარსი-ტრაქტორი	1:2
ვიტიაზი-სევერსტალი	4:3 (ბ)
ნეფტეხიმიკი-ავტომობილისტი	0:1
სკა-ცსკა	4:2
დინამო (მნ)-ბარისი	5:2
დინამო (რ)-ლევ პოპრადი	4:2

ᲨᲘᲜᲐᲗᲘ

იოკერიტი-ჰიფკ	3:4
კალუგა-ლუკო	5:2
ჰპკ-ესეტი	2:6

ᲨᲕᲔᲪᲐᲠᲘᲐ

ლუგანო-ამბრი	5:4 (ბ)

ᲩᲔᲮᲔᲗᲘ

მოდო-ბრიუნესი	4:3 (ო)

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ATP. ᲨᲐᲜᲮᲐᲘ

რამოსი-**დოლგოპოლოვი**	7:5, 3:6, 2:6
მელცერი-**ხრალდო**	6:4, 4:6, 6:7
ფერერო-ვერდასკო	4:6, 6:3, 6:2
ებდენი-ჰარისონი	6:4, 6:2
ნიშიკორი-ცონგა	6:7, 6:4, 6:4
ფერერი-რაონიჩი	7:5, 7:6
შტეპანეკი-**ბერდიხი**	4:6, 3:6
ნადალი-გარსია ლოპესი	6:3, 6:2
ლოპესი-ბოგომოლოვი	7:6, 3:6, 6:3

WTA. ᲝᲡᲐᲙᲐ

კრეიბასი-**კინგი**	1:6, 6:3, 1:6
ტანასუგარნი-იოჰანსონი	6:2, 6:4
ჟენგი-გაიდოშოვა	7:5, 6:3
გოვორცოვა-**კერბერი**	1:6, 3:6
ჩეტკოვსკა-სემა	6:0, 6:3

WTA. ᲚᲘᲜᲪᲘ

ლისიცკი-**ბრიანტი**	5:7, 6:4, 3:6
ვესნინა-**პენეტა**	6:7, 2:6
როდიონოვა-სტრიკოვა	7:6, 6:1
მარტიჩი-**ჰანტუხოვა**	3:6, 7:6, 1:6
პავლიუჩენკოვა-**კირსტეა**	6:4, 0:6, 4:6
ფორეტიცი-**მეირი**	6:3, 2:6, 2:6
გორვეესი-**როდინა**	3:6, 4:6

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

TV ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

13 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ

GMG-ᲤᲣᲢᲑᲝᲠᲘ

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ბოტაფოგო-ბაია.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. ბაიერნი-ლევერკუზენი.
14:00 იტალიის ჩემპიონატი. ნაპოლი-მილანი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXVIII ტური მიმოხილვა.
18:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - WORLD OF FOOTBALL.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-არსენალი.
21:00 იტალია. მატჩის ისტორია.
21:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი. რეალი-რაიო ვალეკანო.
00:00 ევრო 2012. შესარჩევი ტურნირი. გერმანია-ბელგია.

GMG-ᲡᲠᲣᲚᲘ 1

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ნორიჩი.
12:00 ახალი ამბები.
12:15 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-დენვერი.
14:00 ფეხბურთი. იტალია. მატჩის ისტორია.
14:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსკონტინენტალ სპორტი.
15:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ლევერკუზენი-ვოლფსბურგი.
17:00 რაგბი. ექვსი ერის თასი. შოტლანდია-იტალია.
18:50 სუპერკოლაფი.
19:30 ახალი ამბები.
20:00 საწოგბურთო მიმოხილვა.
21:00 კალათბურთი. ევროლიგა. 2010-11. პანათინაიკოს-მონტეპასკი.
23:00 კალათბურთი. NBA. 2010/2011. სუპერმატჩი. მაიამი-დენვერი.

GMG-ᲡᲠᲣᲚᲘ 2

09:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. შანხაი. ჩინეთი. მიმოხილვა.
10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).
18:00 ახალი ამბები.
18:30 ფეხბურთი. საფრანგეთის ჩემპიონატი. სოშო-ტულუზა.
20:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. შანხაი. ჩინეთი.

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲡᲠᲣᲚᲘ)

12:55 სპორტული ტანვარჯიში. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. მრავალჭიდი. იაპონია (LIVE).
19:55 ფრენბურთი. კლუბებს შორის მსოფლიოს ჩემპიონატი. 1/2 ფინალი. კატარი (LIVE).

HTB-ᲞᲚᲣᲡᲘ (ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ)

10:00 ATP-ის ტური. მასტერსი. 1/8 ფინალი. შანხაი. ჩინეთი (LIVE).

SPORT+

18:45 ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. ჩეხოვსკი მედვედი-ვივე ტარგი (LIVE).

EUROSPORT

16:00 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/8 ფინალი. ლინცი. ავსტრია (LIVE).

EUROSPORT-2

15:00 სნოუბორდი. მსოფლიოს თასი. პარალელური გიგანტური სლალომი. ლანგდრავი. ჰოლანდია (LIVE).

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ამბები

ჩოგბურთი

ბერდიხი და კვიტოვა გაერთიანდებიან

2010 წლის უიმბლდონის ფინალისტმა **ტომაშ ბერდიხმა** განაცხადა, რომ შესაძლოა, ქალთა უიმბლდონის წლევანდელ გამარჯვებულთან **პეტრა კვიტოვასთან** ერთად ლონდონის ოლიმპიადის მიქსტში მიიღოს მონაწილეობა. ამასთან, ჩეხი ჩოგბურთელი დარწმუნებული არ არის, რომ მისი და **რადეკ შტეპანეკის** დუეტი შეძლებს ოლიმპიური თამაშების წყვილთა თანრიგში თამაშს.

„სავსებით მისაღები ვარიანტია ჩეხეთის ნაკრებისთვის, მაგრამ ლონდონამდე ჯერ შორია, - განაცხადა მიქსტთან დაკავშირებით ბერდიხმა. - ჯერ კარგად უნდა გავარკვიო, თავად რა მსურს. თანაც, ჩემ მიმართ ძალიან დიდი მოლოდინია ოლიმპიადის ერთეულთა თანრიგში გამოსვლის გამო. კიდევ არის ვარიანტი, რომ მე და რადეკ შტეპანეკი ვითამაშებთ წყვილებში, მაგრამ ერთ კვირაში სამი ტურნირის ჩატარება რთული იქნება, არ ვიცი, გავუმკლავდები თუ არა ასეთ დატვირთვას“.

სერენა თანამედროვეობის ლიდერია

დანიურმა გაზეთმა Ekstra Bladet-მა უცხოელ ექსპერტებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, რომელიც დანიელი ჩოგბურთელის **კაროლინ ვოზნიაცკის** მსოფლიოს რეიტინგში ლიდერობის წლისთავს მიუძღვნა. სპეციალისტებს უნდა დაესახელებინათ თანამედროვე ჩოგბურთის ხუთი საუკეთესო ქალი მოთამაშე.

გამოცემის ინფორმაციით, პირველ ადგილზე გავიდა **სერენა უილიამსი**, მეორეზე - ვოზნიაცკი. შემდეგ მოდიან: **მარია შარაპოვა, კიმ კლაისტერსი** და **ვიქტორია აზარენკა**.

გრაფს სამშობლო არ ენატრება

ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ჩოგბურთელმა, გერმანელმა **შტეფი გრაფმა** განაცხადა, რომ სამშობლოს მიმართ ნოსტალგიის გრძნობა არ ანუხებს, ამიტომაც არ აპირებს ლას ვეგასის დატოვებას, სადაც 11 წელია ცხოვრობს.

შტეფის ბედნიერი ოჯახი აქვს ლეგენდარულ ამერიკელ ჩოგბურთელ **ანდრე აგასისთან**. ვარსკვლავური წყვილი ორ შვილს ზრდის.

„გერმანიაში გამგზავრების საშუალება ხშირად მაქვს, ამიტომაც ნოსტალგიის გრძნობა არ მაქვს. ანდრეს მხრივ ძალიან გამიმართლა - ჩვენს ოჯახში სრული ჰარმონია, თანასწორობა და კომფორტი სუფევს“, - განაცხადა გრაფმა ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში.

ველოსპორტი

კევენდიშმა ახალი გუნდი იპოვა

მსოფლიოს საუკეთესო სპრინტერი **მარკ კევენდიში** მომავალ სეზონს ახალი გუნდის რიგებში დაიწყებს. 26 წლის ბრიტანელმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გაისად პრო-ტურში Team Sky-ის ღირსებას დაიცავს. შეგახსენებთ, რომ კევენდიში სექტემბრის ბოლოს კოპენჰაგენში გუნდურ რბოლაში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

„ვფიქრობ, მთელი გუნდის სახელით შემიძლია იმის თქმა, რომ ძალიან მოხარულები ვართ მარკის Team Sky-ში გადმოსვლით. ის საუკეთესო სპრინტერია მსოფლიოში და მისი ენერგია და შემართება ყველა თანაგუნდელისთვის გადამდები იქნება. ჩვენმა გუნდმა ორი კარგი სეზონი ჩაატარა და კევენდიშის გაფორმებით, კიდევ უფრო დიდ ნაბიჯს გადადგამს წინ“, - განაცხადა კევენდიშის ახალმა პარტნიორმა **ბრედლი უიგინსმა**.

ფორმულა 1

ფორს ინდია იყიდება

ცოტა ხნის წინ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ინდოელმა ბიზნესმენმა **ვიჯაი მალიამ**, შესაძლოა, საკუთარი საჯინიბო - „ფორს ინდია“ ინდურ კონგლომერატს Sahara-ს მიჰყიდოს. თუმცა მალიამ ძალიან მალე უარყო ეს ინფორმაცია. მიუხედავად ამისა, გუშინ CNBC-მ გამოაცხადა, რომ Sahara-სთან შეთანხმება მიღწეულია და კონტრაქტი მალე გაფორმდება. *„სავარაუდოდ, მალია ამ ინფორმაციას ხუთშაბათს გამოაცხადებს“*, - იტყობინება CNBC.

თავის მხრივ, ერთ-ერთმა ინდურმა გაზეთმა დაამატა: *„კორპორაციის ორი ბოსი (ვიჯაი მალია და სუბრატა როი საჰარა) ხელს მოაწერს ხელშეკრულებას, რომლის შესახებ ხვალ ოფიციალურად გამოცხადდება“.*

კუბიცას საკითხი მალე გაირკვევა

„ლოტუს-რენოს“ შეფმა **ერიკ ბულიემ** განაცხადა, რომ თუ პოლონელი **რობერტ კუბიცა** ვერ შეძლებს რბოლებში დაბრუნებას, 2012 წლის ჩემპიონატში მის ადგილს GP2-ის სერიის წლევანდელი ჩემპიონი **რომენ გროსჟანი** დაიკავებს.

„ვაპირებ კუბიცას ამ კვირას დავურეკო და გარკვეული ინფორმაცია მივიღო მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. წარმოდგენა არ მაქვს, როდის გადაწყდება ეს საკითხი. უნდა შევხვდე მას, დაველაპარაკო, ჩავატაროთ ტესტები.

მისი დაბრუნება - ჩვენი პრიორიტეტია, მაგრამ თუ ვერ შეძლო კარიერის გაგრძელება, მომავალ წელს გუნდში გროსჟანს მივიწვევთ. ეს პილოტი მოლაპარაკებებს აწარმოებს ორ სხვა გუნდთან, მაგრამ ცნობილია, რომ ფრანგ პილოტებს სპონსორები მაინცდამაინც არ წყალობენ, ამიტომაც ჩვენთან გადმოსვლის კარგი შანსი აქვს“, - ამბობს ბულიე.

გორო როსო რეზერვს ცდის

ფრანგი პილოტი **ჟან-ერიკ ვერნიე** დარჩენილი ოთხი რბოლიდან სამში (კორეა, აბუ დაბი, ბრაზილია) „ტორო როსოს“ ბოლიდის საჭეს მიუჯდება. ლაპარაკია პარასკევის თავისუფალ პრაქტიკებზე.

იტალიური საჯინიბოს ხელმძღვანელობა ინდოეთშიც აპირებდა ვერნიეს მიწვევას, მაგრამ „ტორო როსოს“ მოქმედი პილოტები ცუდად იცნობენ ინდურ ტრასას, ამიტომაც სრულად ჩაატარებენ ამ ქვეყნის გრანპრის.

კრიკეტი

პარისონი არ ვიდის

ვეტერანმა ბრიტანელმა მოკრივემ **ოდლი ჰარისონმა** განაცხადა, რომ არ აპირებს დიდი სპორტის მიტოვებას. 39 წლის სპორტსმენის თქმით, ასაკის მიუხედავად ძალიან უნდა რინგზე დაბრუნება.

„თუ რაიმე ტრავმას მივიღებ ან ბრძოლას წავაგებ, მაშინ ჩემი კარიერა დასრულებული იქნება, - ამბობს ჰარისონი. - ჯერჯერობით კი ნაადრევია დიდი სპორტიდან წასვლა, რადგან ამით ხაზს გადავუსვამ ჩემს მიღწევებს. საკუთარ თავს კიდევ ერთ შანსს მივცემ, რათა შევამოწმო რა შემიძლია რინგზე. თუ რამე არ გამომივა, ამას ვარჯიშებზეც შევატყობთ, მაგრამ ბედი აუცილებლად უნდა ვცადო.

არაფერს ვნანობ. ოლიმპიური ოქრო ჩემი მთავარი მიღწევაა, მით უმეტეს, არც ერთ სხვა ბრიტანელ მოკრივეს არ მოუპოვებია ოლიმპიადაზე გამარჯვება. რასაც არ უნდა ლაპარაკობდნენ ჩემი კრიტიკოსები, საკუთარი თავი იმ ადამიანად მიმაჩნია, ვინც შეძლო საკუთარი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვალა და წარმატებას მიაღწია“.

● ჩოგბურთი



ბერნარდ ტომიჩი

ფიში თინეიჯერთან დამარცხდა

შანხაის მასტერსზე მორიგ სათამაშო დღეს დასრულდა პირველი წრე და პარალელურად მეორე რაუნდის რამდენიმე მატჩიც გაიმართა.

დამაჯერებლად გაიარა პირველი წრის ბარიერი **იურგენ მელცერმა**. მსოფლიოს მე-20 ჩოგანმა ორ სეტში დაამარცხა 32 წლის ხორვატი ვეტერანი **ივან ლუბიჩიჩი** - 6:4, 6:2. ავსტრიელს ამისთვის მხოლოდ საათი და 15 წუთი დასჭირდა. სხვათა შორის, ეს იყო ამ ჩოგბურთელების რიგით მეხუთე შეხვედრა და მელცერის მეხუთე გამარჯვება. იურგენმა პირველ სეტში ერთი ბრეიკი გააკეთა, მეორეში - ორი და მატჩი ისე დაასრულა, რომ არც ერთი საკუთარი გეიმი არ წაუგია.

ორი ტაი-ბრეიკის ჩატარება გახდა საჭირო ესპანელ **ფელისიანო ლოპესსა** და სერბ **იანკო ტიპსარევიჩს** შორის უძლიერესის გამოსავლენად. ჩოგბურთელებმა თითოეულ პარტიაში თითო-თითო ბრეიკი გაცვალეს, „შემოკლებულ“ გეიმებში“ კი ლოპესის უკეთესი მომზადება შეიმჩნეოდა და ესპანელმა ამის ხარჯზე ორივე ტაი-ბრეიკის მოგება შეძლო. ლოპესმა კარგად გამოიყენა თავისი მთავარი იარაღი - მოწოდება და ორსაათიანი შეხვედრა 12 ეისით დაასრულა. ფელისიანომ ექვს შეხვედრაში მეხუთედ დაამარცხა ტიპსარევიჩი.

ერთი მოულოდნელი შედეგიც დაფიქსირდა. ნაკლებად ცნობილმა ესპანელმა **ალბერტ რამოსმა** ორ სეტში დამაჯერებლად მოუგო ხორვატ **მარინ ჩილიჩს** - 6:3, 6:4. არადა, ჩილიჩმა გასულ კვირას პეკინის ტურნირზე კარგი ფორმა აჩვენა და ნახევარფინალში გავიდა, სადაც სამ სეტში დათმო ფინალში გადასასვლელი მატჩი **ტომაშ ბერდიხთან**. თუმცა ამჯერად ხორვატმა თითქმის ვერ გაუწია წინააღმდეგობა რამოსს და ნაადრევად გამოეთიშა ბრძოლას.

მეორე წრიდან დატოვა შანხაის მასტერსი მსოფლიოს ყოფილმა მეოთხე ჩოგანმა **დავიდ ნალბანდიანმა**. 29 წლის არგენტინელი, რომელიც ამჟამად 57-ე ადგილს იკავებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში, ძალიან ბევრ შეცდომას უშვებდა გერმანელი **ფლორიან მაიერის** წინააღმდეგ. სამხრეთამერიკელს განსაკუთრებით მიღებაზე არ გამოსდიოდა თამაში - ვერც ერთხელ ვერ აიღო მეტოქის მოწოდება, იმ დროს, როცა გერმანელმა თითო სეტში თითო ბრეიკი აიღო და ორ სეტში მოიგო - 6:3, 6:4.

წარმატებით დაიწყო შანხაის მასტერსზე გამოსვლა ახალგაზრდა კანადელმა **მილოშ რაონიჩმა**. პირველ წრეში 20 წლის ჩოგბურთელი გამოცდილ ფრანგს **მიკაელ ლოდრას** ხვდებოდა.

პირველი სეტი ტაი-ბრეიკზე ფრანგმა ჩოგბურთელმა მოიგო, მაგრამ შემდეგ ინიციატივა 20 წლის მეტოქეს გადაულოცა. მეორე პარტიაში კანადელის უპირატესობა აშკარა იყო - 6:2, მესამე პარტიაში კი მაყურებელმა კიდევ ერთი ტაი-ბრეიკი იხილა, სადაც გადამწყვეტ მომენტში უფრო ზუსტი რაონიჩი იყო, რომელმაც შემოკლებული გეიმი 7:5 მოიგო და მეორე წრეში გააღწია.

ზედიზედ მეორე მატჩი მოიგო ტურნირზე **ენდი როდიკმა**, რაც წელს იშვიათად ხდება. ამჯერად მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ორ სეტში გაუსწორდა ბულგარელ **გრიგორ დიმიტროვს**.

ამერიკელმა ოთხი ბრეიკი გააკეთა, ამასთან, სამი საკუთარი მოწოდება წააგო. პირველ სეტში ყველაფერი ტაი-ბრეიკმა გადაწყვიტა, რომელიც ენდიმ 7:3 მოიგო, მეორეშიც ყველაფერი შემოკლებულ გეიმამდე მიდიოდა, როცა როდიკმა 5:5-ზე ზედიზედ ორი გეიმი აიღო და მერვედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა.

დღის ცენტრალური შეხვედრა ავსტრალიელ თინეიჯერს **ბერნარდ ტომიჩსა** და გამოცდილ ამერიკელ **მერდი ფიშს** შორის შედგა. ფიში წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძვის, ამიტომაც ამ მატჩს მისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

მერდიმ კარგად დაიწყო შეხვედრა და პირველი სეტის ბოლოს შესრულებული ბრეიკით პარტია თავის სასარგებლოდ დაასრულა. მაგრამ, როგორც შემდეგ გაირკვა, ეს იყო ამერიკელის ბოლო ნარმატება მატჩში. ამის შემდეგ ბრეიკებს მხოლოდ წლევანდელი უიმბლდონის მეოთხედფინალისტი ტომიჩი ასრულებდა. ავსტრალიელმა ორჯერ აიღო მეტოქის მოწოდება მეორე სეტში და ერთხელ მესამეშიც იგივე გააკეთა და ეს ყველაფერი, საბოლოოდ, ასეთ ანგარიშში გამოისახა - 4:6, 6:1, 6:4 ტომიჩის სასარგებლოდ.

სხვათა შორის, ეს ჩოგბურთელები გასულ კვირას ტოკიოს ტურნირის მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და მაშინ ფიშმა შეძლო მოგება, ასე რომ, ტომიჩს ამჯერად სრულფასოვანი რევანში გამოუვიდა.

● მძლეოსნობა

აფერისტ!

ინგლისის დაბა კილდერში გამართული მარათონის ერთ-ერთ მონაწილეს მესამე ადგილისთვის მიღებული მედალი ჩამოართვეს. 31 წლის **რობ სლოუნი** სპორტულ აფერისტობაში გამოიჭირეს და დისკვალიფიკაცია მისცეს. როგორც გაირკვა, მძლეოსანმა დისტანციის რამდენიმე კილომეტრი ავტობუსით გაიარა, რის შემდეგაც ფინიშს ტრადიციული ხერხით მიაღწია.

მარათონული გარბენის ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ იძულებულნი იყვნენ სხვა მონაწილეთა მოთხოვნით სლოუნისთვის მკაცრი სასჯელი გამოეტანათ. ბევრი მათგანი ამბობდა, რომ არ დაუნახავთ, როგორ გაუსწრო მათ სლოუნმა დისტანციის დროს.

BBC News წერს, რომ სლოუნი უარყოფს მისი მისამართით ბრალდებას და მედლის ჩამორთმევას უსამართლობად მიიჩნევს. თუმცა ორგანიზატორები სხვა ინფორმაციას ავრცელებენ - მარათონელმა ტყუილი აღიარა, ბოდიში მოიხადა და დეტალურად მოყვა დისტანციაზე მომხდარი ამბები.

როგორც გაირკვა, ფინიშამდე ექვსი კილომეტრით ადრე სლოუნმა დაღლილობა იგრძნო და უფასო ავტობუსით სარგებლობა გადაწყვიტა, რომელსაც ტრასაზე მორბენლების გულშემატკივრები გადაჰყავდა. თვითმხილველთა თქმით, საფინიშო ხაზამდე ცოტა ხნით ადრე სლოუნი ავტობუსიდან ჩავიდა, ხის უკან დაიმალა, წინ ორი მორბენალი გაუშვა და შემდეგ სირბილი განაგრძო. მისი შედეგი (ავტობუსის ჩათვლით) იყო ორი საათი და 51 წუთი.

დისტანციის დასრულების შემდეგ სლოუნი უყვებოდა ჟურნალისტებს, რომ ძალიან დაიღალა, მაგრამ კარგი ფიზიკური ფორმა დაეხმარა იმაში, რომ დისტანცია არ მიატოვა.

რობ სლოუნი

სლოუნის დისკვალიფიკაციის შემდეგ ბრინჯაოს მედალი შოტლანდიელ **სტივენ კერნსს** გადაეცა, რომელიც მეოთხე მივიდა ფინიშთან. სლოუნს კი Sunderland Harrier-ის ათლეტთა საზოგადოებიდან გარიცხავენ და მომავალ მარათონულ გარბენებს ჩამოაშორებენ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიფვილმა